



# ისტორიული გეგვიდროება

სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი, 2012 წ. ოქტომბერი

№2  
(271)

ფასი  
2  
ლარი



კრემლის გადაწყვეტილებით ბრუს ტიტოსთან სართო ენის გამოწვევა ვასილ გუგუნიძეს დაეკისრა, ეს მისია მხოლოდ მას ერგო მთელს საბჭოთა კავშირში. ამის შემდეგ გუგუნიძე და იუგოსლავიის პრეზიდენტი ქალიან დამემოზრდნენ.

48

## ექვსი ფოტოს ისტორია გუგუნიძის სოჯასო ალბომიდან

### 4 გრიგოლ ორბელიანი

ალექსანდრე ფირცხალაიშვილი:  
სამეგრეოს  
სამთავროს  
შეერთება  
13 მეფის  
რუსეთთან

ნოკო  
ბერძენიშვილი:  
17 საქარ-  
თველოს  
რუსეთთან  
შეერთების  
ისტორიული  
მნიშვნე-  
ლობისთვის

25 საზღვაო  
ავიაციის  
ბენიოსი –  
ბიორგი  
ბერძენიშვილი

მერაბ ჯიბლაძე:  
29 საქარ-  
თველოში  
ბანათლების  
დონე  
ივანე  
დაბალია,  
რომ ბან-  
თითარებულ  
ქვეყნებში  
თეთრკანიან  
ზანებებს  
გვეკანთან

სტუმრად  
32 «რუსულ  
კლუბში»



1993 წელს რუსეთის კოსმონავტიკის  
ფედერაციამ და მოსკოვის თეოტექნიკის  
ინსტიტუტმა დააწესა აკადემიკოს  
ალექსანდრე ნადირაძის სახელობის მედალი

23





## თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში

შენს წმინდა სახეს,  
შვენებით სავსეს,  
სახიერებით განსხივებულსა,  
ვუმზერ კრძაღვითა,  
თაყვანცემითა,  
ცრემლ-მორეული გემთხვევი ფერხთა!  
მიხარის — გიმზერ,  
ვჰსწუხვარ — და გიმზერ,  
და ესრეთ მზერა მსურს სიკვდილამდე,  
არ გამოვფხიზლდე,  
რომ აღარ ვჰგრძნობდე  
ჩემი სამშობლოს სულით დაცემას!..  
ყვავილოვანი  
ნალკოტი შენი,  
შენის დიდების სხივ-მოკლებული,  
აღარა ჰშვენის,  
აღარ გვიბრწყინვის  
შავ დროთა ძალით, ფერ წახდენილი!..  
და, ვით განვლილსა  
სიზმარსა ტკბილსა,  
მზეს დიდებულად ჩასვენებულსა,  
ვიგონებთ შენს დროს,  
გული გვიმაგროს,  
სრულად არ წავჰსწყდეთ ცის შემრისხავნი!  
ხნით დამამგრალი,  
დაღონებული,  
შენადგე, მეფევე, მოველ ვედრებით:  
მოხედო ბედკრულს  
შენს სატროფოს — მამულს,  
და ჯვართა შენით აკურთხო კვალად.  
შენი ივერი  
აღსდგეს ძლიერი,  
და დადგეს ურად სხვა ერთა შორის,  
წმიდით საყდართით,  
ენით მდიდართით,  
სწავლისა შუქით განათებული!  
ზნე ამაღლებით,  
ძლევის დიდებით,  
სამშობლო მინის სიყვარულითა! —  
და გაგვიცოცხლდეს,  
რომ კვლავც მოგვესმეს  
სიტყვა ქართული რუსთაველისა.  
რომ განვიღვიძნეთ,  
სულით განვახლდეთ,  
და განქრეს ბნელი უმეცრებისა!..  
...მარამ ცად თვალნი  
გაქვს მიქცეულნი,  
და მე ველარ მცნობ გულ-შემუსვრილსა,  
დამცირებულსა,  
ხმა-მიღებულსა,  
ბედ-დაკარგულის ივერიის ძეს!  
ეჭვით აღვსილსა,  
უსასოდ ქმნილსა,  
გულ-უიმედოს, გაუხარებელს!..  
ვაჰ თუ რაც წახდეს  
ველარა აღჰსდგეს,  
ველარ აღყვავდეს ახლის შვენებით?  
და რაც დაეცა  
ის წარიტაცა  
შავმან ყორანმა ვით უმწე მსხვერპლი!  
ჰე, ცრუ სოფელო,  
დაუნდობელო,  
შენში კეთილი სად არს ფერ-უცვლელ?  
დიდება ჩვენი,  
ცად სხივ-მიმფენი,  
ნუთუ ესლა გვაქვს, ვჰხედავთ რასაცა?  
დაყრუებულსა,  
გზა შეუვალსა,  
უდაბურს ტყეში ტაძარს დარღვეულს,  
სად სახე მეფის,  
დიდის თამარის,  
სჩანს ძველს კედელზე გამოხატულად!..



# სარჩევი

■	<b>მამულიშვილი გრიგოლ ორბელიანი</b>	<b>4</b>
■	<b>ჩვენი ისტორია გამოკვლევები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების შესახებ. ალექსანდრა ფირსხალიაშვილი: რუსეთის ურთიერთობა ქართლის სამეფოსთან XVI-XVII საუკუნეებში სამეგრელოს სამთავროს შეერთება მეფის რუსეთთან</b>	<b>9 13</b>
■	<b>თბალსაზრისი ნოქო ბერქენიშვილი: საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისთვის</b>	<b>17</b>
■	<b>სახელოვანი ქართვლები ქართველი ავიაკონსტრუქტორები — აკადემიკოსი ალექსანდრა ნადირაძე საზღვაო ავიაციის გენიოსი — გიორგი ბერიაშვილი</b>	<b>23 25</b>
■	<b>მეტყველები დავით გომგობერიშვილი: როგორია, სამჯარ მოგისაჯონ დახვრატა და სემივჯარ სსსნაულაბრივად გადარჩე!..</b>	<b>27</b>
■	<b>ბანათლება მერაბ ჯიბლაძე: საქართველოში ბანათლების დონე იმდენად დაბალია, რომ ბანკითარებულ ქვეყნებში თეთრკანიან ზანგებს გვეკანინან</b>	<b>29</b>
■	<b>კულტურული ურთიერთობები სტუმრად „რუსულ კლუბში“</b>	<b>32</b>
■	<b>მეგობრობა გზად და სიდად ნინო ტაბიძე: უხვადრა მაიაკოვსკისთან ალექსანდრა სიგუა: დაუვინყარი მოგონება</b>	<b>35 37</b>
■	<b>წიგნის თარო ლუკინაოვა და მონად გატახება აღმოსავლეთ საქართველოში</b>	<b>38</b>
■	<b>საოჯახო ალბომი ექვსი ფოტოს ისტორია ნინა მუჰანაჰის საოჯახო ალბომიდან</b>	<b>48</b>

გამომცემელი: არასამეწარმეო იურიდიული პირი „ისტორიული მემკვიდრეობა“  
სარედაქციო კოლეგია  
პასუხისმგებელი რედაქტორი ღარეჯან ანდრიაძე  
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. № 6 ტელ.: 234-32-95



# გრიგოლ ორბელიანი

208 წლის წინათ, 1804 წლის 2 ოქტომბერს, ქ. თბილისში დაიბადა გრიგოლ ორბელიანი, რომელმაც თავისი ცხოვრების მანძილზე ზოგჯერ ხმლით და ზოგჯერ კალმით ფასდაუდებელი სამსახური გაუწია სამშობლოს — თხუთმეტი წელიწადი იმსახურა დაღესტანში, ჯერ როგორც სხვადასხვა ოლქის მმართველმა და პოლკის უფროსმა, შემდეგ კი — როგორც მთელი დაღესტნის ჯარების სარდალმა (იშვიათად ჰყოლია ჰაზავათს მასავით დაუძინებელი მტერი), ხოლო XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ პოეზიაში ახალი სიტყვა თქვა რომანტიკული მსოფლმხედველობის, ამ მიმდინარეობის ძირითადი მოტივების, თემებისა და სტილის დამკვიდრების თვალსაზრისით.



გრიგოლ ორბელიანის ბავშვობამ და ყრმობამ განვლო საქართველოს ისტორიის იმ პერიოდში, როცა ჯერ კიდევ მწვავე იყო მოგონება ალა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის აოხრებისა, ხოლო პატარა კახის გმირობის შესახებ ყრმა გრიგოლს ბევრი რამ უნდა სმენოდა ხანდაზმულ თანამედროვეთაგან.

გრიგოლის მამას, დიმიტრის (იმავე ზურაბს), საქართველოს უკანასკნელ მეფეებთან უმსახურია და კახთ ბატონთან კი ნათესაური კავშირითაც ყოფილა შეკრული. საქართველოში რუსული მმართველობის დამკვიდრების შემდეგ დიმიტრი ჯერ სამხედრო სამსახურში შესულა, მონაწილეობა მიუღია მთავარმართებელ პავლე ციციშვილის მიერ ქ. ერევანის ალებაში 1804 წელს, ხოლო შემდეგ უზენაეს სასამართლოში დაუნიშნავთ ზასედატელად. პოეტის მამას შინაური განათლება ჰქონია მიღებული.

გრ. ორბელიანის დედა, ხორეშანი, ერეკლეს ქალის, ელენეს, ასული იყო. ამრიგად, დედის მხრივ პოეტი ბაგრატიონთა გვარს ენათესავებოდა.

გრიგოლ ორბელიანისათვის წერა-კითხვა უსწავლელია ანჩისხატის დეკანოზ დიმიტრი ალექსიმესხიშვილს, რომელიც თავისი დროის ცნობილი მწიგნობარი იყო. შემდეგ პატარა გრიგოლი მშობლებს მიუყვანიათ ახალი მმართველობის მიერ დაარსებულ კეთილშობილთა სასწავლებელში,

სადაც მომავალ პოეტს ქართულს ასწავლიდა მღვდელი ხელაშვილი, ჩინებული მცოდნე ენისა. სასწავლებლის დამთავრებამდე გრ. ორბელიანი გადასულა ახლადგახსნილ საარტილერიო სკოლაში. 1816 წელს მომავალი ოფიცერი შედის იუნკრად 21-ე საარტილერიო ბრიგადაში, სადაც მან 1820 წლამდე დაჰყო.

გრიგოლ ორბელიანის დიდი სამხედრო კარიერის დასაწყისი ემთხვევა საქართველოში პროკონსულ ა. პ. ერმოლოვის მმართველობის წლებს (1816-1827). მისი ბედის ვარსკვლავი არანაკლები ძალით ანათებდა გრაფ პასკევიჩის მმართველობის დროსაც. „ტოლუბაშის“ ავტორს დიდ სიხარულს ჰგვრიდა საქართველოს დაუძინებელი მტრების დამარცხება რუსეთ-ირანისა და რუსეთ-ოსმალეთის ომებში (1826-1829 წწ.) და არც ისე ძნელია წარმოდგენა ქართველი ოფიცრის სიამაყისა იმ დროს, როცა კავკასიის მხედრობის მიერ ძღვეული ირანელი და თურქი სერასკირები თავიანთ ბაირალებს ხრიდნენ აბასაბადთან და ირაკლი-თავასთან, ერევანსა და ხერთვისში, ახალქალაქსა და ახალციხეში. ამ ადგილების იერიშით ალებისას გრ. ორბელიანს მამაცობით უსახელებია თავი.

1829 წელს გრ. ორბელიანი კახეთში ახლდა ალექსანდრე ჭავჭავაძეს, რომელიც სამხედრო საზღვრების უფროსად იყო დანიშნული. მეორე წელს იგი მონა-

წილეობდა გრაფ პასკევიჩის ექსპედიციაში და ჭარ-ბელაქნის ლეკებს აშოშმინებდა. იმავე წელს მონაწილეობდა გენერალ სტრეკალოვის მიერ ზაქათალის ალებაში.

1831 წელს გრ. ორბელიანმა ადგილობრივი ხელისუფლების დავალებით (კავკასიის აქეთა მხარის მთავარსარდლის, გენერალ პანკრატიევის ბრძანებით) რუსეთს წაიყვანა კავკასიის კორპუსში შეჩერებული ჯარისკაცები ნოვგოროდში დაბანაკებული საგანგებო ქვეითი პოლკისათვის. გზად მან რამდენიმე ხანს მოსკოვსა და პეტერბურგში დაჰყო. თავის დღიურში პოეტი იგონებს შეხვედრებს რუსეთს გადასახლებულ მარიამ დედოფალთან და ქართველ უფლისწულებთან, ვრცლად აგვიწერს ღირსესანიშნავ ადგილებს, გადმოგვცემს თავის შთაბეჭდილებებს იქაური თეატრების სპექტაკლებზე.

პეტერბურგი, იმპერიის იმდროინდელი ცენტრი, დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ქართველ ოფიცრებზე. გრ. ორბელიანი აღწერს პეტერბურგის, ცარსკოე სელოსა და პეტერგოფის შესანიშნავ სასახლებს. პოეტი, რომელმაც იგემა სამხედრო ცხოვრების სუსხი, აღტაცებით ათვალიერებს ხელოვნების ძეგლებს,





გულდასმით ეცნობა პეტრე პირველის მიერ დაარსებულ კუსტკამერას და ერმიტაჟის დარბაზებს, მოხიბლულია „რაფაელის ლოჟითა“ და ძვირფასი ბიბლიოთეკით, „რომელსაცა შინა ენყო თხზულებანი ფილოსოფოსთა დალამბერტისა, ვოლტერისა და დიდეროტისა“. გრ. ორბელიანი საგანგებოდ აღნიშნავს, აგრეთვე, თავის შეხვედრებს საქართველოდან გადასახლებულ ფარნაოზ და დიმიტრი ბატონიშვილებთან, საუბრობს მათთან მოცარტზე, ვებერზე, როსინსა და კერუბინზე.

1831 წლის ნოემბერში გრ. ორბელიანი ჩადის ქ. ნოვგოროდში, აქ მან ერთი წელიწადი დაჰყო. და აი, მისი გარეგნული ცხოვრების მწყობრი რიტმი ერთბაშად იცვლება: 1833 წლის მარტში გრ. ორბელიანს აპატიმრებენ ნოვგოროდში და სასწრაფოდ გზავნიან თბილისში. პოეტს ბრალდებოდა კავშირი თავად-აზნაურთა იმ შეთქმულებასთან, რომელიც 1829 წლიდან მზადდებოდა საქართველოში ადგილობრივი ხელისუფლების და, საერთოდ, ცარიზმის წინააღმდეგ (როგორც ცნობილია, ეს შეთქმულება 1832 წლის დეკემბერში გაცემულ იქნა). საგანგებო კვლევა-ძიების საფუძველზე კავკასიის სამხედრო ხელისუფალთა წინაშე გრ. ორბელიანი სრულიად მოულოდნელად ახალი სახით წარსდგა; პეტერბურგში გადასახლებულ ქართველ ბატონიშვილებთან მას არა მარტო მოცარტზე და როსინზე უსაუბრია, არამედ (და უმთავრესად) საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხებზეც; ჯიბით უტარებია არა მარტო ჯარისკაცის წესდება, არამედ ქართული თარგმანიც ცნობილი დეკაბრისტი პოეტის, რილევის, ნაწარმოებისა „ნალივაიკოს აღსარება“ (მისი დედანი მთარგმნელს ნოვგოროდში განჩხრეკისას უპოვეს); ჩვეულებრივ, დღიურებს გარდა, ფარულად უწერია პატრიოტული ლექსები (ნოვგოროდშია დაწერილი, მაგალითად „იარალის“) და დღიური „მგზავრობა ჩემი თბილისიდან

პეტერბურგამდის“, რომელშიც ავტორი აშკარად იცავს საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენისა და ეროვნული რეგულარული ჯარის შექმნის იდეას.

მიუხედავად ამისა, გრ. ორბელიანს აშკარა დანაშაული არ დაუმტკიცდა და გაათავისუფლეს საქმის საბოლოო გამოძიების დამთავრებისთანავე. ავლაბრის ყაზარმებში სამი თვის პატიმრობის შემდეგ იგი, როგორც მეშვიდე კატეგორიის მცირე დამნაშავე, „კავკასიის ხაზზე“ მოქმედ ჯარში იქნა გაგზავნილი. იქიდან გრ. ორბელიანი 1833 წლის მინურულს გაამწესეს ნევის საზღვაო პოლკში, რომელიც ვილნოში იყო დაბანაკებული. დიდი ვაი-ვაგლახითა და გზაზე სხვადასხვა ხიფათის გამოვლით გრიგოლ ორბელიანმა თავის პოლკს 1843 წლის 2 მაისს მიაღწია.

პოლიტიკური რომანტიზმის ბურუსი გაიფანტა. ოფიცერი გრ. ორბელიანი ისევ დაუბრუნდა სამხედრო ასპარეზს. აქედან იწყება პოეტის ცხოვრების მეორე პერიოდი (1833-1858). ხუთი წელი გაატარა გრიგოლმა პოლონეთში.

1837 წელს გრ. ორბელიანმა აიღო შვებულება და სამშობლოსაკენ გამოემგზავრა. **1838 წლის აგვისტოში ის შტაბს კაპიტნის ჩინით ხელმეორედ ჩაირიცხა საქართველოს გრენადერთა პოლკში**, რომელიც ქ. გორში იდგა. ამიერიდან მომავალი გენერალი ფრთხილი და გარეგნულ პირობებს შეგუებული ოფიცერია.

1841 წელს გრ. ორბელიანი მონაწილეობს პოლკოვნიკ მოსე არღუთინსკის რაზმის მიერ გურიის გლეხობის აჯანყების ჩაქრობაში. გურია „დააწყნარეს“ იმავე წლის სექტემბერში.

**1842 წელს გრ. ორბელიანი ავარიის (დალესტანი) მიწებს იცავდა შამილის რაზმებისაგან. ენერგიულმა სამხედრო მოქმედებამ და ადმინისტრაციულმა ნიჭმა ის ჩქარა დააწინაურა: 1843 წელს გრ. ორბელიანი დანიშნეს ავარიის მმართველად, ანუ როგორც თავის თავს უწოდებდა, ავარიის ხანად. ამ წლის 2 ივნისს გრ. ორ-**

**ბელიანი ჩავიდა ხუნძახში — ავარიის ყოფილი ხანების რეზიდენციაში.**

**გრ. ორბელიანი დიპლომატიური უნარით აღჭურვილი მმართველი და ამავე დროს ულმობელი ოფიცერი იყო მთელელებთან ბრძოლაში. შუა აზიის საშუალო საუკუნეთა მუსლიმანური სექტის, ნაქმბენდიეს, ორდენის მისტიკური მოძღვრების მიმდევარი მურიდების წინააღმდეგ გრ. ორბელიანი მოქმედებდა, როგორც მეფის რუსეთის არმიის ერთ-ერთი თვალსაჩინო ხელმძღვანელი.**

**თხუთმეტი წელიწადი იმსახურა გრ. ორბელიანმა დალესტანში, ჯერ როგორც სხვადასხვა ოლქის მმართველმა და პოლკის უფროსმა, შემდეგ კი – როგორც მთელი დალესტნის ჯარების სარდალმა. იშვიათად ჰყოლია ჰაზავათს მასავით დაუძინებელი მტერი. გრ. ორბელიანი მონაწილე ან უშუალო ხელმძღვანელი იყო მთელი რიგი აულების აღებისა შამილის დალესტანში. იბრძოდა ქუთიშასთან (1846) და სალთთან (1847), გერგებელთან (1848) და ჭუხთან (1849), ტაბარანსა და ყაითაღში (1854 – 1855), ქურისა და სალათაუს სოფლებში....**

1857 წელს გრ. ორბელიანმა იერიშით აიღო უალრესად მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი სალათაურში — ძველი და ახალი ბურთუნაი. სალათაუს დაპყრობა უკანასკნელი ფურცელი იყო გრ. ორბელიანის ოფიცრული კარიერის მრავალწლიან მატთანაში. 1858 წელს იგი, მრავალი ორდენით დაჯილდოებული, თბილისში გადმოჰყავთ კავკასიის მთავარმმართველ ბარიატინსკისთან.

გრ. ორბელიანი ძლიერი ნების ადამიანი იყო, დაჯილდოებული ცხოვრების დიდი ენერგიით, პარტიკული მოღვაწეობისადმი მიდრეკილებით, აქტიური სულით, სინამდვილის მძაფრი შეგრძნებითა და დაკვირვების უნარით. მან გადააფასა თავისი ადრინდელი მისწრაფებანი, უსარგებლოდ და სახიფათოდ სცნო ცარიზმის წინააღმდეგ გაბრძოლება, დაადგა შეგუებისა და კომპრომისის გზას,



ოფიციალურად აღიარა კიდევ მეფისადმი სამსახურის საჭიროება.

თავისი ხმლით გრ. ორბელიანმა ბევრი სარგებლობა მოუტანა მონარქიულ რუსეთს სწორედ ამ პერიოდში. ისიც მალე და ტრიუმფალურად მიიწვედა სამხედრო იერარქიის კიბეზე. ოფიცერ გრ. ორბელიანის გარეგანი ცხოვრების პარალელურად, როგორც სრული კონტრასტი, მიმდინარეობდა პოეტ გრ. ორბელიანის შინაგანი ცხოვრება. მაგრამ ქართველი რომანტიკოსის ეს შინაგანი პატრიოტული სამყარო ნაკლებადაა გამომჟღავნებული მეორე პერიოდის მხატვრულ ქმნილებებში. ისიც საგულისხმოა, რომ გრ. ორბელიანის სამხედრო მოღვაწეობის ყველაზე მდიდარი სვებედნიერი ხანა ავარიის მმართველობის პერიოდიდან (1843წ.) კავკასიური ომის დასასრულამდე (1859წ.) გაგრძელდა.

\*\*\*

1843 წლიდან იწყება გრ. ორბელიანის მრავალწლიანი სამხედრო მოღვაწეობა დაღესტანში.

1858 წლიდან იწყება მისი ცხოვრების მესამე პერიოდი (1858-1883). ესაა გრ. ორბელიანის სამოქალაქო მოღვაწეობისა და ხელახალი პოეტური გამოღვიძების ხანა.

**1859 წელს პეტერბურგიდან დაბრუნებული გრ. ორბელიანი ორი თვით ასრულებდა კავკასიის მთავარმართველის მოვალეობას.**

**რამდენიმე წელს იგი თბილისის გენერალ-გუბერნატორად იყო. ამ დროს (1865) მოხდა გადასახადებისაგან შევიწროებული თბილისელი ამქრების აჯანყება (ბუნტი), რომელიც პოეტმა-მთავარმართველმა ჩააქრო.**

1866 წლის შემდეგ გრ. ორბელიანს აღარ უმსახურია.

1871 წლის 7 ივლისს გრ. ორბელიანს გადაუხადეს სამხედრო-ადმინისტრაციული მოღვაწეობის ორმოცდაათი წლისთავი. მის პატივსაცემად გამართულ სადილზე გრ. ორბელიანმა განაცხადა:

**გამოილო რამე სარგებლობა ჩემი სამსახურმა-მითქი თუ არა? არ ვიცი. ვიცი მხოლოდ ის, რომ ტახტს კეთილსინდისიერად ვამსახურებოდი.**

**ამავე წელს თბილისში ჩამოსულმა იმპერატორმა ალექსანდრე II-მ პირადად მიულოცა გრ. ორბელიანს საიუბილეო თარიღი და გადასცა ანდრია პირველწოდებულის ორდენი – უმაღლესი ჯილდო იმპერიაში.**


70-იან წლებში გრ. ორბელიანი ჩაება ე.წ. მამათა და შვილთა ბრძოლაში.

უაღრესად საგულისხმოა ამ პერიოდში პოეტის აქტიური მოღვაწეობა ქართული ლიტერატურისა და კულტურის სარბიელზე. **70-იან წლებში არ ყოფილა არც ერთი მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი საკითხი, რომელსაც გრ. ორბელიანი არ გამოხატავდა.**

**მელსაც გრ. ორბელიანი არ გამოხატავდა. მას აინტერესებდა საქართველოში პოლიტიკური სკოლის დაარსების საკითხი (1875), მონაწილეობას იღებდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ჩამოყალიბების საქმეში, გულისხურით აღიწინააღმდეგებდა ლიტერატურაში ახალი ნაწარმოებების გამოჩენას და ცნობილია, მაგალითად, თუ როგორი ალტაცებით კითხულობდა ყაზაბეის მოთხრობებს.**

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მისი ღვაწლი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენისა და გამოცემის საქმეში. 1880-1881 წწ. გრ. ორბელიანი თავმჯდომარეობდა კომისიას, რომელიც რუსთაველის პოემის ხელნაწერებს აჯერებდა ერთმანეთთან. ამ კომისიაში შედიოდნენ გამოჩენილი ქართველი მოღვაწეები: ი. ჭავჭავაძე, რ. ერისთავი, ი. მეუნარგია და სხვ. აღსანიშნავია, რომ გრ. ორბელიანის მოადგილე ამ კომისიაში იყო შვილთა ბანაკის მეთაური ილია ჭავჭავაძე.

გრ. ორბელიანი გარდაიცვალა 1883 წლის 21 მარტს და იშვიათი პატივით იქნა დაკრძალული ქაშვეთის ეკლესიაში. დასაფლავების დღეს პოეტის ცხედართან, სხვებთან ერთად, სიტყვები წარმოთქ-



**ბურთუნაის და ბარუმო აღბილების აღმოსაშენის ორბელიანს ეპოქა გენერალ-ადიუტანტობა (10 ნოემბ. 1857). ბარიათინსკიმ მიულოცა და თავისი მქსელბანტები გაუზიარა. ის სწორედ პოეტს:**

**„აღარ ვახდით თითქმის გონს მოვიდა, უპატივხეულანო თავადო გრიგოლ დიმიტრის ძე, ისე თავსგანს მხვავთ თითქმის ყოველდღე თქვენის ბრწყინვალე და რინებულ გამაჩვენებათა გრგვინვა-ქუნილით... ხვალ ვატან თქვენს მოხსენებას ფაქტსგაჩვენებ სელწინფა იგაქრატორისათვის წარსაფხანად, რეველით, აქვი არ არის, მოხარული იქნება თქვენს ახალ გენერალ-ადიუტანტის წარმატებისა“.**






ვეს ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა. ილიამ თავის სიტყვაში სხვათა შორის თქვა: „იგი იყო მპყრობელი ჩვენის ქართული ენისა, იგი იყო მეუფე ჩვენის სიტყვიერების ძალ-ლონისა და სიმდიდრისა. იგი იყო მწერალი და მთქმელი, მაღალი ნიჭით ცხებული“.

## მამათა და შვილთა ბრძოლა

როგორც ცნობილია, მამათა და შვილთა ლიტერატურულ-იდეური ბრძოლა დაიწყო 60-იან წლებში, როდესაც ჟურნ. „ცისკარში“ დაიბეჭდა თერგდალეულთა ბელადის, ილია ჭავჭავაძის, კრიტიკული სტატია „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კოზლოვიდგან „შეშლილის“ თარგმანზედა“ („ცისკარი“, 1861, №4). ძველ და ახალ თაობათა პირველი ბრძოლა, რომელშიც გრ. ორბელიანს მონაწილეობა არ მიუღია (უეჭველია, სამსახურებრივი მოუცლელობის გამო), მიმდინარეობდა „ცისკრის“ ფურცლებზე 1861-1863 წლებში. თავდაპირველად ეს ბრძოლა უმთავრესად ლიტერატურის საზოგადოებრივი დანიშნულების, აგრეთვე, ენისა და სტილის საკითხებს მოიცავდა; ახალი თაობა მოითხოვდა მწერლობის ხალხთან დაახლოებას, ძველი ენობრივი ნორმების, კერძოდ, ორთოგრაფიული და გრამატიკული არქაიზმის უკუგდებას, ისინი ილაშქრებდნენ ანტონ კათალიკოსის ავტორიტეტის წინააღმდეგ, უარყოფდნენ მაღალ სტილს და ა. შ. ყოველივე ეს „მამების“ უკმაყოფილებას და გულისწყრომას იწვევდა.

ხელმეორედ პოლემიკა ახალი სიმწვავეთ 1871 წელს დაიწყო. შეტაკების საბაბი გახდა ისევ ი. ჭავჭავაძის გამოსვლა, კერძოდ, მისი ცნობილი „გამოცანები“ (1871 წლის დეკემბერი), რომელიც ხელნაწერების სახით გავრცელდა საზოგადოებაში და დიდი მითქმამოთქმა გამოიწვია მამებს შორის. „გამოცანებში“ იგულისხმებოდნენ ქართველი თავადაზნაურების წარჩინებული წარმომადგენლები –



**„ვისას არ უყვარს თავისი საშობლო ენა, მას, უაჭველია, არ უყვარს თავის შობაელნიცა, თავის წინაპარნიცა, თავისი გაგაულისა; ენა არის უმანათლიანი გაგა-პაპის ყოფა-სსოვრება, მათი სარწმუნოებისა, ჩვეულებისა, ესე იგი თვით ისტორია“**

(წერილი სალომე მიურატისადმი 1877 წ. 12 აგვისტო).

მარშალი რევაზ ანდრონიკაშვილი, გიორგი და ივანე მუხრანბატონები, იასე ჭავჭავაძე, ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი, გრ. ორბელიანი და სხვ. ამ პირთ არ შეუხსრულეობათ ახალი თაობის (თერგდალეულთა) ზეგავლენით სპეციალურად მოწვეული თავადაზნაურობის ყრილობის მიერ გამოტანილი დადგენილება, რომელიც ითვალისწინებდა 1871 წელს საქართველოში ჩამოსულ იმპერატორ ალექსანდრე II-სთვის ადრესის მირთმევას თბილისში უნივერსიტეტის გახსნის შესახებ. მეფისნაცვლისა და თავადაზნაურთა რეაქციული ჯგუფის ზეგავლენით ანდრონიკაშვილს შეუცვლია ადრესის პროექტი და უნივერსიტეტის ნაცვლად უთხოვია თბილისში კადეტთა კორპუსის გახსნა. ილიას მერვე გამოცანა ეხებოდა გრ. ორბელიანს. ეს ეპიგრამა, დანარჩენი გამოცანებისაგან განსხვავებით, პოეტისადმი განსაკუთრებული პატივისცემით იყო გამსჭვალული. მიუხედავად ამისა, „გამოცანებმა“ გრ. ორბელიანის აღშფოთება გამოიწვია. 1872 წელს მან დაწერა „გამოცანების“ პასუხი, რომელიც ამჟამად „პასუხი შვილთას“ პირველი ვარიანტის სახითაც ცნობილი. იგი ახალი თაობისადმი მიმართული ძალზე დამამცირებელი ეპითეტებით იწყება:

**კოლო-ბუზებო, ლიბერალებო, ჭკუით გლახებო, პატრიოტებო, გზა დაკარგულნო, წყალ-ნალექულნო, კატის კნუტებო, სიდგანა კნა-კით? და სხვ.**

გრ. ორბელიანმა თავისი პასუხი დაბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“ 1874 წელს სათაურით „პასუხი უღირსთა შვილებთა“. ესაა მეორე, საბოლოო ვარიანტი „პასუხი შვილთასი“. მკვახე ტონი აქ შერბილებულია, ამოღებულია ძალზე დამამცირებელი ეპითეტებიც, რომლებიც პირველ ვარიანტში გვხვდებოდა (კოლო-ბუზებო, კატის კნუტებო, ვირი წავიდა, ვირი მოვიდაჰდა მისთ.), სამაგიეროდ იგი უფრო გავრცობილია და იდეური თვალსაზრისით საინტერესო მასალას შეიცავს.

ცნობილია ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის საპასუხო ლექსები გრ. ორბელიანის „პასუხზე“ (ილიას ჰ. „პასუხის პასუხი“, აკაკის „ხარაბუზა ლენერალს კოლო-ბუზების პასუხი“, „პატრიოტის აღსარება“, ს. მესხის წერილი „ჩვენი მამები და შვილები“ და სხვ.)

პასუხად გრ. ორბელიანი მათ უწოდებს ცრუ ლიბერალებსა და პატრიოტებს, რომელნიც გაბოროტებით სწყევლიან მამებს. ამათი (მამების) დრო კი, პოეტის შეხედულებით, იყო დრო მამაცობისა. იგი მოაგონებს შვილებს, რომ:

**მამანი თქვენნი, თავის დროს ძენი, თავის დროს იყვენ სახელოვანნი! ოსმალ-სპარსები, დალისტნის მთები ქებით გეტყვიან დიდთა მათ საქმეთ.**

მამებს სისხლით დაუცავთ მამული, თვისი ენა, საყდარი, სარწმუნოება. შემდეგ „დრო შეცვლი-



ლა, სწავლა გამეფებულა“ და „შვილებისათვის გაღებულა სახელი სიბრძნისა“, მაგრამ მათ არ გაუმართლებიათ მამების იმედი: „სწავლად მისულნი ნამხდარან ზნეობით“ და სამშობლოში დაბრუნებულთ პედაგოგიურ სარბიელზე მოღვაწეობის დროს „უსასოება და ურწმუნოება უმანკოთ გულში ღრმად ჩაუნერგიათ.“ **„და დაინყველა თქვენი აქ მოსვლა და თქვენი სიბრძნის ნაყოფი შხამიო“**, — ამბობს პოეტი, განსაკუთრებით აღშფოთებულია გრ. ორბელიანი შვილთა ერთი ნაწილის, „ჟურნალისტი მწერლების“ მიერ მშობლიური ენის დაკნინების გამო: **„მათ უსწავლელთა, ცრუ რუსთაველთა სულ წაგვიბილწეს ენა მდიდარი, ენა მაღალი! მის ძალი, მადლი უწყალოდ წახდა უწმინდურთ ხელშიო“**, — აცხადებს იგი და დასძენს: **„ერის ცხოვრება, მისი დიდება, მის ისტორია დაცულ არს ენით; რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს, წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმიდას“**. ისტორიული ასპექტის გარეშეც ამ სიტყვებს დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

შემდეგ გრ. ორბელიანი მოითხოვს შვილებისაგან: „აჰა, დიდების და სახელ-ქების ასპარეზია

თქვენთვის დაცლილი“ და „ხმალის ტრიალით, ძლევის ყიჟინით“ რომელიმე იმ თქვენმა გმირმა „ხელს ბაირალით ძირს დასცეს ყარსი“. პოეტს ეეჭვება ახალი თაობის მაღალი ფრაზები საზოგადოების სულით აღდგენაზე, ერთობის, ძმობისა და მამულისთვის თავის განწირვის შესახებ; „სიტყვა სიტყვაა, საქმე კი სხვაა“, — განმარტავს იგი.

და ბოლოს, ახალი თაობის სიცოცხლეს „ფუჭად მიმავალს“ უწოდებს, აბრალებს მათ უქმობას, არაობასა და უმეცრების ამაცობას.

ახალი თაობის საუკეთესო ნაწილის მისამართით არც ერთ ამ ბრალდებას არ გააჩნია საფუძველი. შვილების განსაკუთრებული ღვაწლი ქართველი ხალხისა და მისი კულტურის წინაშე ბოლოს თვითონ გრ. ორბელიანმაც შეიგნო: ცნობილია მამათა და შვილთა ორი ბანაკის მეთაურების, თვითონ გრ. ორბელიანისა და ილია ჭავჭავაძის, საუკეთესო პირადული და საზოგადოებრივი ურთიერთობანი 80-იან წლებში, როცა თაობათა ბრძოლა დაცხრა და იგი ისტორიის კუთვნილება შეიქნა.

საერთოდ, გრ. ორბელიანი მწვავედ განიცდიდა ქართული ენის დაცემას. ცნობილია მრავალი მისი ბა-

რათი ამ საკითხზე მიწერილი სხვადასხვა პირისადმი. დამახასიათებელია პოეტის შემდეგი სიტყვები: **„ვისაც არ უყვარს თავისი სამშობლო ენა, მას, უეჭველია, არ უყვარს თავის მშობელნიცა, თავის წინაპარნიცა, თავისი მამულიცა; ენა არის შემნახველი მამა-პაპის ყოფა-ცხოვრებისა, მათი სარწმუნოებისა, ჩვეულებისა, ესე იგი თვით ისტორია“** (წერილი სალომე მიურათისადმი 1877 წ. 12 აგვისტოს თარიღით). ენის დაცემის ერთ-ერთ მიზეზად იგი თვლიდა „ჟურნალისტი მწერლების“ (ახალი თაობის გარკვეული ნაწილის) მხრივ ქართულის ნორმების უცოდინარობას. გრ. ორბელიანის კალამს ეკუთვნის სპეციალური კრიტიკული წერილი „მგზავრობა სვანეთისაკენ“, რომელიც მან „ძველი სემინარისტის“ ფსევდონიმით დაბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“ 1874 წელს (№9-10), აგრეთვე, სატირული ლექსი „დროების ათი წლის იუბილე“, მიმართული ს. მესხისა და მისი გაზეთის წინააღმდეგ (1876). ეს ორი პოლემიკური ხასიათის წერილი შუქს ჰფენს გრ. ორბელიანის შეხედულებებს გრამატიკისა და სტილის საკითხებზე, აგრეთვე, მის დამოკიდებულებას თერგდალეულთა მოღვაწეობისადმი 70-იან წლებში.

**1862 წ. 17 ოქტომბერს გამოვიდა უმაღლესი რუსკრიპტი ბრიტოლ ორბელიანის სახელზე, რომელშიაც ხელმოწიხე იმპერატორი მაღლობას უკლავდა პოეტს ჩინებული სამსახურისათვის:**

**„თავადო გრიგოლ დიმიტრის ძე! უბრუნდება-რა განკარგულ-ფულდგარგალი თავ. ბარიათინსკი თავისს ადგილსა და განთავისუფლებათ-რა ქავასიის ნაპესტნიქისა და მხედროვის მთავარ სარდლის თანამდებობისაგან, რომელსაც მის არ ყოფნის დროს ასრულებდით თქვენ, ჩემდა სამართლიან მოვალეობად ვხნობ განვიხსნადოთ გულითადი მაღლობა იმ სასარგებლო მოღვაწეობისა და ნარკაბებულ განკარგულებათათვის, რომლითაც ჩემი ნდობა გაამართლეთ სრულიად.“**

**ალექსანდრე, სარსკოვ სელო. 17 ოქტომბერი 1862 წ.“**



# გამოკვლევაზე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების შესახებ

პროფესორ ალ. ფირცხალაიშვილის კალამს ეკუთვის მრავალი მეცნიერული ნაშრომი, რომელთა დიდი ნაწილი ავტორის მიერ მოდიებულ საარქივო მასალებს ემყარება და საყურადღებო დასკვნებს შეიცავს. ცნობილია მისი გამოკვლევები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების შესახებ.

ნაშრომი „საქართველო-რუსეთ-ირან-თურქეთის ურთიერთობანი XVIII საუკუნის I ნახევარში“ ავტორმა მრავალი წლის წინათ დაწერა. მასში არ არის გათვალისწინებული ქართული ისტორიოგრაფიის დღევანდელი ვითარება. მიუხედავად ამისა, იგი ამ სახითაც დააინტერესებს როგორც ისტორიკოსებს, ასევე ფართო მკითხველს. ქვემოთ გთავაზობთ წიგნის I თავს, რომელშიც მოთხრობილია კახეთისა და იმერეთის მეფეთა ურთიერთობაზე რუსეთის მეფეებთან.



## რუსეთის ურთიერთობა ქართლის საეპოსთან XVI-XVII საუკუნეებში

საქართველო, რომელიც XII საუკუნეში გაერთიანდა და დიდ, ძლიერ ფეოდალურ მონარქიად იქცა, XV საუკუნის დასასრულიდან თანდათან დაქუცმაცდა სამსამეფოდ (ქართლი, კახეთი, იმერეთი) და ოთხ სამთავროდ (სამცხე-საათაბაგო, გურია, სამეგრელო, აფხაზეთი). გარდა ამისა, ჩამოყალიბდა მთელი რიგი სამფლობელოებისა (სათავადოები), რომელთაგან ყველაზე დიდი იყო ქსნისა და არაგვის საერისთავოები. საქართველოს პოლიტიკური დაშლა გამოიწვია შინაგანმა ფაქტორებმა, რისთვისაც საგარეო პირობებიც ხელსაყრელი აღმოჩნდა; XV საუკუნეში თურქეთმა დაიპყრო ბიზანტია, საქართველო მოწყდა დასავლეთ ევროპას; გარდა ამისა, მნიშვნელობა დაკარგა დასავლეთიდან სპარსეთსა და ინდოეთში მიმავალმა სავაჭრო გზამ, რომელიც ბიზანტიისა და ნაწილობრივ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე გადიოდა და საქართველოს მოსახლეობას დიდ მატერიალურ სარგებლობას აძლევდა. საქართველოში ეკონომიკის დაცემამ განაპირობა სახელმწი-

ფოს ცალკეულ სამეფო-სამთავროებს შორის ურთიერთობის დასუსტება. ამას საბოლოოდ პოლიტიკური ერთიანობის დაშლა და ქვეყნის დაქუცმაცება მოჰყვა. ეკონომიკური დაცემა იწვევდა საქართველოს სახელმწიფოს ცალკეულ ნაწილებს შორის ეკონომიკური ურთიერთობის დასუსტებას, შემდეგ კი ეკონომიკური და პოლიტიკური ერთიანობის განწყვეტასაც, რამაც ქვეყნის დაქუცმაცება გამოიწვია.

**საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური დაცემა, რაც XV საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო, თანდათან ძლიერდებოდა ფეოდალური შინაბრძოლებისა და მეზობელი ძლიერი მუსლიმანური სახელმწიფოების — სპარსეთისა და თურქეთის, აგრეთვე, დაღესტნის თავდასხმების გამო.**

ქართველი ფეოდალები ხშირად არ ემორჩილებოდნენ თავიანთ მეფეებს, აოხრებდნენ ერთმანეთის სამფლობელოებს, ანადგურებდნენ ყანებსა და ბაღებს, იტაცებდნენ პირუტყვს, ატყვევებდნენ და მონებად ყიდდნენ გლეხებს. ამ ბრძოლებში დახმარები-

სათვის ხშირად მიმართავდნენ თავიანთი ხალხის მტრებს — სპარსელებს, თურქებსა და ლეკებს. სპარსეთმა და თურქეთმა, რომლებიც საქართველოს ტერიტორიისათვის ებრძოდნენ ერთმანეთს, XVI საუკუნეში გაინაწილეს საქართველო (1555 წ.), სპარსეთი დაეუფლა ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილს (ქართლსა და კახეთს), თურქეთი — დასავლეთ ნაწილს (იმერეთს, გურიას, სამეგრელოსა და აფხაზეთს). რაკი ფეხი მოიკიდეს საქართველოში, ისინი ხელს უწყობდნენ შინაბრძოლას, იტაცებდნენ და მონებად ყიდდნენ ტყვეებს, სდევნიდნენ ქრისტიანულ სჯულს, მეფეებსა და ფეოდალებს აიძულებდნენ, ეროვნულ კულტურას, ეს ფაქტი თავის მოხსენებით ბარათში აღნიშნა თეიმურაზ მეფის კარზე გამოგზავნილმა **მოსკოველმა ელჩმა, თავადმა მიშეცკიმ**, რომელიც თვითონ ყოფილა ამ ამბის მოწმე: თეიმურაზს ირანის შაჰის ელჩი ბაარამ-ბეგი სწვევია. სტუმრის შესახვედრად მეფესა და მის ამაღლას სასწრაფოდ გადაუცვამთ



„ყიზილბაშური ტანისამოსი“. მიშეცკის მეფის კარისკაცისათვის, რევაზ ჩოლოყაშვილისათვის, უკითხავს: „თქვენი მეფე, უფლისწული დავითი და თქვენც ყველა — მეფე თეიმურაზის მახლობელი, რად შეხვდით შაჰის ელჩს ჩაღმებითა და აზიამებით ყიზილ-ბაშურად მორთულნი?“ რევაზს მიშეცკისათვის უპასუხია: „თვითონ ხედავთ, ყიზილ-ბაშუთა ტყვეობაში ვცხოვრობთ, ასე რომ არ მოვიქცეთ, ერთ საათსაც არ გვაცოცხლებნო“.

სწორედ იმ ხანებში, XV-XVI საუკუნეებში, აღმოსავლეთ ევროპაში შეიქმნა ძლიერი ცენტრალიზებული მოსკოვის სახელმწიფო, რომელმაც 1480 წელს, დიდი მთავრის, ივანე III-ს დროს, მოიშორა მონღოლთა მძიმე უღელი.

კახეთის მეფემ — ალექსანდრემ 1491 წელს მოსკოვის დიდ მთავარს — ივანე III-ს ელჩები გაუგზავნა, რომ დიპლომატიური ურთიერთობა დაემყარებინა ქრისტიანულ სახელმწიფოსთან. **ქახეთის პოლიტიკური მოღვაწენი სწორად მსჯელობდნენ, მკვინვარა მუსლიმანურ მტრებს ქართველი ხალხი მხოლოდ იმ შემთხვევაში გადაურჩებოდა, თუ მფარველად ერთმორწმუნე მოსკოვის ძლიერი სახელმწიფო ეყოლებოდა.** რელიგია, რომელიც შემდეგში კულტურული პროგრესის მუხრუჭი გახდა, ფეოდალურ ეპოქაში, ზოგ შემთხვევაში, ეროვნული თვითმყოფობის, დამოუკიდებლობის დაცვის ერთ-ერთ პოლიტიკურ ფაქტორს წარმოადგენდა, სამხრეთ საქართველოში XVII საუკუნეში დაიწყო მუსლიმანობის გავრცელება და ამან გამოიწვია მთელი მესხეთის დენაცონალიზაცია, 1492 წელს მოსკოვში საქართველოს ელჩების ჩასვლა რუსმა მემბტიანემ ასე აღნიშნა: „**ამავე ზამთარსა (1492 წ.) ეწვია ელჩი დიდსა მთავარსა ივერიის ქვეყნიდან მთავრის ალექსანდრესაგან, სახელად მურატი**“. ამ დროიდან კახეთისა და მოსკოვის მთავრობა ელჩებს უგზავნიდა ერთმანეთს, ამასთან,



თეიმურაზ I გეგულოვანთან — სორაშანთან ერთად

ელჩებს კახეთიდან მოსკოვამდე ჩასვლისა და უკან დაბრუნებისათვის დაახლოებით ორი წელი სჭირდებოდათ, მაგალითად, **თავად ვოლკონსკისა და დიაკინ-ხვატოვის ელჩობა**, რომელიც მოსკოვიდან გამოემგზავრა მეფე თეიმურაზთან 1637 წლის 9 ივნისს, კახეთში ჩამოვიდა 1638 წლის 2 აგვისტოს, ე.ი. 1 წლისა და 2 თვის შემდეგ. დაახლოებით ამდენივე დრო დასჭირდა მის უკან დაბრუნებას. ხშირად ელჩობის ყველა წევრი ვერც ბრუნდებოდა შინ ცოცხალი. ზოგიერთი ძნელ მგზავრობას ვერ იტანდა, ზოგიც მღელვარე კასპიის ზღვის ტალღებში იღუპებოდა ან მთიელების თუ ჩრდილოეთ კავკასიელ მომთაბარეთა თავდასხმების მსხვერპლი ხდებოდა, 1641 წლის 9 ივნისს თავადი მიშეცკი და დიაკი კლიუჩარევი საქართველოში გამოემგზავრნენ, თავად მიშეცკისა და მიტროპოლიტ მაკარის კარჭაპები (ხომალდები — ა.ფ.) ასტრახანიდან გასვლისას ზღვაში დაიმსხვრა; **დიაკი კლიუჩარევი ავად გახდა და გარდაიცვალა... „საქართველოში მძიმედ დაავადდა მიშეცკი, რომელიც სასიკვდილოდ იყო განწირული, მალე მღვდელი, მამა ბასილიც, გარდაიცვალა და ბევრმა რუსმა ცოდვების მოუნანიებლად დაამთავრა თავისი სიცოცხლე“**.

ივანე მრისხანეს დროს რუსეთი მთელ ვოლგას დაეუფლა და კას-

პიის ზღვის ნაპირებზე გავიდა. თურქეთის ვასალების — ყირიმელი და ყუბანელი თათრებისა და დაღესტნის მფლობელთა მხრიდან მოსალოდნელი საფრთხის გამო, ივანე IV-მ გადაწყვიტა „სოლივით შეჭრილიყო“ მათ შორის. ამისათვის მან მეგობრული კავშირი დაამყარა ყაზარდოსთან, რომელიც ყირიმელთა თარეშით იტანჯებოდა, ერთ-ერთი ჩერქეზი მფლობელის ქალიშვილი — მარიამ ტემრიუკოვა ცოლად შეირთო და, ჩერქეზთა თხოვნით, თერგის შესართავთან ციხე ააგო. კახეთის მეფემ — ლევან გიორგის ძემ ეს რომ შეიტყო, ივანე მრისხანეს ელჩი გაუგზავნა და მფარველობა სთხოვა. ივანემაც მალე გამოუგზავნა მცირე სამხედრო რაზმი, რომელიც შვიდი წლის განმავლობაში (1562-1572 წწ.) კახეთის სიმაგრეებში იდგა. ამავე დროს მოსკოვის სახელმწიფო, რომელიც ისწრაფვოდა ბალტიის ზღვისკენ, ხანგრძლივ და მძიმე „ლივონიის ომს“ აწარმოებდა გაერთიანებული პოლონეთის, ლიტვის, დანიისა და შვედეთის წინააღმდეგ. ამით ისარგებლა თურქეთმა, მოითხოვა ჩერქეზეთიდან რუსთა ჯარის გაყვანა და რუსეთიც იძულებული გახდა, ეს მოთხოვნა დაექმაცყოფილებინა, ხოლო კახეთის მეფემ — ლევანმა, ირანის მუქარის შიშით, რუსთა მცირე რაზმი უკან გააბრუნა.

**ივანე IV-ს გარდაცვალების შემდეგ მოსკოვში გადაწყდა, განეახლებინათ სავაჭრო ურთიერთობა ირანსა და ამიერკავკასიასთან.** ამავე დროს კახეთის მეფემ (ლევან გიორგის ძის ვაჟმა) **ალექსანდრე II ლევანის ძემ მოსკოვს მფარველობა სთხოვა.** ბორის გოდუნოვის განკარგულებით, მასთან გამოგზავნეს ელჩი დანილოვი. ალექსანდრემ ითხოვა, თერგზე აეგოთ სიმაგრე რუსეთთან კეთილმეგობრული ურთიერთობის დასამყარებლად. სამაგიეროდ, იგი ვალდებულებას კისრულობდა, აქტიური მონაწილეობა მიეღო მოსკოვის ბრძოლაში კასპიისპირა დაღესტნელ მფლობელთა წინააღმდეგ, რომლებიც ხელს უშლიდნენ რუსეთის ვაჭრობას



სპარსეთთან. ეს პირობები მოსკოვში მოიწონეს და ალექსანდრემ მოსკოვის ელჩთა თანდასწრებით დადო რუსეთის მეფისადმი ერთგულების ფიცი, ხელი მოაწერა „ჯვარსამთხვევ ჩანანერს“. სამაგიეროდ მიიღო „წყალობის სიგელი“ და მფარველობისა და დახმარების აღთქმა. ამის შემდეგ, ყოველ ორ წელიწადში, კახეთის მეფე და მოსკოვის ხელმწიფე ელჩებსა და საჩუქრებს უგზავნიდნენ ერთმანეთს.

რუსეთის ელჩებმა კარგად შეისწავლეს მაშინდელი საქართველო და დაგვიტოვეს საინტერესო აღწერილობანი. 1604 წელს, ალექსანდრეს თხოვნით, ბორის გოდუნოვმა მას მცირე სამხედრო რაზმი გამოუგზავნა, რომელიც დალესტანში შეიჭრა, მაგრამ შამახის მფლობელის რიცხობრივად ჭარბი ჯარების — თურქებისა და ლეკების ალყაში მოხვდა და მთლიანად განადგურდა (1605 წ.), ხოლო, როცა სპარსეთის შაჰმა, აბას პირველმა, შეიტყო თავისი ვასალის — ალექსანდრე მეორის მოლაპარაკების შესახებ მოსკოვსა და თურქეთთან, ალექსანდრეს ვაჟს, გამუსლიმანებულ კონსტანტინეს, რომელიც სპარსეთის შაჰის კარზე იმყოფებოდა, უბრძანა, მოეკლა თავისი მამა და ძმა — გიორგი. კონსტანტინემ შეასრულა ეს ბრძანება და მოკლულთა თავები შაჰს გაუგზავნა. ამ ამბის დამსწრე იყვნენ რუსეთის ელჩი ტატიშჩევი და მისი ელჩობის წევრები. „უფლისწულმა კონსტანტინემ, — წერს პლოენი, — ამ საშინელი სისხლისღვრით გაოცებულ ელჩებს უთხრა: — შაჰ-აბასი კარგ განწყობილებაშია მოსკოვის მეფესთან და შირვანის მხარეც კი აჩუქა მას... რაც შეეხება მეფე ალექსანდრესა და მისი ვაჟის, გიორგის, მოკვლას, ამან სულაც არ უნდა გააკვირვოს ელჩები, რადგან თვით ალექსანდრემ ერთ დროს სიცოცხლე მოუსპო თავის მამასა და ძმას... ბოლოს, კონსტანტინემ ელჩს აღუთქვა, რუსეთს უფრო ერთგულად ვემსახურები, ვიდრე მამაჩემი ემსახურებოდაო“.



1605 წელს გარდაიცვალა ბორის გოდუნოვი და მოსკოვის სახელმწიფოში რვა წლის მანძილზე არ ჩამქრალა გამანადგურებელი არეულობანი — გლეხთა ომი, რომელსაც თან სდევდა მოსკოვის ტახტზე ცრუ მოსახელეთა ასვლა და პოლონეთ-შვედეთის ინტერვენცია. ამ ამბებთან დაკავშირებით, რეგულარული დიპლომატიური ურთიერთობა მოსკოვსა და ქართველ მეფეთა შორის თითქმის 30 წლით (1606-1635 წწ.) შეწყდა.

1635 წელს კახეთის მეფემ თეიმურაზ I-მა მოსკოვს ელჩი გაგზავნა თხოვნით — მოეშველებინათ რუსთა კორპუსი ირანისა და თურქეთის წინააღმდეგ საომრად.

არეულობით დაუძლურებულ მოსკოვის სახელმწიფოს არ შეეძლო ომის დაწყება, მაგრამ თეიმურაზს გამოუგზავნა ელჩები თავად ვოლკონსკისა და დიაკინ ხვატოვის მეთაურობით (1638 წლის 9 ივნისს). ნახსენები ორი პირის გარდა, ელჩობაში შედიოდნენ მთარგმნელი, 2 თარჯიმანი, 2 მწერალი, 2 ფრინველზე მონადირე, 2 ხუცესი, 1 ბერი, 1 დიაკონი და სხვანი — სულ 13 კაცი. ვოლკონსკიმ ჩამოიტანა მეფე მიხეილ თევდორეს ძის წერილი თეიმურაზისადმი, რომლითაც ატყობინებდა, რომ მოსკოვის მეფემ თავის მფარველობაში მიიღო იგი და აღუთქვა მას მისი სამფლობე-

ლოს დაცვა, რომელთა წინაშე თეიმურაზმა დადო ერთგულების ფიცი მეფე მიხეილ რომანოვისადმი და მისგან მნიშვნელოვანი ფულადი დახმარება მიიღო.

ელჩობასთან ერთად რუსეთის მიწაში საქართველოში გამოგზავნა მხატვრები და გამოატანა ოქრო-ვერცხლი, საღებავები ქართული ხატების აღსადგენად, გამოაყოლა მინის ოსტატები ეკლესიებში მინების ჩასასმელად, ამასთანავე, ელჩებს დაევა, ლათი გაცნობოდნენ ჩვენს ქვეყანას, მის მიწურეობას და შეეცაყოთ, კარგი ურთიერთობა ჰქონდათ თუ არა თეიმურაზ მეფეს სამეგრელოს მთავარ დადიანთან. საქართველოს საზღვარზე (თუშეთში) ელჩებს თეიმურაზი შეეგება ჯარიურთ. 1638 წლის 12 აგვისტოს რუსეთის მეფის წარგზავნილები ჩავიდნენ სოფელ ლოპანთან (პანკისის ხეობაში), მოშორებით იყორამდენიმე ქოხი, რომლებშიც ცხოვრობდა თეიმურაზის მეუღლე თავის ვაჟთან — დავითთან ერთად. რუსეთის ელჩები დაახინავეს ამ ქოხებიდან ერთი ვერსის დაშორებით, მდინარე ალაზნის ნაპირას...

ელჩები უჩიოდნენ საკვების ნაკლებობას. თეიმურაზი ბოდიშს იხდოდა, მხოლოდ კახეთილა შემოწრა და ისიც შაჰმა გამინადგურაო. 5 სექტემბერს რუსეთის მეფის მოციქულებს გამოუცხადეს, მისუღიყვნენ წმინდა გიორგის მონასტერში თეიმურაზთან აუდიენციაზე. დესპანები შეიყვანეს მეფის დარბაზებში, იატაკზე დაფენილი იყო ხალიჩები, თეიმურაზი იჯდა ბალიშზე, მარჯვნივ უჯდა მემკვიდრე, ელჩების აღწერის თანახმად, მეფე 50 წლამდეა, შუატანის, აქვს თეთრი, ჭორფლიანი სახე, წვერი — შავი, შეღებილი და შეკვრეჭილი, თმა გადაპარსული აქვს, იგი მხარბეჭიანია, ოდნავ მოხრილი, თვალები ნაცრისფერი. სუფთად აცვია, ფრჩხილები ხნით აქვს შეღებილი. უფლისწული დაახლოებით 20 წლისაა. მამაზე მალაღია, სახე თეთრი, თმა და წვერი





გაპარსული აქვს, თავზე დატოვებულია ერთი ბლუჯა თმა, ცალი უღვაში, რომელიც შეღებილია ნითლად...

აუდიენციის მეორე დღეს ელჩებს გაუმართეს სადილი. 18 სექტემბერს თეიმურაზმა კვლავ მიიპატიჟა რუსთა ხელმწიფის წარგზავნილები იმავე წმინდა გიორგის მონასტერში წირვაზე. წირვის შემდეგ მეფემ ბრძანა, ეკლესიიდან გამოსულიყო ყველა, გარდა სამი ეპისკოპოსისა, ელჩები სკამზე დასვა და უამბო, როგორ გახდა იძულებული, შაჰისათვის ცოლად მიეცა თავისი ქალიშვილი. **„ცოტა ადრე კი შაჰმა წაიყვანა დედაჩემი — თამარი (ქეთევანი) და ორი ვაჟიშვილი. დედამ უარი თქვა გამაჰმადიანებაზე. შაჰის ბრძანებით, მას თავი მოჰკვეთეს... ვაჟიშვილები კი დაასახიჩრეს (დაასაჭურისეს) და აქამდე დატყვევებული ჰყავს...“**, აქ თეიმურაზმა ყუთი მოატანინა, აჰხადა და ელჩებს უჩვენა თავისი დედის თავი და მარჯვენა ხელი... **„ახლა მინდა დავივიწყო მთელი ეს უბედურება და ვალიარო მართლმადიდებლური სარწმუნოება, ამიტომ ვემორჩილები თქვენს ხელმწიფს“**. რამდენიმე დღის შემდეგ თეიმურაზმა წირვა მოისმინა და თვითონ, მისმა ძემ და ყველა წარჩინებულმა ელჩების თანდასწრებით ხელი მოაწერეს მოსკოვის მეფის ქვეშევრდომობის ხელშეკრულებას და ნიშნად ფიცისა, ჯვარს ემთხვევნენ.

როცა შაჰმა შეიტყო, თეიმურაზმა მოსკოვის მეფეს ერთგულების ფიცი მისცაო, კახეთიდან განდევნა იგი. თეიმურაზი იმერეთში გაიხიზნა სიძესთან — მეფე ალექსანდრე მესამესთან და თან წაიყვანა ათასი მოლაშქრე. **1649 წელს თეიმურაზმა და ალექსანდრემ კვლავ გაუგზავნეს ელჩები მეფე ალექსი მიხეილის ძეს და სთხოვეს სამხედრო და ფინანსური დახმარება, აგრეთვე, იმერეთის მიღება რუსეთის მფარველობაში**. ამასთანავე, თეიმურაზმა, მოსკოვის მეფისათვის ერთგულების დასამტკიცებლად, წინადადება მისცა, სამეფო კარზე წარეკლინა თავისი შვილიშვილი ერეკლე (ნიკოლოზი). ეს წინადადება მიღებულ იქნა, **იმერეთის მეფემ და მისმა თავადებმა მოსკოვის მეფისადმი ერთგულების ფიცი დადეს**. ბოლოს, 1658 წელს თვით თეიმურაზი გაემგზავრა ამალითურთ მოსკოვს. იგი დიდი პატივით მიიღეს, მაგრამ სამხედრო დახმარებაზე უარი უთხრეს, რადგან ახალი დამთავრებული იყო რუსეთ-პოლონეთის ომი... (უკრაინის შემოერთების გამო 1654 წ.); დაჰპირდნენ მხოლოდ დიპლომატიურ მხარდაჭერას, მართლაც, ჯერ კიდევ 1650 წელს მეფე ალექსიმ შაჰ-აბას II-ს გაუგზავნა სიგელი, რომ „მეფე თეიმურაზისათვის წყენა არ მიეყენებინა“. რუსეთის მეფე შაჰს სწერდა:

**„თქვენ, ჩემმა ძმამ, ... უწყით, რომ საქართველო ქრისტიანული სარწმუნოების ქვეყანაა... და რომ მეფე თეიმურაზი მთელი ქართველი ხალხითურთ ჩვენი მეფური უდიდებულესობის ქვეშევრდომია. გასულ წელს... ჩვენ ვწერდით თქვენს უდიდებულესობას, რომ ჩვენს ქვეშევრდომ საქართველოს მეფე თეიმურაზს თქვენი უდიდებულესობის ხელქვეითნი კაცები აყენებენ ძალადობას, წყენასა და დიდ გაჩანაგებებს. ამასთან ერთად, ჩვენ მოვავგონებთ თქვენს უდიდებულესობას, რომ... ჩვენი მეფური უდიდებულესობის წინაპრებს... თქვენი პაპის მამასთან, განსვენებულ შაჰ-აბას პირველთან და თქვენს განსვენებულ მამასთან შაჰ-სეფისთან ძმური განწყობილება, მეგობრობა, სიყვარული და წრფელი გულითადი კავშირურთიერთობა ჰქონდათ... თქვენ, ჩვენი ძმა, ჩვენდამი ეპისტოლეებში... გვწერდით, რომ... თქვენ, ჩვენი მეფური უდიდებულესობის ძმური და მეგობრული სიგელის გამო, ბრძანეთ, დაგეცვათ საქართველოს მეფე და მისი ქვეყანა და რომ თქვენს ქვეშევრდომთ წყენა და ძალადობა არ მიეყენებინათ მისთვის. ხოლო ამჟამად ჩვენ შევიტყვეთ, რომ**

**თქვენმა... მხედართმთავრებმა შამახიიდან და განჯიდან გაილაშქრეს ჯვართურთ მეფე თეიმურაზის წინააღმდეგ საქართველოში, იქ ჩაიდინეს მრავალი ბოროტება, ამოხოცეს დიდძალი ქართველობა, მოკლეს მეფე თეიმურაზის ძე დავითი, საქართველოდან განდევნეს მეფე თეიმურაზი და მახლობელნი მისნი... ხოლო ჩვენი მეფური უდიდებულესობის ბოიართა თანდასწრებით... თქვენმა დესპანმა მუჰამედ-ყული-ბეგმა, დაჰკითხეს რა, განაცხადა, რომ მეფე თეიმურაზსა და მთელ საქართველოს წყენა და ზარალი თქვენი ნების გარეშე მიაყენა რუსტამ-ხანმა... თქვენ, ჩვენი ძმა... გაიხსენებდით რა ძმურ განწყობილებას, მეგობრობასა და სიყვარულს თქვენსა და ჩვენს წინაპრებს შორის, აუკრძალავთ, რომ აღარ მიაყენონ წყენა და ზარალი მეფე თეიმურაზსა და მთელ საქართველოს. უბრძანეთ, დაუბრუნონ წართმეული ქონება, რათა განმტკიცდეს ჩვენ შორის მეგობრობა და სიყვარული...“**

როცა თეიმურაზი მოსკოვიდან სამშობლოში დაბრუნდა, შაჰ-აბას II-მ იგი თავისთან მიიწვია, შეჰფიცა, დიდი პატივით მივიღებ, ისე, როგორც მშობლიურ მამასაო (შაჰი ახალგაზრდა იყო, თეიმურაზი კი — უკვე 72 წლის მოხუცი). მეფემ დაუჯერა და წავიდა (1661 წ.). შაჰმა წინადადება მისცა თეიმურაზს, მუსლიმანობა მიეღო, მეფემ უარი განუცხადა. რამდენიმე დღის შემდეგ შაჰმა მეფე ლხინზე მიიპატიჟა, მეფემ სახსნილო საჭმელი არ ინება, რადგან მარხვა იყო. შაჰი გაცხარდა და ღვინიანი სასმისი სახეში შეაქცია. თეიმურაზმა დიდად ინყინა, მაგრამ მოითმინა. მეფეს რომ გაჯავრება შეატყო, შაჰმა დაცინვა დაუნყო და უთხრა: „როცა შვილი მამისადმი უპატივცემულობას იჩენს, მამა ამაზე არ ჯავრობს“. მეორე დღესვე შაჰმა მხცოვანი მეფე ასტრახადის ციხეში გაგზავნა. დატყვევებული თეიმურაზი 1663 წელს იქვე გარდაიცვალა.



# სამეგრელოს სამთავროს შეერთება მეფის რუსეთთან

XIX საუკუნის სამეგრელოს ისტორიის შესახებ შედარებით მდიდარი ლიტერატურა ქართულ ენაზეა დაწერილი; მაგრამ არც ერთი მკვლევარი არ სცილდება XIX საუკუნის 50-იან წლებში მომხდარ გლეხთა აჯანყებას, არ იყენებს XIX ს. სამეგრელოს ისტორიის საინტერესო მასალას, რომელიც დაცულია კავკასიის მეფისნაცვლის, თავად ბარიატინსკისა და მისი საბჭოს წევრის დიუკრუასის მიმონერაში (ფრანგულ ენაზე). წინამდებარე ნარკვევი ალ. ფირცხალაიშვილმა შეადგინა სამეგრელოს შესახებ გამოქვეყნებული ისტორიული დოკუმენტებისა და ამ მხარის აღწერილობების მიხედვით (ლამბერტი, შარდენი, დიუბუა დემონპერე, სერენა, ბერჟე, ბაქრაძე და სხვ.). მისი ამოცანაა, აღადგინოს: მეფის რუსეთთან სამეგრელოს სამთავროს შეერთების ისტორია; ამ სამთავროს მდგომარეობა მეფის რუსეთის მფარველობაში ყოფნის პერიოდში და სამეგრელოს სამთავროს უფლებათა დაკარგვის თანმიმდევრობითი პროცესი. სამეგრელოს სამთავროს გაუქმებას თავისი გამართლება ჰქონდა იმ ვითარების გამო, რომელიც სამეგრელოში შეიქმნა განსაკუთრებით 1853-1856 წწ., რუსეთ-თურქეთის ომის დროს. ამ ომმა მძლავრად შეარყია სამეგრელოს სამთავრო, რომელიც აქამდე თავგამოდებით იცავდა თავის ფეოდალურ წყობილებას. სამეგრელოს ავტონომიის გაუქმება დამთავრდა მისი უკანასკნელი მთავრის, თავად ნიკოლოზ დადიანის, გადადგომით, თავის უფლებებზე „ნებაყოფლობით“ უარის თქმით.



დადიანების სასახლე ზუგდიდში

რუსეთ-თურქეთის 1806-1812 წწ. ომში, განსაკუთრებით 1809 წ. ფოთის ციხის აღების დროს, რაც ქართველი ხალხის ეროვნულ მიზანს ემსახურებოდა, მეგრელთა შეიარაღებული რაზმები რუსეთის ჯარებს დიდ დახმარებას უწევდნენ. რუსეთის ჯარები, მეთაურები მოურიდებლად მიმართავდნენ დადიანებს და მოითხოვდნენ მათგან მეგრელთა რაზმებით რუსის ჯარების გაძლიერებას. ჯარების უფროსი გენ. ორბელიანი მთავარმართებლის, გორმასოვის, სახელზე გაგზავნილ მოხსენებაში ადასტურებდა, რომ ფოთის ციხის აღების დროს მოკლულ იქნა 8 და დაიჭრა 12 მეგრელი და აფხაზი. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი, — წერს ორბელიანი, — მთავარმა ლევან დადიანმა, რომელიც სამეგრელოს მიტროპოლიტ ჭყონდიდელთან და მოხუც ცაიშელთან ერთად გაბედულად ასრულებდა ყველა-

ფერს, რასაც კი მისგან მოვითხოვდით“. გორმასოვი ადასტურებდა საგარეო საქმეთა მინისტრის, გრაფ რუმინცევის, წინაშე, რომ იმ მარცხის დროს, რომელიც რუსებმა მიაყენეს შერიფ-ფაშას, საუცხოოდ მოქმედებდა რაზმი „სამეგრელოს ახალგაზრდა მთავრის ლევან გრიგოლის ძის მეთაურობით, რომელმაც რამდენიმეჯერ მოამარაგა ჩვენი (რუსის) რაზმი ულუფით“; რომ სამეგრელოს დედოფალს, ნინოს, „ყოველთვის გამოჰყავდა მუშა ხალხი, რამდენიც კი საჭირო იყო, ყოველგვარი ხელფასის გარეშე, მხოლოდ თავისი ერთგულების დასამტკიცებლად“, თვითონაც ნინო არა ერთხელ მოსულა ჯარის ნაწილების დასათვალისწინებლად იმ დროს, როცა მის სიცოცხლეს ასეთი მოსვლით საფრთხე ელოდა. სამეგრელოს მთავრების სამსახური რუსეთის ხელი-

სუფლებიდან აიხსნება არა მხოლოდ მათი ერთგულებით, არამედ იმითაც, რომ რუსეთის პოლიტიკა ამ ობიექტურად ქართველი ხალხის ეროვნულ მისწრაფებებს ემთხვეოდა, სახელდობრ, ქართველი ხალხის დაცვას ირან-თურქეთის აგრესიისაგან და თურქეთის მიერ მიტაცებული მიწა-წყლის საქართველოსათვის დაბრუნებას. იგივე გორმასოვი 1810 წელს სწერდა დედოფალ ნინო დადიანსას, რომ მას მხარი დაეჭირა რუსეთის ერთგულ აფხაზ სეფერ ალი-ბეისათვის და გაეგზავნა მისთვის თუნდაც ათასი შეიარაღებული კაცი თავდაცვისათვის, ვიდრე სოხუმში რუსის ჯარი მოვიდოდა. როცა იმერეთში აჯანყება დაიწყო, გორმასოვმა 1810 წლის 21 ივნისს მთავარ ლევან დადიანს წინადადება მისცა, შეეგროვებინა „მეგრელების ჯარი,



ჰყოლოდა იგი მზად, რათა პოლკოვნიკ სიმონოვიჩის პირველსავე მოთხოვნით გაეგზავნა იგი ქარაფშუტა იმერლების დასასჯელად, რომელთაც გაბედედეს რუსეთის იმპერატორის წინააღმდეგ აჯანყება“. მემამულეებსა და გლეხებს შორის კლასთა ბრძოლის გამწვავებისა და ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის შედეგად 1819-1820 წწ. იმერეთში სახალხო აჯანყებამ იფეთქა. როცა მოსალოდნელი გახდა, რომ ეს აჯანყება იმერეთის მოსაზღვრე სამეგრელოს სამთავროსაც მოედებოდა, ერმოლოვის მოადგილემ, გენ. ველიამინოვმა წინადადება მისცა სამეგრელოს მთავარს, ყოველგვარი ზომები მიეღო თავის ქვეშევრდომთა მორჩილებაში მოსაყვანად, ხოლო ერმოლოვმა მთავარ ლევან დადიანისადმი გაგზავნილი წერილებით სასტიკი გაფრთხილება მისცა მას და მიუთითა მთავრის ვალდებულებაზე — დახმარებოდა მეფის ხელისუფალთა აჯანყების ჩაქრობაში.



ლევან დადიანი

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ სამეგრელოს მთავართა ლოიალობა მეფის მთავრობისადმი ეჭვს არ იწვევდა. რუსეთის იმპერატორისადმი ერთგული სამსახურით დადიანები ცდილობდნენ, დაემტკიცებინათ თავიანთი ლოიალობა და ამრიგად თავიდან აეცილებინათ ყოველგვარი ეჭვის საბაბიც კი. როცა მთავარმართებლის, რტიშჩევის, ყურამდე მივიდა ამბავი, რომ მთავარმა ლევან დადიანმა წერილი მიიღო ფოთში მყოფი თურქეთის ფაშისაგან, რაც შემდეგ უბრალო დასმენა გამოდგა, სამეგრელოს ახალგაზრდა მთავარმა არ დააყოვნა, მიენერა რტიშჩევისათვის: „უმალ შიშველ კისერს შევუშვერ გაშიშვლებულ ხმალს, ვიდრე უარს იტყვი ყოვლად სახიერ და უავგუსტოეს ხელმწიფის მონობაზე. მე რამდენჯერმე შევფიცე... და როგორ დავარღვევ ჩემს ფიცს და აღთქმას?“

მაშინ, როცა იმერეთის 1819-1820 წწ. აჯანყებაში მონაწილეობა მიიღო მთავრის უმცროსმა

ძმამ გიორგი დადიანმა, ეჭვი იქნა მიტანილი მის დედაზე — სამეგრელოს დედოფალ ნინო გიორგის ასულზეც. 1826 წელს კი მთავარი ლევანი იქნა დასმენილი — თითქოს იგი მიმოწერას აწარმოებდა ცარიზმის წინააღმდეგო აჯანყების მოსაწყობად საქართველოში ჩასულ ქართველ ბატონიშვილ ვახტანგთან. მიუხედავად ამისა, არც პირველ, არც მეორე შემთხვევაში მთავარ ლევან დადიანის ლოიალობაში ეჭვი არ ყოფილა შეტანილი. თვით ერმოლოვიც ამასვე უდასტურებდა გენერალი ბიჩის. ლევან დადიანმა ხელი შეუწყო თავისი ძმის — გიორგი დადიანის (ლეიბ-გვარდიის პრეობრაჟენსკის პოლკის პოდპორუჩიკის) დაპატიმრებას, მაგრამ იმ პირობით, რომ მათთვის (გიორგისთვის) სიცოცხლე შეენარჩუნებინათ.

**მთავარი ლევან დადიანი მართლაც არ ზოგავდა თავის ქვეშევრდომთა სისხლს, ოღონდ თავისი ერთგულება დაემტკიცებინა რუსეთის იმპერატორისათვის.** 1824 წელს, როდესაც აფხაზეთში აჯანყება დაიწყო და ერმოლოვმა წინადადება მისცა მთავარს — „შეეგროვებინა მხედრები, რამდენსაც შესძლებდა“, დაუყოვნებლივ წასულიყო აჯანყებულ აფხაზეთში და ემოქმედნა იქ ცეცხლითა და მახვილით რუსეთის ჯარის

მოდრობასთან შეთანხმებით, მთავარმა ლევანმა ეს დავალება უყოყმანოდ შეასრულა. თავის საპასუხო წერილში, რომელიც მან ერმოლოვს გაუგზავნა, იგი მოახსენებდა, რომ მის მიერ აფხაზეთში სიმაგრეების აღების დროს „მოკლულია და დაჭრილი... არა მცირედი რაოდენობა სამეგრელოს თავადებისა და აზნაურებისა, მდებრიო ხალხზე რომ არაფერი ვთქვათ“-ო, დიდი იყო აგრეთვე მატერიალური ზარალიც-ო. მიუხედავად ამისა, აფხაზეთის სიმაგრეების ხელში ჩაგდებას იგი იმპერატორისათვის ბედნიერებად თვლის.

**მეფის მთავრობას კარგად ესმოდა, თუ რა დიდ სამსახურს უწევდა მას სამეგრელოს მთავარი, რის გამოც ვალში არც ის რჩებოდა და ცდილობდა დაეჯილდოებინა დადიანის სამთავრო სახლი გულმოდგინე და ერთგული სამსახურისათვის.** მეფის მთავრობის წარმომადგენლებს არაერთხელ დაუცავთ სამეგრელოს მთავართა ინტერესები, როცა ამ ინტერესებს შელახვა ელოდა თავიანთი ქვეშევრდომებისგან, ე.ი. როცა სამეგრელოს მთავარს თავისი თავადები და აზნაურები არ ემორჩილებოდნენ, ხოლო გლეხები დაწესებულ გადასახადს არ უხდიდნენ. სამეგრელოს დაბანაკებული რუსეთის ჯარის ნაწილები ყოველთვის მზად იყვნენ ურჩთა წინააღმდეგ. შეიარაღებული დაცვა, პატივის გამომხატველი გარეგნული ნიშნები (ინვესტიტურის ნიშნები, ორდენები, ძვირფასი საჩუქრები), რითაც მეფის მთავრობა უხვად აჯილდოებდა თავის ერთგულ ვასალებს, უეჭველია, ხელს უწყობდა მთავრის ქვეშევრდომთა თვალში მისი პრესტიჟის განმტკიცებას. **ის მირყვი, მართლაც „ლარიზული“ მდგომარეობა, რომელშიაც იმყოფებოდა მთავარი ბრიგოლ დადიანი რუსეთის ძველშვედრომად გახდომის წინ ან სამეგრელოს დედოფალ ნინოს მმართველობის პირველ წლებში, რაც სიტყვაკაზმულად აქვთ გადმოცემული თა-**



**ნამედროვეებს სამეგრელოს აღწერილობაში, თანდათან შეცვალა მთავრის წოდებისათვის, ძლიერი რუსეთის იმპერატორის ვასალისთვის შესაფერისმა მდგომარეობამ.**

ამასთანავე, შესამჩნევად უმჯობესდებოდა მთავართა მატერიალური მდგომარეობა, რითაც ისინი გამოირჩეოდნენ როგორც მათი მონათესავე დადიანებისაგან (ბატონიშვილებისაგან), აგრეთვე, განსაკუთრებით, სამეგრელოს რიგითი თავადებისაგან. **1810 წელს პეტერბურგში, მთავარმართებლის, ტორმასოვის, შუამდგომლობით, სპეციალური თანხა იქნა გადადებული მისთვის ეტილის (კარეტის) შესაძენად და მგზავრობის ორგანიზაციისათვის, შემდეგ კი მას დაენიშნა მუდმივი პენსია, წლიურად 3000 მანეთი. 1815 წლიდან მოყოლებული სამეგრელოს მთავრის შემოსავლის გასაზრდელად ნებადართულ იქნა განსაკუთრებული ბაჟი სამეგრელოში შემოტანილი და თურქეთიდან კი ტრანზიტით გატარებულ ყველა საქონელზე.** თუმცა ეს არ ეთანხმებოდა მთავარ გრიგოლ დადიანის მიერ ხელმოწერილი ქვეშევრდომობის ტრაქტატის 6-12 მუხლებს. ნაბრძანები იყო, 1823 წლიდან სამეგრელოს მთავრისათვის ხაზინიდან ეძლიათ ყოველწლიურად 1600 მანეთი, ნაცვლად იმ საბაჟო ანარიცხებისა, რომლებიც მას ერგებოდა რედუტ-კალეს გზით შემოზიდული საქონლიდან. მთლიანად დაკმაყოფილებულ იქნა სამეგრელოს მთავრის თხოვნა, რომ ქვეყნის საეკლესიო ქონებიდან მთელი შემოსავალი ხელუხლებლად დარჩენოდა მას. ეს შემთხვევა ბედნიერი გამონაკლისი იყო სამეგრელოს მთავრისათვის, გურიის მთავართან და იმერეთის მიტროპოლიტთან შედარებით. უკანასკნელთა საეკლესიო ქონება აღწერეს და შემოსავალი აღრიცხეს.

თვით **სამეგრელოს სამთავროს საზღვრებიც თანდათანობით ფართოვდებოდა.** გარდა ლეჩხუმისა, რომელიც საბოლოოდ სა-



ეკატერინე დავიანი

მეგრელოს ნაწილად იქნა აღიარებული, აფხაზეთის სამთავროდან სამეგრელოს შეუერთეს სამურზაყანო; სამურზაყანოს 1813 წლიდან სამეგრელოს მთავარი განაგებდა ჯერ მეურვის უფლებებით, შემდეგ კი (1840 წლამდე) ყოველგვარი კონტროლის გარეშე, რადგან იგი რუსეთის ხელისუფლების მფარველობით სარგებლობდა. 1831 წელს პალიასტომის ტბა საბოლოოდ მიეკუთვნა სამეგრელოს და გურიის მთავრის ყველა პრეტენზია მის მიმართ — ამიერკავკასიაში რევიზიის ჩამტარებელი სენატორების, კუტაისოვისა და მეჩნიკოვის, შუამდგომლობით და „ნიშნად მთავარ დადიანის პატივისცემისა რუსეთის ტახტისადმი ერთგულებისათვის“ — დაუკმაყოფილებელი დარჩა.

სამთავროს საზღვრების გაფართოებამ, სახელმწიფო ხაზინიდან დამატებით მიღებულმა შემოსავალმა საბაჟო შემოსავლის დათმობის გამო, თანდათანობით წესრიგის დამყარებამ, სამთავროს სახლის კუთვნილი მამულებიდან შემოსავალმა, აგრეთვე, სამეგრელოს თავად-აზნაურთა შემოსავლის ნაწილის გადარიცხვამ დადიანისათვის — იმდენად უზრუნველყო და გაამდიდრა დადიანი, რომ მას შეეძლო ნებივრად ეცხოვრა, „არ ეხეტილა ქვეყნად ისე, როგორც წინათ, და არ გაეყვლი-

ფა თავისი ქვეშევრდომები ზედმეტი გადასახადებით“.

ძველებურ, პატრიარქალურად მარტივ ცხოვრებაზე ლაპარაკიც კი აღარ შეიძლებოდა. ზუგდიდში, სადაც მთავრის საზამთრო რეზიდენცია იყო, მთავარ ლევანის სიცოცხლეშივე, როცა ქვეყნის ფაქტიური მმართველი დავითი გახდა, აგებულ იქნა ევროპული სტილის **შესანიშნავი სასახლე**. სასახლესთან გაშენებულ იქნა „საუცხოო ტროპიკული ბაღი“, „სასახლის სამზარეულოს განაგებდნენ შვეიცარიელი chef de cuisine, ხოლო სასახლეში დატრიალებდნენ მთელი გუნდი მშვენივრად განვრთნილი, ზრდილი, მარდი, მოხდენილი, რუსულად მოლაპარაკე ახალგაზრდა მეგრელი თავადიშვილები. ისინი მორიგეობდნენ მთავართან, მოახსენებდნენ სტუმრებისა და მთხოვნელების მისვლას, მათვე გადასცემდნენ ხოლმე შესასრულებლად მთავრის ნაბრძანებს და, ბრწყინვალე ამალის სახით, მუდამ თან ახლდნენ მთავარსა და დედოფალს“.

სამეგრელოს მთავრის პრესტიჟის გაზრდას სამეგრელოს თავად-აზნაურთა წრეში დიდად შეუწყო ხელი რუსეთის მეფე ნიკოლოზ I-ის ჩასვლამ დაბა ზუგდიდში 1837 წელს, კავკასიაში მოგზაურობის დროს, და სამი დღით მთავარ ლევან დადიანთან სტუმრობამ, რომლის ერთგულებამ და გულწრფელობამ მეფე დიდად მოხიბლა. ამავე დროს რუსეთის იმპერატორების იმავე ყურადღებამ სამეგრელოს მთავრებისადმი აგრეთვე მეტად გაზარდა უკანასკნელთა წონა როგორც ადგილობრივი — კავკასიის, ისე ცენტრალური მთავრობის წარმომადგენელთა თვალში. **სამეგრელოს მთავრების თხოვნებს და შუამდგომლობებს განსაკუთრებულ ანგარიშს უწევდნენ და ცდილობდნენ მათ დაკმაყოფილებას შესაძლებლობისდაგვარად.** იმ შემთხვევაშიც კი, როცა მთავართა განკარგულებანი მთავრობის ადგილობრივ ხელისუფალთა ღონისძიებებს ეწინააღმდეგებოდა, ეს უკანასკნელნი, ჩვეულებრივ,





საქართველოს მთავარმართებლის საშუალებით მეტად თავაზიანი წერილებით მიმართავდნენ მთავრებს და პირადად თავისი სახელით მათ არავითარ თხოვნას არ უგზავნიდნენ.

მთავარ დადიანის სამთავრო კარსა და რუსეთის სამეფო კარს შორის პირადი ურთიერთობის განმტკიცებას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ მთავრები ცდილობდნენ, თავიანთი შვილები რუსეთის მეფის კარზე, პეტერბურგში, აღეზარდათ. თავისი შვილის მძევლად ჩარიცხვა იმპერატორის ამაღლაში ჯერ კიდევ მთავარმა **გრიგოლ დადიანმა** ითხოვა. მისი უმცროსი ვაჟი **გიორგი, რუსეთის გვარდიის ოფიცერი, პეტერბურგის გვარდიის ბრწყინვალე ახალგაზრდობის წრეში ტრიალებდა, მთავარ ლევანის შვილები — გრიგოლი და კონსტანტინე ჩარიცხულნი იყვნენ იმპერატორის პაჟებად**. სამეგრელოს დედოფალმა ეკატერინე დადიანმა მიიღო ეკატერინეს პირველი ხარისხის ორდენის ნიშნები და იმპერატორ ალექსანდრე II-ს კურთხევის დროს „გვარის პრინციესებს“ შორის განსაკუთრებული საპატიო ადგილი ეჭირა. სამეგრელოს მთავრების მხრიდან შეიმჩნევა ერთგვარი მისწრაფება თავის ქვეყნის „გარუსებისაკენ“ არა მხოლოდ რუსული მმართველობის წესების შემოღებით, არამედ სამეგრელოში რუსეთის საკოლონიზაციო ელემენტების დანერგვითაც კი, რაც მიზნად ისახავდა მთავართა კუთვნილ მამულებიდან შემოსავლის გაზრდას. რუსების მიერ სამეგრელოს კოლონიზაციის გეგმებს მეფის მთავრობაც ადგენდა, მაგრამ სულ სხვა მოსაზრებით. ამის შესახებ საკითხი პირველად დაისვა ჯერ კიდევ 1805 წელს, როცა ფიქრობდნენ სამეგრელოს შავი ზღვის სანაპიროზე კაზაკების დასახლებას, მაგრამ მთავარმართებლის თავ. ციციანოვის მიერ ეს მაშინ უარყოფილ იქნა. ამის შესახებ მუამდგომლობდა, აგრეთვე, მთავარმართებელი ტორმასოვიც, რომელმაც დაიწყო ფოთის მახ-

ლობლად ბერძნებისა და რუსების დასახლება. რაც შეეხება სამეგრელოს მთავრებს, მათ მიერ სამეგრელოს თავისუფალ მიწაზე ოსტრეის მხრიდან მოსულთა დასახლების გეგმა შედგენილი იყო მთავარ ლევან დადიანის დროს. ლევანი გაცხოველებულ მოლაპარაკებას აწარმოებდა ამ საკითხზე ბარონ შტაკელბერგთან, რომელიც ფიქრობდა ბალტიის მხრიდან ლატვიელებისა და ესტონელების 500 ოჯახის გადმოსახლებას. ლევანი მზად იყო, გადმოსახლებულთათვის მიეცა სულზე 10 დესეტინა მიწა, „და თითოეულ დესეტინაზე 25 კაპიკსა სთხოვდა საიჯარო ფულსა“. სამეგრელოს მთავარმა გააფრთხილა თავისი თავადაზნაურობა, რომ ის შტაკელბერგის მითითებით ვალდებულია ახალმოსულთათვის გაათავისუფლოს მიწები.

რუსი „სტაროობრიადელების“ (ძველი სარწმუნოების მოსავენი) სამეგრელოში გადმოსახლების საკითხი კავკასიის კომიტეტმა 1845 წელს განიხილა. მთავრის წინადადება, რომ რუს გადმოსახლებულთათვის მიეცათ 10 დესეტინა მიწა სულზე, მოემარაგებინათ გადმოსახლებულნი მშენებლობისათვის საჭირო ხე-ტყით და პირუტყვით, რისთვისაც გადმოსახლებულნი მფლობელს მიწის მოსავლის 1/20 გადაუხდიდნენ და კვირაში თითო ოჯახიდან ერთ მუშას მისცემდნენ, — დამტკიცებულ იქნა ნიკოლოზ I-ის მიერ იმ დამატებით, რომ ახალდასახლებულებს უნდა შეენარჩუნებიათ სახელმწიფო გლეხთა წოდება, ჰქონოდათ თავისი არჩევითი მმართველობა; ეს შეთანხმება ძალაში უნდა დარჩენილიყო 24 წლის განმავლობაში.

მართალია, მთავრების გეგმა სამეგრელოში რუსებისა და სხვათა გადმოსახლებისა განუხორციელებელი დარჩა, მაგრამ გადმოსული რუსები ხალისით სახლდებოდნენ საქართველოსა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში სახელმწიფო მიწებზე, სადაც კლიმატური პირობები მათთვის უფრო ხელსაყრელი იყო და სადაც მათ

არ ელოდათ ბატონყმობის ულე-ლი, რასაც, უეჭველია, ითვალისწინებდა სამეგრელოს მთავარი, როდესაც გადმოსახლებულებს მიწას სთავაზობდა. ეს გეგმები მაინც მეტად დამახასიათებელია. სამეგრელოს მთავრის ასეთი მოქმედება ლაპარაკობს არა მარტო იმის შესახებ, რომ ის ცდილობდა ასეთი საშუალებით თავისი მიწების შემოსავლიანობის გადიდებას და თავისი ხელისუფლებისათვის მატერიალური ბაზის შექმნას, არამედ იმაზეც, რომ ამით ის მხარს უჭერდა ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას ყოველგვარი შედეგების გაუთვალისწინებლად და თავისი ქვეყნის მკვიდრი მოსახლეობის საზიანოდაც კი.

რუსეთის იმპერიასთან თავისი ქვეყნის დაკავშირებისა და მისი მოსახლეობის რუსულ კულტურასთან დაახლოების მიზნით, მთავრები რუსეთის ქვეშევრდომობის პირველი წლებიდანვე იღებდნენ ზომებს სამეგრელოში რუსული სასკოლო განათლების გასავრცელებლად. სამეგრელოში სასწავლებლების გახსნის შესახებ შუამდგომლობა პირველად ნინო გიორგის ასულმა აღძრა, როდესაც მან იმპერატორს პეტერბურგში წარუდგინა სამეგრელოს დეპუტაცია და შინაგან საქმეთა მინისტრისადმი წერილობით მიმართვაში სთხოვდა „სხვადასხვა საქმეთა შესახებ, რომლებიც ეხება სამეგრელოს შინაურ მოწყობას“.

**მთავარი ლევან დადიანი 1830 წელს სწერდა საქართველოში მთავარმართებლის მოადგილეს: „მსურს რა სამეგრელოში არსებითი სარგებლობა მოუტანოს ხელმწიფე იმპერატორს“, ვშუამდგომლოვ, „დანიშნოთ სამეგრელოს ნორჩ თავად-აზნაურთათვის მასწავლებელი. ეს არის ჩვენი საერთო სურვილი“.** მთავარი, თავის მხრივ, ალუთქვამდა სასწავლებლისა და მასწავლებლისთვის სურსათს და, გარდა ამისა, წლიურად — 200 მანეთს ფულად. ეს თხოვნა ამიერკავკასიის სასწავლებლის დირექტორის მიერ მაშინვე იქნა დაკმაყოფილებული.



ნოკო ბერძენიშვილი

# საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისთვის

XVI საუკუნის მეორე ნახევარში კავკასიაში დიდმნიშვნელოვანი ამბები მოხდა. 1578 წელს ოსმალეთმა ისარგებლა სპარსეთის არეულობით, დაარღვია 1555 წლის ზავი, განდევნა ყიზილბაშები ამიერკავკასიის დიდი ნაწილიდან და ამ ქვეყნის დაპყრობას გამალებით შეუდგა. ოსმალებმა დაიპყრეს საქართველოს სამხრეთი ნაწილი (ქართული სამცხე-საათაბაგო) და ეს ქვეყანა ოსმალურ საფაშოდ აქციეს. ასეთივე ხვედრი ელოდა საქართველოს სხვა ნაწილებსაც. ქვეყანა უდიდესი საფრთხის წინაშე დადგა: „ქართველობას“, ე. ი. ქართულ სოციალურ-პოლიტიკურსა და ეკონომიურ წყობას „ოსმალთა“, ე.ი. ფეოდალიზმის ბარბაროსული სტადია გაქრობით ემუქრებოდა. ქართველები მხნედ იგერიებდნენ შემოტევას და უთანასწორო ბრძოლაში მოკავშირეს ეძებდნენ.



კასპიის ზღვის რაიონში ოსმალეთის გამოჩენამ შეაშფოთა რუსეთი. შეთანხმების პირზე გაიმართა მოლაპარაკება ოსმალეთის წინააღმდეგ მებრძოლ სპარსეთსა და მოსკოვის სახელმწიფოს შორის. ამავე დროს მოსკოვის სახელმწიფომ სრულიად კონკრეტული სამხედრო ღონისძიებებით (თერგზე ციხის დადგმა რუსი მეციხოვნეებით) ნათლად გამოამჟღავნა, რომ მას ამ რაიონში (კასპიის დასავლეთ ზღვისპირეთში) რეალური პოლიტიკური ინტერესები აქვს.

ოსმალთა წინააღმდეგ მებრძოლი ქართველობა, ბუნებრივია, ფიცხლავ გამოეხმაურა მოსკოვის მთავრობის დიპლომატიურ ნაბიჯებს კავკასიაში. რეალური დახმარების სრული იმედი იყო. ასე რომ, მფარველი „მოსკოვი უფრო ახლოს“ ჩანდა, ვიდრე მტრული სტამბოლი.

1587-1589 წლებში გაფორმდა პირველი აქტი რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის შესახებ.

ხანგრძლივ დიპლომატიურ მიმონერაში თუ ზეპირ მოლაპარაკებაში ქართველებმა ცხადად გა-

მოთქვეს თავისი გულისნადები, თავისი შეხედულებანი ოსმალეთზე, სპარსეთზე, კავკასიის მთიანეთზე, თავისი უსაიდუმლოესი ზრახვანი, სამშობლოს „გამოსხნისა და აღდგომის“ გზები. ქართველი დიპლომატები სავსებით დარწმუნდნენ, რომ რუსეთი კავკასიაში რეალურად არის დაინტერესებული, რომ, ამდენადვე, ის მოწინააღმდეგეა როგორც ოსმალეთის, ისე სპარსეთისა, მიუხედავად იმისა, რომ ამჯერად ის ერანთან კავშირის შეკვრას აპირებს ოსმალეთის საწინააღმდეგოდ (დამახასიათებელია, რომ ალექსანდრე კახთა მეფე ცდილობს იყოს მოსაშუაღე რუსეთ-ერანის ამ კავშირისა), რომ რუსეთი კავკასიაში ამ აგრესორების (ერან-ოსმალები) წინააღმდეგ მებრძოლი ხალხების მფარველ-მოკავშირეა, ამის შედეგად იყო, რომ თავისი პოლიტიკური ზრახვების განხორციელება ქართული ფეოდალური საზოგადოების პროგრესულმა ნაწილმა რუსეთთან თანამშრომლობას მტკიცედ დაუკავშირა.

რუსეთის გამოჩენამ კასპიის დასავლეთ ზღვისპირეთში და,

განსაკუთრებით, აღმოსავლეთ საქართველოში ღრმად შეაშფოთა ყიზილბაშური ერანი: იმიერსა თუ ამიერკავკასიაში მოსკოვის სახელმწიფო შევიწროვებულ კავკასიელ ხალხთა მათგანიზე-ბელ ძალად გამოდიოდა როგორც დამპყრობელი ოსმალეთის, ისე დამპყრობელი ერანის წინააღმდეგ. თერგის ციხის გარშემო რუსეთი თავს უყრიდა ჩერქეზ-ყაზარდო-დაღისტნურ ტომებს, ხოლო ამიერკავკასიაში ქართულ სამეფო-სამთავროების შემოკრებას ცდილობდა. თავის მხრივ, ქართველებს რუსეთის მფარველობა აუცილებელ პირობად მიაჩნდათ ქართულ სამეფო-სამთავროების პოლიტიკური გაერთიანებისათვის (მათ კარგად ესმოდათ, რომ საქართველოს გაერთიანების შეურიგებელი მოწინააღმდეგე იყვნენ როგორც ოსმალეთი, ისე ერანი). ერთი სიტყვით, იმიერსა თუ ამიერკავკასიაში ისახებოდა ახალი ვითარება, რომელიც ბარბაროსობის სუფევას ამ მხარეში რეალურად ემუქრებოდა. ამის საპასუხოდ შაჰ-აბასმა ყიზილბაშობის წინააღმდეგ მებრძოლი საქართველოს ერთიანი მოსპობა





განიზრახა და ამ განზრახვის შესრულება სცადა კიდევაც, როცა საამისო შესაფერისი დრო იხელთა. სამკვიდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაიმართა. ყიზილბაშს თავისი განზრახვის სისრულეში მოყვანის ძალა არ აღმოაჩნდა. საქართველო „ქართველობით“ გადარჩა, თუმცა სასტიკად დაზიანდა (კახეთი, ქართლი).

მთელი ამ ბრძოლის განმავლობაში, ისევე, როგორც მასზე წინ და მის შემდეგ (XVII ს.), მებრძოლ ქართველებს თავის ერთადერთ მოკავშირედ მიაჩნდათ რუსეთი, რომელიც ჭეშმარიტად დაინტერესებული იყო ქართველთა გამარჯვებაში და, რაც გაეწყობოდა, ამ საქმისათვის ძალ-ღონეს არ ზოგავდა. მოსკოვის სამეფოს სამხედრო გამოსვლა კავკასიის ასპარეზზე, მართალია, ამჯერად მარცხით დამთავრდა, სამაგიეროდ, მისი დიპლომატიური ღონისძიებანი საქართველოს სასარგებლოდ ერანის შაჰის კარზე მეტადრე დიდი მნიშვნელობის მორალური ფაქტორი იყო მებრძოლი ქართველებისთვის: ამიერიდან საქართველო მარტო არ იყო და პროგრესისათვის ბრძოლაში მას ზურგს უმაგრებდა დიდი მოძიე ქვეყანა.

XVII საუკუნეში ქართველთა ეს თვალსაზრისი კიდევ უფრო გაღრმავდა და განმტკიცდა. **მოსკოვის ხელმწიფემ მფარველობის ხელი დასდო, კახეთს გარდა, იმერეთსაც.** ქართული ფეოდალური საზოგადოების პროგრესული ნაწილი დაუცხრომლად იბრძოდა საქართველოს სამეფო-სამთავროების პოლიტიკური გაერთიანებისათვის რუსეთის მფარველობის ქვეშ (თეიმურაზ, ალექსანდრე, არჩილ). სწორედ ამ ხანებში მოხდა აგრესორთა შეთანხმება (1639 წ.) საქართველოს დანაწილების თაობაზე. რუსეთის მთავრობა, რაც გაეწყობოდა, ძალებს არ ზოგავდა ერან-ოსმალეთის მძლავრობის წინააღმდეგ მებრძოლ ქართველთა დახმარებისათვის. ასე რომ, **მოსკოვის სახელმწიფო თანდათან იქცა ქართველ პატრიოტთა მორალუ-**

**რი სიმტკიცის წყაროდ.** იგივე იქცა, ბუნებრივია, ძნელბედობის ჟამს, ქართველ პატრიოტთა თავშესაფარად.

XVII საუკუნის მეორე ნახევარში დასავლეთ ევროპამ (საფრანგეთ-მა) საქართველო თვალზე აიღო. ეს მოვლენა დაკავშირებული იყო ევროპა-სპარსეთ-ინდოეთის სავაჭრო ურთიერთობასთან. ამიერკავკასია ამ საქმეში მარჯვე გზად იგულისხმებოდა. საქართველოში მრავლად გაჩნდნენ საფრანგეთის აგენტები (მისიონერები, ვაჭრები). ქართველები ცხოვლად გამოეხმარნენ ევროპელთა გამოჩენას და მას, ბუნებრივია, თავისი პოლიტიკური ზრახვები (ერან-ოსმალეთის მძლავრობისაგან სამშობლოს განთავისუფლება) დაუკავშირეს. **მაგრამ კიდევ ერთხელ ცხადი გახდა, რომ დასავლეთი ევროპა ერან-ოსმალეთის ძალადობისაგან სამშობლოს განთავისუფლების საქმეში საქართველოს არსებითად ვერ დაეხმარება (საბა ორბელიანის ელჩობის მარცხი).**

XVIII საუკუნის ოციან წლებში საქართველო (და ამიერკავკასია) მეორეჯერ იქცა სამი დიდი სახელმწიფოს ინტერესთა მწვავე შეჯახების კვანძად ახლო აღმოსავლეთში. განვითარების უნარდაკარგული ყიზილბაშთა სახელმწიფო ფეოდალურ არეულობას მოეცვა და პოლიტიკური დაშლის კარზე იდგა. მძიმე კრიზისს განიცდიდა ბარბაროსული ოსმალეთიც, რომელიც ამ მდგომარეობისათვის თავის დაღწევას ძველი, ჩვეული ხერხებით — მტაცებლური ომებითა და ახალი ტერიტორიების მიტაცებით ლამობდა.

ოსმალეთმა ისარგებლა სპარსეთის არეულობით და კავკასია-აზერბაიჯანის მიტაცება განიზრახა. შეიქნა რეალური საფრთხე იმისა, რომ ოსმალეთის ხელში გადავიდა კასპიის ზღვისპირეთი. ეს კი ყოველად მიუღებელი იყო ახალ-მოზარდ რუსეთისათვის. **რუსეთი აღმოსავლეთ-დასავლეთს (ინდოეთ-ევროპა) შორის ვაჭრობის მოსაშვალეობას იჩემებდა და ომისთვის კასპიის ზღვისპირეთის დაუფლება თავის გარდაუ-**

**ვალ საქმედ მიაჩნდა. ის დაუყოვნებლივ გამოვიდა საბრძოლო ასპარეზზე.**

ამიერკავკასიის ხალხებს (ქართველებს, სომხებს) „ფოცხვერის ყბისა“ და „ბაბრის კლანჭებისაგან“ (ასე უწოდებდა ვახტანგ მეფე სპარსეთსა და ოსმალეთს) „გამოხსნის“ დღე დასდგომოდა. „დარუბანდის გზით“ მართლაც შემოდიოდა ოსმალეთ-სპარსეთის მძლავრობის შემშუსვრელი ძალა. ქართველები (და სომხები) გულმხურვალედ გამოეხმარნენ რუსთ ხელმწიფის მონოდებას. მცისვე საომრად გაემგზავრნენ და მოკავშირე (რუსთა) ლაშქრის მოსვლას ამიერკავკასიაში მოუთმენლად ელოდნენ. მაგრამ საქმე შეფერხდა და რუსეთი იძულებული შეიქნა, ამიერკავკასიის უდიდეს ნაწილში ოსმალთა გაბატონებას დროებით შეერიგებოდა.

1723 წელს ოსმალეთმა ქართლი დაიპყრეს და აქ „ოსმალობა“ (ოსმალური სოციალურ-პოლიტიკური წესები, ოსმალური ფეოდალიზმი) შემოიღეს. მალე, სამცხე-საათაბაგოს მსგავსად, ოსმალეთმა ქართლიც საფაშოდ აქციეს. ამავე დროს ოსმალეთი შეეცადა, დასავლეთ საქართველოს ასევე დაპყრობას და იქაც საფაშოების შექმნას. ოსმალეთმა დაიპყრეს ფოთი და ის საფაშოდ აქციეს, ამავე დროს ფაშობა „მიანიჭეს“ აფხაზეთის მთავარს, დაიპყრეს ქვემო გურია (კახაბერი, ბათომი), ხოლო იმერეთში მათვე ეპყრათ ქუთაისის, ბაღდადის, შორაპნისა და ცუცხვათის ციხეები.

**ერთი სიტყვით, ოსმალეთი საქართველოს გასაქრობად გადამწყვეტ შეტევაზე გადმოსულიყო. ეს იყო ამ აგრესორის მხრით საპასუხო ღონისძიება საქართველოს გამოსხნა-აღდგომის იმ გეგმისა, რომლის სისრულეში მოყვანა ქართველ პატრიოტებს (ვახტანგ VI) რუსეთის დახმარებით რეალურ საქმედ ეჩვენებოდათ. ოსმალეთს, ისევე, როგორც შაჰ აბასს XVII საუკუნის დასაწყისში, გადაეწყვიტა, ამიერკავკასიაში რუსეთის ეს დასაყრდენი მოეშალა.**



სასტიკი ბრძოლა გაიმართა. დამპყრობლებმა ქართულ-ფეოდალურ საზოგადოებაში რამდენადმე მნიშვნელოვანი სოციალური დასაყრდენი ვერ გაიჩინა: „**ოსმალოზა შეუთავსებალი იყო ქართულ ფეოდალურ ურთიერთობასთან. „ქართველობის“ დასაცავად ძვეყანა აჯანყდა.**

მაღე სპარსეთის პოლიტიკურ ასპარეზზე თამაზ ყული ხანი (ნადირ შაჰი) გაძლიერდა. ხანგრძლივი და სისხლიანი ბრძოლით მან მოახერხა ყიზილბაში ფეოდალების (ხანების) დამორჩილება და ადერბაიჯან-კავკასიაში ოსმალთა წინააღმდეგ გამოილაშქრა. აჯანყებით მოცულ ქვეყანაში ოსმალებმა ვერ გაუძლეს ყიზილბაშების შემოტევას, დამარცხდნენ და ადერბაიჯან-აღმოსავლეთ ამიერკავკასია დაცალეს. ოსმალთა დამპყრობელი ამ ქვეყნებში, ამრიგად, ისევ ყიზილბაშ დამპყრობელმა შეცვალა (1735 წ.).

ქართლ-კახეთში ნადირ შაჰმა ყიზილბაშური სოციალ-პოლიტიკური წყობილება — „ყიზილბაშობა“ შემოიღო, რაც **ისევე შეუთავსებალი იყო ქართულ სოციალ-პოლიტიკურ წყობასთან, როგორც „ოსმალოზა“**. და ქართველი ხალხი ახლა ამ ახალ დამპყრობელს აუჯანყდა. თორმეტ წელს გრძელდებოდა ეს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა „ყიზილბაშობის“ წინააღმდეგ, ბრძოლა „ქართველობის“ დასაცავად. ერანის შაჰი იძულებული გახდა, ხელი აეღო განზრახვაზე. ქართლ-კახეთში ქართული წყობილება აღდგენილი იქნა.

ოსმალთა-ყიზილბაშობასთან ოცდახუთწლიანი მძიმე ბრძოლის მთელს მანძილზე ქართველთა ერთადერთი იმედი და ზურგის მომბმელი რუსეთი იყო. რუსეთი ეგულებოდათ საიმედო თავშესაფრად ოსმალთა-ყიზილბაშობის წინააღმდეგ აჯანყების მოთავეებს (შანშე ქსნის ერისთავი, გივი ამილახვარი) რუსეთს მიმართავდნენ პოლიტიკური გეგმებით ქართველი მეფეები (ვახტანგ VI, ალექსანდრე იმერეთის მეფე, თეიმურაზ II),

რუსეთში პოულობდნენ შესაფერის პირობებს ქართული კულტურის მოღვაწენი. ამ ნიადაგზე წარმოიშვა მოსკოვში ქართველთა კოლონია, ქართველობისათვის მებრძოლ ემიგრანტთა მოსახლობა, რომელიც დიდ პოლიტიკურსა და კულტურულ საქმიანობას ეწეოდა სამშობლოს სასარგებლოდ.

**ეს კოლონია უცილობელი მონაწილე იყო იმისა, რომ პროგრესისათვის მებრძოლ ქართველებს რუსეთი სწამდათ თავის ნამდვილ მოკავშირედ. ესევე კოლონია იყო, აგრეთვე, იმის მონაწილე, რომ პროგრესისათვის მებრძოლი ქართველები არ გადაღეულიყვნენ და მძიმე ბრძოლას მხნედ განაგრძობდნენ.**

**მოსკოვის ქართველთა კოლონიას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუს და ქართელ ხალხთა დაახლოებისათვის, ამ კოლონიამ აზიარა პირველად საქართველო მონაწილე რუსულ კულტურას.**

ამავე დროს წარმოიქმნა წინაკავკასიაში მოსახლეობანი, ხოლო ასტრახანი და ყიზლარი და, უფრო გვიან, მოზდოკი თბილისელ და გორელ ვაჭართა სარბიელი გახდა თავრიზის, ხოის, რეშტისა თუ აღმოსავლეთის სხვა სავაჭრო ქალაქების გვერდით. ასტრახან-ყიზლარიდან ქართველმა ვაჭრებმა თანდათან გზა გაიკვლიეს რუსეთის სხვა სავაჭრო ქალაქებისკენ. **ეპონომიური კავშირი რუსეთისა და საქართველოს შორის ამიერიდან სულ უფრო და უფრო იზრდავოდა და მტკიცდებოდა** (თუმცა რუსეთთან ვაჭრობის ხვედრითი წონა დიდხანს ამის შემდეგაც უფრო მცირე იყო, ვიდრე ვაჭრობისა აღმოსავლეთის ქვეყნებთან). პირველად ეს სავაჭრო ურთიერთობა დარუბანდ-შამახიის ან დარუბანდ-ბაქოს გზით ხორციელდებოდა, მაგრამ **XVIII საუკუნის 40-იან წლებში ხელახლა აღდგა დიდი ხნის წინ დაყრუებული საქარავნო-სავაჭრო „გზაი დარიალანისაი“, რომელსაც ახალს პირობებში „რუსეთის გზა“ შეერქვა. აღნიშნული გზის გახსნა საქართველოსათვის განსაკუთრებულ-**

**ლი მნიშვნელობის ფაქტი იყო. ეს გზა საქართველოს უშუალოდ აკავშირებდა ახალ მსოფლიოსთან და ყიზილბაშურ-ოსმალური გარემოცვის პირველ შენგრევას მოასწავებდა. ქართლ-კახეთის, ამიერკავკასიის ამ გეოგრაფიული ცენტრის, მნიშვნელობა „რუსეთის გზის“ გახსნასთან დაკავშირებით განსაკუთრებით იზრდებოდა: ისახებოდა პირობები, როცა საქართველო თბილისით კვლავ ამიერკავკასიის პოლიტიკური ცენტრი გახდებოდა.**

ნადირ-შაჰმა ვერ უშველა ერანის სოციალურ-პოლიტიკურ კრიზისს. შაჰი ყიზილბაშურმა რეაქციამ იმსხვერპლა, ქვეყანა ღრმა ფეოდალურმა არეულობამ მოიცვა. ქართლ-კახეთი (ისევე როგორც მთელი აღმოსავლეთ ამიერკავკასია) ფაქტიურად უცხოელთა მფლობელობისაგან განთავისუფლდა.

XVIII საუკუნე იდგა, ბურჟუაზიული ურთიერთობის გამარჯვების საუკუნე, ევროპული ქვეყნები ჩამორჩინდ ახლო-აღმოსავლეთს სხვადასხვა მხრიდან შემოსდგომოდნენ. ჩრდილოეთიდან რუსეთი, დასავლეთ-აღმოსავლეთიდან საფრანგეთ-ინგლისი, ახლო-აღმოსავლეთი, უპირველეს ყოვლისა, ერან-ოსმალეთი, ამ სახელმწიფოთა ქიშპის საგანი ხდებოდა.

ამიერკავკასიის ხალხების მიმართ ამ ევროპულ სახელმწიფოებს ერთიმეორის საწინააღმდეგო პოზიციები ეჭირათ. ინგლისსა და საფრანგეთს ამიერკავკასიის ხალხთა უშუალო დაპყრობის საშუალება არა ჰქონდათ. ამიტომ ისინი ირჩევდნენ, რათა ეს ქვეყნები ძველებურადვე ერანისა და ოსმალეთის ხელქვეშ დარჩენილიყვნენ. ამ უკანასკნელთა კოლონიურ ექსპლოატაციას კი ისინი საკუთრად აპირებდნენ. ამრიგად, რუსეთთან ქიშპში **ინგლისი და საფრანგეთი ამიერკავკასიის ხალხთა ერან-ოსმალეთისათვის დამონების მოღვაწეებად გამოდიოდნენ.** სულ სხვა იყო რუსეთის პოზიცია. ახალგაზრდა რუსეთი ოსმალეთის (და ერანის) წინააღმდეგ გამოდიოდა და ამიერკავკა-





სიის ხალხთა მხარის დაჭერას საჭიროებდა. ამდენადვე, **რუსეთი ერან-ოსმალეთის ბატონობისაგან ამიერკავკასიის ხალხთა განთავისუფლების მოღვაწე იყო.**

ახლო აღმოსავლეთის საერთაშორისო პოლიტიკის კვანძი ამიერკავკასიაში იხლართებოდა. საქართველო გადამწყვეტი მომენტის წინაშე დგებოდა.

დაჩიხული საქართველოს პოლიტიკური არსებობის „გარანტია“ — ძველი აგრესორების — ერან-ოსმალეთის — ჩამორჩენილობა იყო. **მონინავე ქვეყნების ქიშპში საქართველო, როგორც პოლიტიკური ერთეული, ვერ გადარჩებოდა, თუ ის ამ დაჩიხულობიდან ვერ გამოვიდოდა. მას უნდა დიდი სოციალურ-პოლიტიკური ნახტომი განეხორციელებინა, წინააღმდეგ შემთხვევაში პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვა მას არ ასცდებოდა.**

ყველაფერი ეს უახლოესი მომავლის საქმე იყო. ჯერჯერობით კი მონინააღმდეგე ძალები, ერთიმეორის რიდით, პოზიციურ მანევრს სჯერდებოდნენ და მთავარი საბრძოლო ასპარეზი ნეიტრალური რჩებოდა.

ქართველი ფეოდალური საზოგადოების პროგრესულ ნაწილს კარგად ესმოდა მომენტის მნიშვნელობა და სამშობლოს სასარგებლოდ მის გამოყენებას ყოველი ღონით ცდილობდა.

ქართველი ფეოდალური საზოგადოების პროგრესული ნაწილი ამ ხანას **„გამოხსნისა და აღდგო-**

**მის დროს“** უწოდებდა. „გამოხსნაში“ ქართველები სამშობლოს განთავისუფლებას გულისხმობდნენ ერან-ოსმალეო დამპყრობთა მძლავრობისაგან, „აღდგომაში“ კი საქართველოს ტერიტორიული გაერთიანება, პოლიტიკური გაძლიერება, მისთვის ძველი მნიშვნელობისა და როლის კვლავ მოპოვება — **კავკასიის ხალხთა გაერთიანების პროგრესული მისია** — გულისხმებოდა. კავკასიის ხალხთა გაერთიანების ეს იდეა არა მარტო ქართული ფეოდალური საზოგადოების პროგრესულ ნაწილში ცოცხლობდა, ასევე ცოცხლობდა ის **სომეხ პროგრესულ მოღვაწეთა წრეებშიაც.** სომეხი პოლიტიკური მოღვაწენი არა მარტო XII-XIII საუკუნეში ქართველების მხარდამხარ იბრძოდნენ დიდი პროგრესული საქმისათვის, საქართველოს ჰეგემონობით რომ ხორციელდებოდა იმ დროს კავკასიაში, არამედ შემდეგაც, საუკუნეთა მანძილზე, ქართველებთან ერთად იბრძოდნენ იმ ვითარების დაბრუნებისათვის, როცა ერთ სახელმწიფო ორგანიზაციაში გაერთიანებული, მონათესავე კულტურის მოძმე ხალხები — ქართველები, სომეხები, ალბანელები — წარმატებით იღვწოდნენ პროგრესისათვის. ამის მოწმობანია არა მარტო იმ სომეხთა საქმიანობა, რომელთაც საქართველოში სამშობლო მოიპოვეს, ამის მოწმობანია, აგრეთვე, საქართველოს საზღვარსგარეთულ სომეხთა თუ სომხურ ორგანიზაციათა თანამშრომლობა ქა-

რთველ პოლიტიკურ მოღვაწეებთან XV საუკუნეში (ალექსანდრე მეფის დროს), XVII საუკუნეში (თეიმურაზ მეფის დროს) XVIII საუკუნის პირველ ნახევარში (ვახტანგ VI დროს) და, განსაკუთრებით XVIII საუკუნის მეორე ნახევარში (ერეკლე II-ს დროს).

მძიმე ზიანად აჩნდა საქართველოს მის თავს გადახდილი ძნელებდობანი, როცა XVIII საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისს აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში რამდენიმე ხელსაყრელი პოლიტიკური პირობები შეიქმნა დაპყრობილ-დამონებულ ხალხთა „გამოხსნა-აღდგომისათვის“: სამხრეთ საქართველო ახალციხის საფაშოდ იყო ქცეული და ოსმალეო აგრესორის დასაყრდენს წარმოადგენდა საქართველოს დანარჩენი ნაწილების დასამონებლად; საფაშოდე იყო ქცეული აფხაზეთი — ოსმალეო აგრესორის მეორე დასაყრდენი (დასავლეთის მხრიდან); იგივე ოსმალები დაუფლებოდნენ დანარჩენ ზღვისპირეთსაც, რომელიც ფოთის ფაშის საგამგეოში შედიოდა, ოსმალეთს ჰქონდა მიტაცებული ქვემო გურია ბათომით და იმერეთის ციხეები: ქუთაისი, შორაპანი, ცუცხვათი, ბაღდათი. აღმოსავლეთ საქართველოს ციხე-ქალაქებში, მართალია, უცხო დამპყრობლები აღარ ისხდნენ, სამაგიეროდ, აქ სხვა რიგის ზიანი აჩნდა ქვეყანას. **ოსმალთა-ყიზილბაშობასთან ოცდახუთწლოვან ბრძოლაში მძიმედ დაზიანებულიყო ქართლი და, განსაკუთრებით, მისი სამხრეთი ნაწილი: ზოგიერთი კუთხე სულ დაცლილიყო მოსახლეობისაგან, ზოგან კი ქართველთა ნამოსახლარზე თურქმანი მომთაბარენი ჩამომსხდარიყვნენ. მძიმე იყო მდგომარეობა კახეთშიც, მისი აღმოსავლეთი ნაწილი დაღისტნელებს დაეპყრათ და ის საქართველოს მარბიელ აბრაგათა ბუნაგად ექციათ.**

ამ მოვლენებთან უშუალო კავშირში იმყოფებოდა და მძიმე მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებდა ქვეყნის ხანგრძლივი სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური

**სოლომონ მეფემ რუსეთის სამხედრო დახმარებით იმერეთის სინაეზიდან ოსმალები გააქევა. იმერეთის მეფემ ნარეპტაბულად უკუაგდო თავადურ-მთავრული რაიქმიისა და ოსმალეთის შემოტევანი (ჩხარის ომი, რუსის ომი), განაგტყისა სახელმწიფო სუვერენიტატი და დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების საქმე პრაქტიკულად წაერიდო.**

დაჩიხულობა (“სათავადოები, სამთავროები, სამეფოები), რომლის ნიადაგზე საქართველოში, უკვე დიდი ხანია, საშიშ სოციალურ სენის სახედ მძვინვარებდა“ კლასობრივი ბრძოლის გადაგვარებული ფორმები „ტყვი სყიდვა“ და „ლეკიანობა“. როგორც ერთი, ისე მეორე სავსებით გამორიცხავდა, ფეოდალური საზოგადოების შემდგომ განვითარებას.

1745 წლის აქტი (საქართველოს მეფის კურთხევა საგანგებოდ შემუშავებული წესით) მხოლოდ იმის მონიშნა როდი იყო, რომ ქართლ-კახეთში „ქართველობა“ (ქართული სოციალ-პოლიტიკური წესწყობილება) აღდგა. ხსენებული აქტი და ამის შემდგომი პოლიტიკური ფაქტები (ერევნის, განჯისა და ნახჭევანის სახანოების დამორჩილება და აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ჰეგემონობისათვის წარმატებით ბრძოლა) იმას მონიშნობდნენ, რომ ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებს საქართველოს აღდგომაში ამიერკავკასიის ოდინდელი გაერთიანება ეგულეზობდათ. ამასვე მონიშნის ის პოლიტიკური პრეტენზიები, ერეკლე II რომ ცნობად მოახსენებდა რუსეთის სამეფო კარს 70-იან წლებში.

ჩანდა, რომ ამ ახალს პირობებშიაც საქართველო იმ პროგრესული საქმის შესრულებას აპირებდა, რომელიც ამიერკავკასიის ხალხთა თავისუფალი განვითარების ერთადერთი გარანტია იქნებოდა.

დროისა და გარემოებათა სწორად შეგნებას მონიშნის ორგანულად მთლიანი სამინაო და საგარეო პოლიტიკა ერეკლე მეორისა. ბურჟუაზიის („ევროპის“) გამარჯვების ამ საუკუნეში ერეკლე II საქართველოს ტიპიური მეფე აღარ იყო. ამის საბუთია მისი დაუცხრომელი ზრუნვა იმისათვის, რომ თავისი ქვეყანა „ევროპულად“ მოეწყო. ღონისძიებანი სამხედრო თუ სამოქალაქო ასპარეზზე, რეფორმები სახელმწიფო თუ კერძო სამართლის საქმეში, ახალი წამოწყებანი ეკონომიკისა თუ კულტურის დარგში, — თანხმობით მონიშნობდნენ, რომ მზადდებოდა პირობები ახალი საქართვე-

ლოს წარმოქმნისათვის, რომ თავადურ-ბატონყმური სისტემა პომეშიკურ-ბატონყმური სისტემით უნდა შეცვლილიყო, რომ ქვეყანა ბურჟუაზიული განვითარების გზაზე უნდა დამდგარიყო. მართლაც, თავადების შევიწროება (ზოგი სათავადოს სავსებით მოშლა, ზოგის შემცირება), „ახალთავადების“ (პომეშიკების) გაჩენა (ლეონიძე, ოსევილი, არღლუთაშვილი), საგლეხო კანონები, საქალაქო წყობილების წესები, კანონი მოქალაქის საკუთრების შესახებ, სახელმწიფო წყობილების საკითხები (მმართველობის დარგობრივი დანაწილება: სამხედრო, საგარეო საქმეთა, სასამართლო, სასწავლო-განათლებლო), სამხედრო რეფორმის ცდები (აზატ-მოლაშქრეთა ინსტიტუტის შექმნა, მორიგე, რეგული), მსაჯულთ შეკრებულობის ინსტიტუტი (მდივანბეგების სასამართლო), საქარხნო-საფაბრიკო წარმოების დანერგვის ცდები (შაქრის, მინის, შალის, იარაღის), სამთამადნო (სპილენძის, ოქრო-ვერცხლის, თუჯის, რკინის) წარმოების წამოწყება, ზარაფხანის განახლება, კულტურა-განათლების საქმეები: სტამბის განახლება, სემინარიების დაარსება, განათლებულ მოღვაწეთა ძლიერი დასის წარმოქმნა, გაცხოველებული თარგმნა სამეცნიერო-პოლიტიკურ თუ მხატვრული ლიტერატურისა რუსული ენიდან — ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, ფეოდალურ-თავადურ ქვეყანას აღარ ეგუებოდა და ამზადებდა პირობებს იმ პოლიტიკური ნახტომისათვის, რომელსაც მხოლოდ ერთს შეეძლო საქართველოს სახელმწიფოებრივი არსებობა გაქრობას გადაერჩინა.

განსაკუთრებით ძნელ პირობებში უხდებოდა ბრძოლა ქართველი ფეოდალური საზოგადოების პროგრესულ ძალებს. ქვეყანაში თავადურ-ბატონყმური სისტემა სუფევდა („ჩიხი“). ასეთ ვითარებაში პროგრესისათვის მეზრძოლ ძალებს ქვეყნის შიგნით ძლიერი სოციალური დასაყრდენი არ შეიძლებოდა შექმნოდა. ამა-

ვე დროს თავადურ რეაქციას ოსმალეთ-ერანის აგრესორთა სახით ერთგული მოკავშირე ჰყავდა. **ასე რომ, ბრძოლა პროგრესისათვის, ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის, ბრძოლა თავადურ-ბატონყმური სისტემის წინააღმდეგ, ბრძოლა ტყვის სყიდვა-ლეკიანობის წინააღმდეგ — უშუალოდ უკავშირდებოდა ერან-ოსმალეთის ბატონობისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლას და უერთმანეთოდ არც წარმოიდგინებოდა. საქართველოში ერან-ოსმალეთის მძლავრობა და თავადურ-ბატონყმური სისტემა ერთმანეთს ავსებდა და ერთმანეთს გულიანობდა.**

არაერთი მძიმე დამარცხება აგემა შინაური და საგარეო რეაქციის ამ ბლოკმა პროგრესისათვის მეზრძოლ ძალებს გვიანფეოდალური საუკუნეების გრძელ მანძილზე, მაგრამ ბრძოლა გრძელდებოდა, და ის მით უფრო მწვავედებოდა, რაც უფრო აშკარა საფრთხეს უქმნიდა გამარჯვებული რეაქცია ქართველი ხალხის არსებობას, ქართველობის არსებობას.

რაგინდ დაჩიხული იყო ქვეყანა, რაგინდ უმოძრაო ჩანდა ქართული ფეოდალური საზოგადოება, შიგადაშიგ, ხან იქ, ხან აქ მაინც თავს იჩენდა წინსვლის ნიშნები, ბრძოლის სარბიელზე გამოდიოდა პროგრესული ფენა, რეაქციის წინააღმდეგ ქვეყნის ძალთა მობილიზაციას ცდილობდა და საგარეო მეშველ ძალას თავისთვის გაფაციცებით ეძებდა.

ასევე იყო ახლაც, მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში. **იმ დროს, როცა ქართულ ფეოდალურ რეაქციას თვალისა და მოსმალეთში აქირა, პროგრესული ძალები საქართველოს გამოცხნა-აღდგომის საქმისათვის ბრძოლაში, საქართველოს პროგრესისათვის ბრძოლაში მოკავშირეს რუსეთში ხედავდა.** ქართველ პროგრესისტებს ურყევად სწამდათ, რომ რუსეთი მონოდებული იყო, ხელი შეეწყო საქართველოში პროგრესისათვის. ისინი კარგად იყვნენ მიხ-





ვედრილნი რუსეთის პოზიციებს ერან-ოსმალეთის საკითხში და თავიანთ რწმენას ამ ცოდნაზე მართებულად აგებდნენ.

ამავე დროს, მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველო კიდევ უფრო დაუახლოვდა რუსეთს პოლიტიკურად, ეკონომიურად, კულტურულად. ასე რომ, ხსენებული საუკუნის 19-იანი წლები-სათვის ბარბაროსული გარემოცვა არსებითად უკვე გარღვეული იყო და საქართველო პროგრესული ევროპის ორბიტაში უშუალოდ შედიოდა.

მე-18 საუკუნის 70-იან წლებში სამშობლოს გამოხსნა-აღდგომისათვის ბრძოლაში ქართველ პროგრესისტებს არსებითი ხასიათის წარმატება ჰქონდათ. ერეკლე II-მ ქართლ-კახეთში მნიშვნელოვანი რეფორმები გაატარა ქვეყნის პოლიტიკურ-ადმინისტრაციულსა და სოციალურ სფეროში. მეფემ ალაგმა თავადების თავგასულობა, მოშალა ლეკიანობა და ქვეყნის შიგნით წელმომაგრებულმა ამიერკავკასიის ხალხთა გაერთიანების მიმართულეებით დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება დასახა. მეფემ ერევნის ყიზილბაშური სახანოს გაუქმება და ამ სომხური ოლქის საქართველოსთან უშუალოდ შემოერთება განიზრახა. რა თქმა უნდა, ეს დიდმნიშვნელოვანი აქტი სომხურ პოლიტიკურ წრეებთან შეთანხმების გარეშე არ ისახებოდა.

სოლომონ მეფემ რუსეთის სამხედრო დახმარებით იმერეთის ციხეებიდან ოსმალები გააძევა. იმერეთის მეფემ წარმატებულად უკუაგდო თავადურ-მთავრული რეაქციისა და ოსმალეთის შემოტევანი (ჩხერის ომი, რუხის ომი). განამტკიცა სახელმწიფო სუვერენიტეტი და დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების საქმე პრაქტიკულად წამოიწყო.

მაგრამ ირაზმებოდა რეაქციაც. ერანი თავს იყრიდა. ის ვერ ურიგდებოდა საქართველოს რუსეთისაკენ პირმოქცევას და მის ძველებურად დამონებას აპირებდა. აგრესორის ამ განზრახვას სასოებით შეჰყურებდნენ რეაქციონე-

რი თავადები, რომელთა წარმომადგენელი (ალექსანდრე ბატონიშვილი) ქერიმხან-ზანდის კარზე იმყოფებოდა და აქტიურად გამოსვლისათვის მოხერხებულ დროს ელოდა.

თავის მარცხს არც ოსმალეთი ურიგდებოდა. აგრესორი მფარველობდა სოლომონ მეფის ყველა მტერს: მთავრებს, ქვეყნის მოლატე თავადებს, ტყვის მსყიდველ აბრაგებს და ამ რეაქციული ძალების სამუალებით იმერეთის კვლავინდებურად დამონებას დაჟინებით ცდილობდა.

**საქართველოში პროგრესისა და რეაქციის ძალთა გამამწყვეტი წიდილი იყო.** ქვეყნის გამოხსნა-აღდგომისა თუ დამონების საქმე წყდებოდა. რეაქციის ძალებს მხარში ედგნენ და აქტიურად ეხმარებოდნენ ოსმალეთი და ერანი. ასეთივე დამხმარე უნდა გაეჩინა პროგრესისათვის მეზობლ ძალებსაც.

**მე-18 საუკუნის სამოცდაათიან წლებში რუსეთმა ერთხელ კიდევ დაარწმუნა ქართველი პროგრესისტები, რომ ამ სახელმწიფოს პოლიტიკური ინტერესები ამიერკავკასიაში ეთანხმება საქართველოს გამოსხნა-აღდგომის საქმეს; ამავ დროს ქართველები იმავიანც მტკიცედ დარწმუნდნენ, რომ რუსეთი რეალურად მოინევის ამიერკავკასიისაკენ და მოინევის სწორედ ერან-ოსმალეთის საწინააღმდეგოდ.**

ასეთ პირობებში, ბუნებრივია ერეკლე მეფის პოლიტიკური ნაბიჯი: **1771 წელს პროგრესისათვის მეზობლმა საქართველომ თავის დამხმარედ (მფარველად) პროგრესული რუსეთი მოიწვია.**

ასეთი პოლიტიკური კავშირი რუსეთსა და საქართველოს შორის მხოლოდ 1783 წელს განხორციელდა (როცა საამისოდ შედარებით ხელსაყრელი პოლიტიკური პირობები შეიქმნა).

**საქართველოს ისტორიაში ეს იყო უდიდესი მნიშვნელობის პოლიტიკური აქტი. გაირღვა ბარბაროსული გარემოცვა, რომე-**

**ლიც 331 წლის განმავლობაში სულს უხუთავდა პროგრესულ ქვეყანას, რომელიც ასაზრდოებდა მის პოლიტიკურ დაცემას და სოციალ-ეკონომიურ დაჩიხულობას. ამ აქტით საქართველო გაემიჯნა აზიურ (ოსმალურ-ყიზილბაშურ) ჩამორჩენილობას და გადაჭრით პირი მიიქცია პროგრესული ჩრდილოეთისაკენ.**

მეორე მხრით, ეს აქტი იმის აღიარებაც იყო, რომ გარედან დახმარების გარეშე, დამოუკიდებლად, საქართველოს ღონე არ შესწევდა დამარცხებინა რეაქციის ძალები და უზრუნველყო ქვეყნის გამოხსნა-აღდგომის საქმის გამარჯვება.

არსებულ პირობებში ეს იყო საუკეთესო გამოსავალი, რომელსაც ერთადერთს შეეძლო ქვეყანა პროგრესის გზით ახალი ცხოვრებისაკენ წაეყვანა.

რეაქცია შეშფოთდა, ძალები შემოიყარა და გამამწყვეტ იერიშზე გადმოვიდა. ერან-ოსმალეთის ინსპირაციითა და აქტიური დახმარებით ქვეყნის სამტროდ წამოიშალნენ მოლატე თავადები, აბრაგ-ლეკები, მეზობელი ფაშები, ხანები და, ბოლოს, თვით სპარსეთის ყაენი.

**17 წლის განმავლობაში წარმოებდა ეს მძიმე ბრძოლა; მან ქართლ-კახეთის მოსახლეობის ნახევარი შეინირა: „Тавады (ე.ი. რეაქციამ) доканали грузинскую государственность“.** პროგრესისათვის მეზობლმა დასმა დაინახა, რომ რეაქციასთან ბრძოლაში გამარჯვებისათვის საქართველოს არ ეყო შინაგანი რესურსები, ხოლო 1783 წლის აქტით გათვალისწინებული კავშირი (რუსეთთან) საკმაო არ აღმოჩნდა პროგრესის ძალთა ამ სისუსტის საკომპენსაციოდ... და 1801 წელი გარდაუვალი გახდა: საქართველოს პროგრესის საქმე ამიერიდან მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა წარმართულიყო. შექმნილი მდგომარეობიდან საუკეთესო გამოსავალი ახლა ეს იყო.

შურნალი „მნათობი“, 1954 წელი, №6.

# ქართული ავიაკონსტრუქტორები

## ალექსანდრე ნადირაძე

მეორე მსოფლიო ომის დროს ფონ ბრაუნის მიერ გამოგონებული რაკეტა V-2 მოკავშირეებმა და საბჭოთა კავშირმა სათანადოდ შეაფასეს, მაგრამ მას ერთი სერიოზული ნაკლი გააჩნდა – მისი სასტარტო პოზიციების განადგურება მარტივი იყო. ამიტომაც სამხედროებმა რაკეტების კონსტრუქტორებს ისეთი რაკეტების შექმნა დაავალეს, რომლებიც სტარტს მიწისქვეშა შესტებიდან აიღებდნენ. შესტებში შენახული ბალისტიკური რაკეტების განადგურება ბევრად უფრო რთული იყო, მაგრამ უსაფრთხოების ილუზიას დიდხანს არ უცოცხლია. მალე მონინალმდევე მხარეების შეიარაღებაზე ზუსტი დამიზნების ბირთვული იარაღი გამოჩნდა. მისგან რაკეტას ველარც შესტის კედლები დაიცავდნენ. დღის წესრიგში მობილური გამშვები დანადგარის შექმნის საკითხი დადგა. საბჭოთა კავშირში ამ სფეროში ყველაზე წინ 1-მა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა წაინია (დღეს მოსკოვის თბოტექნიკის ინსტიტუტი). აღნიშნულ დაწესებულებას კი ჩვენი თანამემამულე ალექსანდრე ნადირაძე ხელმძღვანელობდა.



ალექსანდრე ნადირაძე 1914 წლის 20 აგვისტოს ქალაქ გორში დაიბადა. 1936 წელს, ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ის საცხოვრებლად მოსკოვში გადავიდა და სწავლის გაგრძელების მიზნით, მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტში ჩააბარა. 1938 წლიდან კი, სწავლის პარალელურად, ცენტრალურ აეროჰიდრო დინამიკურ ინსტიტუტშიც მუშაობს.

1941 წელს ნადირაძე მოსკოვის 22-ე ქარხანაში კეცვადი შასის განყოფილებაში მთავარ კონსტრუქტორად დაინიშნა, მაგრამ მალევე გადაერთო სარაკეტო ტექნიკაზე. 1945 წელს მას, მისივე ინიციატივით, მოსკოვის მექანიკური ინსტიტუტის რეაქტიული იარაღის ფაკულტეტის ბაზაზე შექმნილი საკონსტრუქტორო ბიუროს მთავარ კონსტრუქტორად ნიშნავენ, სადაც ის ტანკსაინალმდეგო რეაქტიული ძურვების შექმნაზე მუშაობს. 1950 წლიდან ნადირაძე საზენიტო ძურვს Стриж-ის შექმნას იწყებს.

1951 წელს ნადირაძის ხელმძღ-

ვანელობით მეტეოროლოგიური რაკეტა MP-1 შეიქმნა. მისი გამოყენებით მეტეოროლოგები ატმოსფეროს ზედა ფენებს სწავლობდნენ. იმავე წელს ნადირაძის კონსტრუქტორთა ჯგუფს მართვადი საავიაციო ბომბის შექმნა დაევალა. მისი მართვა რადიოტალღებით ხდებოდა. გამოცდების ციკლმა წარმატებით ჩაიარა და ბომბი შეიარაღებაში 1955 წელს მიიღეს. ამ წარმატებისთვის — რადიომართვადი ფუგასური ბომბის შექმნისთვის — ნადირაძეს პირველი პრემია მიენიჭა.

1958 წელს, სერგეი კოროლიოვის რეკომენდაციით, ის ვლადიმერ ჩელომეის საკონსტრუქტორო ბიუროდან 1-ელ საკონსტრუქტორო ბიუროში გადაიყვანეს და 1-ელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მთავარ კონსტრუქტორად დანიშნეს. ნადირაძის მისვლამდე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ავიაბომბებისა და ტორპედოების შექმნით იყო დაკავებული, შემდეგ კი ახალი კლასის შეიარაღებაზე — ოპერატიულ-

ტაქტიკური რაკეტების შექმნაზე გადაერთო.

უმოკლეს დროში შეიქმნა მოძრავი სარაკეტო კომპლექსი Темп-С, რომლის სროლის მანძილიც 800 კმ-ს შეადგენდა. მისი შექმნისთვის მოსკოვის თბოტექნიკის ინსტიტუტი ლენინის ორდენით დაჯილდოვდა, თავად ნადირაძე კი — ლენინური პრემიით.

მოსკოვის თბოტექნიკის ინსტიტუტში ახალ მობილურ სარაკეტო კომპლექსებზე მუშაობა ერთი წუთითაც არ შეჩერებულა. ეფექტურობის წყალობით, კომპლექსი შეიარაღებაში 1980-იან წლებამდე დარჩა.

1973 წლის 28 აპრილს, საიდუმლო დადგენილებით, ალექსანდრე ნადირაძეს საშუალო მოქმედების რადიუსის მქონე მობილური სახმელეთო რაკეტული კომპლექსი РСД-10 Пионер-ის შექმნა დაევალა. მოთხოვნების თანახმად, კომპლექსი მობილური უნდა ყოფილიყო, ანუ რაკეტის გაშვება პირდაპირ სატრანსპორტო მანქანიდან უნდა მომხდარიყო.



ახალი კომპლექსის ორ საფეხურიანი რაკეტის საბრძოლო ბლოკში МИРВ-ს ტიპის ინდივიდუალური დამიზნების სამი საბრძოლო ქობინი განათავსეს (თითოეულის სიმაღლე 1,5 მტ).

Пионер-ის პირველი სტარტი 1974 წლის 21 სექტემბერს შედგა. მისი გამოცდა კი 1976 წლის 9 იანვარს ბოლო ოცდამეერთე წარმატებული (ისევე როგორც ყველა წინა) გაშვებით დასრულდა. ამავე წლის 11 მარტს კი ნადირაძის საშუალო მოქმედების მობილური სტრატეგიული სარაკეტო კომპლექსი შეიარაღებაში მიიღეს.

ამის შემდეგ, Пионер-ის საბრძოლო მორიგეობაზე დაყენება სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა. პირველ რიგში, ისინი მოძველებულ რაკეტებს ენაცვლებოდნენ. 1977 წლის ბოლოსთვის სტრატეგიული ჯარების განკარგულებაში 18 გამშვები დანადგარი იყო, 1980 წელს – 135, ორი წლის შემდეგ კი – 300. ამ უკანასკნელის გამოჩენამ ნატოს ქვეყნებში დიდი აურზაური გამოიწვია.

ნატოსთვის ეს ყოვლად მოულოდნელი იყო. მსგავსი სარაკეტო კომპლექსები მას არ გააჩნდა. Пионер-ის მთავარი კოზირი მობილურობა იყო. საკუთარი შასის წყალობით, რაკეტის გადატანა ასობით კილომეტრზე და სტარტის განხორციელება მონინალმდეგისთვის სრულიად მოულოდნელი წერტილიდან შეიძლებოდა.

იმ პერიოდში მსოფლიოს ყველაზე მეტად სწორედ საბჭოური რაკეტების ეშინოდა. **პრეზიდენტი და გოლმა საფრანგეთი ნატოს შეამდგენლოზიდან სწორედ საბჭოური ბალისტიკური რაკეტის სილვის შეამდგო ორიოდე კვირაში გამოიყვანა.**

კომპლექსების დისლოკაციის ადგილის თანამგზავრების განდასამალად, მათი განთავსება სპეციალურ სანგრებში ხდებოდა. სანგრებში ყოფნისას, კომპლექსი 24-საათიან საბრძოლო მდგომარეობაში იმყოფებოდა. რაკეტაში კი მისი მდებარეობის კოორდინა-



**წლავია, ტაქნიკის სხვადასხვა ნიშნებს შორის, წითელ მოედანზე „ტოპოლის“ ტიპის სარაკეტო კომპლექსები გამოიყვანა. რუსეთი მათით კალიან ამაყობს, რადგან დასავლეთს მსგავსი ტაქნიკა არ გააჩნია. ხოლო რუსების სააყაო „ტოპოლი“ ქართველმა კონსტრუქტორმა, ალექსანდრე ნადირაძემ, შექმნა.**

ტები იყო შეყვანილი. სანგარის მთავარ თავისებურებას ის წარმოადგენს, რომ რაკეტის გაშვება კომპლექსის გარეთ გამოსვლის გარეშე შესაძლებელი. ამისთვის მისი სახურავი ორ ნაწილად იშლებოდა.

აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის საშუალო და ახლო მოქმედების რაკეტების შესახებ შეთანხმების ხელმოწერის მომენტისთვის, საბრძოლო მორიგეობასა და არსენალებში კომპლექს Пионер-ის 650 რაკეტა იმყოფებოდა.

1977 წლის 19 ივლისს მოსკოვის თბოტექნიკის ინსტიტუტში ალექსანდრე ნადირაძის ხელმძღვანელობით დაიწყო მუშაობა ახალი თაობის მობილურ სტრატეგიულ სარაკეტო კომპლექს Тополь-ზე, სამსაფეხურიანი საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტით.

მესამე საფეხურზე დაახლოებით 1 ტონიანი მონობლოკური საბრძოლო ქობინი მაგრდება. გაუმჯობესებული მართვის სისტემის წყალობით, სამიზნედან სავარაუდო გადახრის მანძილი 400 მია, რაც Тополь-ის სროლის მანძილისას, რომელიც 10500 კმ-ს შეადგენს, ნულის ტოლად მიიჩ-

ნევა. Тополь-ის გამოყენება არა მხოლოდ სამხედრო მიზნით შეიძლება.

1983 წელს კომპლექსი Тополь გამოსცადეს, მისი პირველი სტარტი კი ამავე წლის 8 თებერვალს შედგა და ის შახტიდან განხორციელდა. 1987 წლის 28 აპრილს კი ჩამოყალიბდა Тополь-ებით სრულად აღჭურვილი პირველი სარაკეტო პოლკი. სამწუხაროდ, ალექსანდრე ნადირაძე ვერ მოესწრო თავისი მორიგი ქმნილების შეიარაღებაზე მიღებას – ის 1987 წლის 3 სექტემბერს, 73 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ქართველი კონსტრუქტორი მოსკოვის თბოტექნიკის ინსტიტუტის შეუცვლელ ხელმძღვანელად 26 წლის განმავლობაში რჩებოდა. მისი უშუალო ხელმძღვანელობით შეიქმნა Темп-С, Темп-2С, Пионер, Тополь, Скорость-ის ტიპის სარაკეტო კომპლექსები. 1990-იანი წლების დასაწყისში მოსკოვის თბოტექნიკის ინსტიტუტში Тополь-ის ბაზაზე, მცირე გაბარიტიანი კოსმოსური აპარატების დაბალ ორბიტაზე გასაყვანად, შექმნილი იყო მყარსაწვავიანი რაკეტა-მატარებელი Старт-ი. არსებობს მისი ორი ვარიანტი-Старт და



Старт-1. აქედან პირველი ოთხსაფეხურიანია და მისი სასარგებლო დატვირთვა დაბალი ორბიტებისთვის (400კმ) 500კგ-ს შეადგენს, Старт-1 კი ხუთსაფეხურიანია, 570კგ-იანი სასარგებლო დატვირთვით. მათი სასტარტო მასა, შესაბამისად, 47 და 60 ტ-ის ტოლია. Старт-1-ის პირველი გაშვება 1993 წლის 25 მარტს წარმატებით შედგა. სულ დღემდე შვიდი გაშვება განხორციელდა, მათ შორის წარუმატებელი მხოლოდ ერთი იყო.

\*\*\*

თავისი სიცოცხლის განმავლობაში ნადირაძემ ძალიან ბევრს მიღწია: იყო ორგზის სოციალისტური შრომის გმირი (1976, 1982), ოთხგზის ლენინის ორდენოსანი (1968, 1976, 1978, 1982), ოქტომბრის რევოლუციის ორდენოსანი (1984), ლენინური (1966) და სახელმწიფო (1987) პრემიების ლაურეატი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი (1969), პროფესორი (1972), რსფსრ-ს დამსახურებული

გამომგონებელი (1973), აკადემიკოსი (1981), 1982 წელს არჩეულ იქნა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

**ნადირაძე დაკრძალულია მოსკოვში, ნოვოდევიჩის სასაფლაოზე.**

**1993 წელს რუსეთის კოსმონავტიკის ფედერაციამ და მოსკოვის თხოთაქნიკის ინსტიტუტმა დააწესა აკადემიკოს ალექსანდრე ნადირაძის სახელობის მედალი.**

# საზღვაო ავიაციის გენიოსი — გიორგი ბერიავილი

გამოჩენილი საბჭოთა ავიაკონსტრუქტორი გიორგი მისხილის ძე ბერიავილი (ბერიავილი) დაიბადა თბილისში 1903 წლის 13 თებერვალს. 1923 წელს, თბილისის სარკინიგზო სასწავლებლის დამთავების შემდეგ, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩაირიცხა, რომლიდანაც 1925 წელს გადავიდა ლენინგრადის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გემთმშენებლობის ფაკულტეტის საავიაციო განყოფილებაზე.

მისი დამთავრების შემდეგ, 1930 წლიდან მან მუშაობა დაიწყო საკონსტრუქტორო ბიუროში, სადაც საზღვაო ახლო მოქმედების სადაზღვევო თვითმფრინავი MBP-2 შექმნა.

1934 წელს აზოვის ზღვისპირა ქალაქ ტაგანროგში ბერიავმა ჩამოაყალიბა ახალი საკონსტრუქტორო ბიურო, რომლის ხელმძღვანელიცა და მთავარი კონსტრუქტორიც თავად იყო. ტაგანროგის საკონსტრუქტორო ბიუროში შეიქმნა საზღვაო ავიაციის ახალი მოდელები KOP-1, BE-2.

მეორე მსოფლიო ომის დროს

მოხდა ბიუროს ევაკუირება ციმბირში. ომის დასრულების შემდეგ კი ბიურო ისევ ტაგანროგში დააბრუნეს. მალევე საბჭოთა კავშირის შეიარაღებაში შევიდა მაღალი მახასიათებლების მქონე ბერიავის მფრინავინავი BE-6. მისი ხელმძღვანელობით ასევე შეიქმნა წყალქვეშა ნავების საწინააღმდეგო თვითმფრინავი ამფიბია BE-12, რომლის სხვადასხვა მოდიფიკაციები დღესაც არის მსოფლიოს მრავალი არმიის შეიარაღებაში. ეს თვითმფრინავები საცდელ ფრენებს საქართველოში პალიასტომის ტბაზე გადიოდნენ.



ბერიავის საკონსტრუქტორო ბიუროშია შექმნილი ცნობილი თვითმფრინავები: BE-6, BE-12, A-50, BE-200 და სხვ.

BE ინდექსი ბერიავის გვარის პირველი ასოებია. ბერიავის სახელობის საკონსტრუქტორო ბიურო დღემდე უშვებს თვითმფრინავებს ამ ინდექსით.

**ბერიავ P-1** — ეს იყო ექსპერიმენტული რეაქტიული მფრინავი, საზღვაო მზვერავი, პირველი რეაქტიული ჰიდრო თვითმფრინავი სსრ კავშირში.

1947 წლის მაისში გიორგი ბერიავილიმა მუშაობა დაიწყო ტურბორეაქტიული ძრავიან ექსპერიმენტულ მფრინავნავზე. პროექტის ინიციატორი თავად კონსტრუქტორი გახლდათ. 1948 წლის 12 ივ-

ბერიავ P-1





ნის საბჭოთა მთავრობამ მიიღო შესაბამისი დადგენილება რეაქტიული თვითმფრინავების პროექტირების შესახებ. პროექტის მიხედვით, მფრინავი ნავი უნდა გამოეყენებინათ, როგორც მზვერავი და ბომბდამშენი და უნდა ჰქონოდა აშშ-ის მთავარი თავდასხმების სიჩქარე.

1952 წლის 30 მაისს P-1-მა პირველი გაფრენა განახორციელა.

პროფესორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი და საინჟინრო ტექნიკური სამსახურის გენერალ-მაიორი გიორგი ბერიევი (ბერიაშვილი) გარდაიცვალა მოსკოვში 1979 წელს.

**იგი იყო სტალინის სახელობისა (1947 წელს BE-6-სთვის) და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი (1968 წელს BE-12-ისთვის). დაჯილდოებული იყო ლენინის 2 და წითელი დროშის ასევე 2 ორდენით, მრავალი მედლით.**

\*\*\*

1973 წელს საბჭოთა კავშირში შორი რადიოლოკაციური აღმოჩენის ახალ თვითმფრინავ A-50-ზე დაიწყო მუშაობა. თანხების დაზოგვის მიზნით გადაწყდა, რომ ახალი მფრინავი რადარი უკვე რამდენიმეწლიან ექსპლუატაციაში მყოფ სამხედრო-სატრანსპორტო ИЛ-76 МД-ს ბაზაზე შექმნილიყო. სერიულ სატრანსპორტო თვითმფრინავების ვარიანტ A-50-ში გადაკეთება და პირველი პროტოტიპის შექმნა ტაგანროგის საავიაციო სამეცნიერო-ტექნიკურ კომპლექსს დაევა, რომელსაც გიორგი ბერიევი (ბერიაშვილი) ხელმძღვანელობდა.



BE-12

A-50-ის პირველი პროტოტიპი ჰაერში 1978 წლის 19 დეკემბერს აფრინდა. თვითმფრინავზე დაყენებულია ШМЕЛБ-ის ტიპის რადარი, რომელიც ფიუზელაჟის თავზე, ცენტროპლანის უკან მბრუნავ გარს შემომდენში (დიამეტრი 10.5 მ, სიმაღლე 2 მ) ორ პილონზეა განთავსებული.

რადარი სანტიმეტრულ დიაპაზონში მუშაობს და დაბალ სიმაღლეზე მფრენი გამანადგურებელი კლასის თვითმფრინავების აღმოჩენა 400კმ დისტანციაზე შეუძლია, დიდ სიმაღლეზე კი 600 კმ-ზე. თუმცა ერთდროულად მხოლოდ 50-60 სამიზნის დაცილება შეუძლია (მოდიფიცირებულ ვარიანტში — 150). თვითმფრინავის რადიოტექნიკური კომპლექსი 20 ტონას იწონის, ეკიპაჟი 15 კაცისგან შედგება, მათ შორის 10 რადარის ოპერატორია.

1984 წელს, გამოცდების წარმატებით დასრულების შემდეგ, თვითმფრინავი სერიულ წარმოებაში ტაშკენტის საავიაციო ქარხანაში ჩაუშვეს, შეიარაღებაში კი 1989 წელს მიიღეს. დაახლოებით 40 თვითმფრინავი აიგო, საიდანაც

ნაც 19 დღეს რუსეთის შეიარაღებაშია. რუსეთ-საქართველოს ომში რუსეთმა ერთი თვითმფრინავი მოზდოკში გადმოისროლა და ომის დროს საქართველოს საჰაერო სივრცის გასაკონტროლებლად იყენებდა.

ერთი თვითმფრინავი ერაყის შეკვეთის შესაბამისად გადაკეთდა და მასზე Thompson-CSF Tiger G-ის ტიპის რადიოლოკაციური სადგური დამონტაჟდა (მოდიფიკაცია Adnan 1). 1999 წელს ინდოეთმაც გადაწყვიტა რუსული AWACS-ების შესყიდვა და თვითმფრინავის მოდერნიზაცია საკუთარი მოთხოვნების შესაბამისად მოითხოვა. A-50ЭИ-ზე ახალი ИС-90А-76 ტიპის ძრავები და ებრაული კომპანია Elta-ს იმპულსურ-დოპლერული რადარი EL/M-2075 დაყენდა.

საბაზო ვარიანტის განგანსხვავებით, მასზე გარს შემომდენი უძრავია. დღეს, ინდოეთს ერთი A-50ЭИ ჰყავს, კიდევ 6 თვითმფრინავი შეკვეთილია. ჩინეთსაც სურდა აღნიშნული მოდიფიკაციის თვითმფრინავის შექმნა და რამდენიმე თვითმფრინავიც შეუკვეთა, მაგრამ ამერიკული მხარის ზენონის შედეგად, ებრაულმა ფირმამ უარი განაცხადა ჩინეთთან თანამშრომლობაზე. ამის შემდეგ ჩინეთმა საკუთარი ძალებით და ებრაულ-რუსული გამოცდილების გათვალისწინებით, გააგრძელა პროექტზე მუშაობა. თვითმფრინავზე დამონტაჟდა ფირმა Nanjing Electronic Technology Research Institute-ის იმპულსურ-დოპლერული რადარი, რომლის მახასიათებლები თითქმის იდენტურია A-50 ЭИ-ზე დამონტაჟებული რადარისა. თვითმფრინავმა, რომელსაც KJ-2000 ეწოდა, პირველი გაფრენა 2003 წლის მარტში შეასრულა.

მოამზადა **ლიანა კახიკიძე**



A-50




დავით გოგობერიშვილი:

# როგორია, სამჯარ მოგისაჯონ დახვრება და სამიჯარ სანაულაბრივად გადაჩე!..

(ტყვედნამყოფი ჯარისკაცის ნაამბობი)

ფაშისტური გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკებში ტყვედნამყოფი ვეტერანები აღაშფოთა გლდანის მერვე საპყრობილეში ადამიანთა ნამებისა და დამცირების ახლახან გახმაურებულმა ფაქტებმა, რაც გამოხატეს კიდევ თავიანთ მიმართვაში, რომელიც გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში“ გამოაქვეყნეს. ადამიანებმა, რომლებმაც გერმანული ფაშიზმის ჯოჯოხეთის ცხრავე წრე გამოიარეს, მკაცრად დაგმეს „ნაცხელისუფლების“ სისასტიკე. ერთ-ერთი მათგანია **დავით გოგობერიშვილი**. იგი დღეს 90 წლისაა და თავის ურთულეს ცხოვრების გზაზე გვესაუბრება.



— ბატონო დავით, თქვენზე თავისუფლად შეიძლება ითქვას „ქუდბედიანი კაცი“...

— აბა!.. მართლაც ასეა. როგორია, სამჯერ მოგისაჯონ დახვრება და სამიჯერ სანაულაბრივად გადაჩე!..

— მოდით, თავიდან დავიწყოთ როდის ჩავარდით ტყვედ?

— ტყვედ ჩავვარდი სტალინგრადთან, უფრო ზუსტად, პატარა ქალაქ მილეროვთან, 1942 წლის 7 სექტემბერს. ჩვენი ბატალიონი ალყაში მოექცა. თავგანწირულმა ბრძოლამ შედეგი ვერ მოგვიტანა. აბა, რას გახდებოდი, როცა მონინაალმდეგის 7 ტანკი გადმოდის იერიშზე, შენ კი ხელში მხოლოდ შაშხანა გიჭირავს.

ტყვედჩავარდნილებს გერმანელებმა გვარიანად გვცემეს და ფეხით გაგვიყენეს გზას, მაგრამ არც კი ვიცოდით, სად მივდიოდით.

35 დღის განმავლობაში პური არ გაგვისინჯავს. ბევრი ტყვე შიმშილისგან დაიხოცა!

როგორც იქნა, მივალწიეთ ბელორუსიის ქალაქ ბორისოვოს. 21 კაცი შეგვყარეს ფინურ ბარაკში. აქედან ცხრა ქართველი ვიყავით, 12 კი — უზბეკი. მეორე დილას გა-

მოგვიცხადეს, რომ დასახვრეტად უნდა წავეყვანეთ. იმდენი გაჭირვება მქონდა გადატანილი, რომ ამ ამბავს გულგრილად შევხვდი. თუ გატყუებდნენ, დედას გეფიცები!

— და რა სანაულმა გადაგარჩინათ?

— ბედმა გამიღიმა. ღმერთმა უწყის საიდან, გამოჩნდა ერთი გერმანელი პოლკოვნიკი ვილაც სამოქალაქო პირის თანხლებით და აი, იმ სამოქალაქოში გამოწყობილმა კაცმა რაღაც უთხრა სამხედროებს. ტყვეებს შორის იყო ერთი ასეთი კაცი — გუგუ ბედია, რომელმაც გერმანული იცოდა. უცებ მას სახე გაეზადრა და გვითხრა: „ბიჭებო, გადავრჩით! ამ სამოქალაქო პირმა თქვა, რატომ უნდა დახვრიტოთ, არ ჯობია, სამუშაოებზე წავიყვანოთ, ისედაც არ გვყოფნის მუშახელი“.

მერე ტყვეებს დაგვირიგეს ნიჩბები, წერაქვები და დაგვაგაღეს სანგრების გათხრა.

— დიდხანს დარჩით იმ ადგილას თუ უფრო რთული სამუშაოების შესასრულებლად წავიყვანეს?

— 1943 წლის იანვარში გერმანელებმა გადაწყვიტეს ჩვენი გა-

დაყვანა პოლონეთში, კერძოდ, ქალაქ სედლიცაში. გაგვახდევინეს საბჭოთა სამხედრო ფორმა და ჩეხური ჩაგვაცვეს. ფეხებზე ხის ხუნდები დაგვადეს, შორს რომ ვერ გავქცეულიყავით. მიგვიყვანეს რკინიგზის სადგურში და შეგვყარეს სატვირთო ვაგონში. მისი კედლები თეთრად იყო შეღებილი, ხოლო იატაკზე სველი ნახერხი ეყარა. დაიძრა მატარებელი. ისე შეგვცივდა, რომ ველარ ვჩერდებოდით. ხის ხუნდები ვაგონის კარის სახელურებზე დავამტვრიეთ და ცეცხლი წაუუკიდეთ.

— ასანთი საიდან გქონდათ?

— არ გვქონდა, რა თქმა უნდა. ერთმა უზბეკმა სათბუნებლის ბამბა გახეხა და ასე მივიღეთ ცეცხლი. მაგრამ ერთ უბედურებას — სიცივეს, მეორე — კვამლი დაემატა. ლამის დავიხრჩვით! როგორც იქნა, ჩავედით. მაგრამ იქ არ დავრჩენილვართ. პოლონეთიდან ტყვეები დასავლეთ გერმანიაში გადაგვიყვანეს.

ქალაქ ზიგენტან არის ადგილი, რომელსაც აიროსბერგერი ერქვა. იქ რკინის საბადოები იყო. ყოველღამით ჩავდიოდით მალაროში,



900 მეტრის სიღრმეში და იქიდან რკინის მადანი გამოგვექონდა. დღე-ღამეში გვაჭმევდნენ კარტოფილის ნათალის ნახარშს; ამას ემატებოდა 300 გრამი პური და 25 გრამი შაქარი. 80 კაციდან 40 დაუძლურებისგან დაიღუპა, მათ შორის ჩემი მეგობრები: გუგუ ბედი, შოთა სამხარაძე და თეოფილე ბერიკაშვილი. ალბათ, მეც დავიღუპებოდი, მაგრამ...

— ისევ ბედმა არ გავწირათ, არა?

— ნამდვილად ასე იყო: 1944 წლის სექტემბერში ამერიკელებმა გადაჭრეს მდინარე ამრაინი და გერმანელები მალაროს ნახშირს უკვე ვეღარ აწვდიდნენ. მალარო დაიკეტა. იმ დროისათვის 88 კილოგრამიდან 62 კილოგრამამდე „დავეშვი“... სწორედ რომ სულზე მომისწრეს ამერიკელებმა — 1945 წლის აპრილში გამათავისუფლეს.

— რა პირობებში ჰყავდით საბჭოთა ტყვეები ამერიკელებს?

— საბჭოთა ტყვეებს ნორმალური პირობები შეგვიქმნეს, საჭმელიც გვექონდა. ზიგენში პატარა ბაზარი იყო. ვდგავარ ერთხელ იქ, ხელზე პატარა საათი მიკეთია, რომელიც გერმანელებს ყავა „ბონეში“ გავუცვალე. ჩემთან ამერიკელი სამხედრო მოვიდა და შესტებით გამაგებინა, რა მოგცე მაგ საათშიო. 4 კილოგრამ „ბონეში“ გავუცვალე. მერე მიმიყვანა თავის შტაბში, მკითხეს, რა ეროვნების ხარო და, რომ გაიგეს ქართველი ვიყავი, სტალინის სამშობ-

ლოდან, ძალიან გაუხარდათ და შემომთავაზეს, მათ გავყოლოდი ამერიკაში. ენას გასწავლით, დაგაოჯახებთ და ყველა პირობას შეგიქმნითო. უარი ვუთხარი, მხოლოდ დედ-მამაზე ვფიქრობდი, რაფერ არიან ახლა-თქო.

— თქვენი საუბრიდან ჩანს, რომ ამერიკელებს სმენიათ საქართველოზე.

— ისინი იცნობდნენ სტალინს, რომელსაც „ძია ჯოს“ ეძახდნენ და ისიც იცოდნენ, რომ წარმოშობით ქართველი იყო. მას უდიდეს პატივს სცემდნენ! მართალია, შევარდნაძეც იმით ამაყობდა, რომ ჩემით იცნობენო ამერიკელები საქართველოსო. ამ „დიდ პატივს“ სააკაშვილიც იჩემებდა, გინდა თუ არა, ჩემით გაიცნესო. სისულელეა ეს! ან ერთი, ან მეორე სტალინთან შედარებით რას წარმოადგენენ?! ის ბუმბერაზი იყო, ამხელა ქვეყანა ფეხზე დააყენა, უძლიერესი და უმდიდრესი გახდა მსოფლიოში. ამათ კი პატარა საქართველოს ვერ მოუარეს, ტერიტორიები დაკარგეს და ხალხი გააღატაკეს. ეს სააკაშვილი გამუდმებით გაიძახოდა, დღევანდელი ჩვენი მიღწევები დავით აღმაშენებელს არც კი დაესიზმრებოდაო... ვის ატყუებს, ერთი! დავითმა 16 წლისამ გაპარტახებული ქვეყანა ჩაიბარა, 36 წელიწადში კი მთელ აღმოსავლეთში უძლიერეს სახელმწიფოდ აქცია!

— რომ ვაცადოთ კიდევ 27 წელი, ბატონო დავით?

— კი, ბატონო, ვაცადოთ (ორივეს გულიანად გვეცინება).

... 90 წლის კაცი ვარ და ამ ბოლო დროს ერთი ბედნიერი სახე არ მინახავს ქუჩაში! ერთი ბერიკაცი ვარ, რომელსაც ცხოვრებაში უამრავი ქართველი დაატყდა თავს, და აღარ ვერევი პოლიტიკაში, მარა, რომ არ მეშვება ეს პოლიტიკა? დაუპატიჟებელი სტუმარით შემომივარდება სახლში და სიბერეს მიმწარებს! არა არის ჩემი საშველი!

— ბატონო დავით, თქვენ თითქმის სამი წელი გერმანელი ფაშისტების ტყვე იყავით. მაინტერესებს, როგორ გექცეოდნენ ისინი? ამას იმიტომ გეკითხებით, რომ შევადარო თქვენი ტყვეობა იმ პატიმრების მდგომარეობას, რომლებსაც აწამებდნენ გლდანის მერვე საპრობილეში.


— ასეთი სისასტიკე მე პირადად ტყვეობაში არ მინახავს! უმკაცრესი დისციპლინა ჰქონდათ და, თუ დაარღვევდი, დაგსჯიდნენ, მაგრამ არა მასეთი საშინელი ფორმებით. დახვრეტა იყო მხოლოდ გაქცევასა და ქურდობაზე. იქ ერთი ხანშიშესული ფელდფებელი გყავდა, აცხონოს ღმერთმა, კარგი კაცი იყო! ჰოდა, ერთხელ მისმა მოადგილემ უსამართლოდ დამსაჯა — 25 როზგი დამარტყა. მოვიდა ფელდფებელი, საქმის ვითარება რომ გაიგო, აჰკიდა თავის მოადგილეს ტყვიებით სავსე ზურგჩანთა და მთელი ღამე არბენინა! მე კი იმ საღამოს თეთრი პური და ტკბილი ჩაი შემომომიტანა, მერე ხელი თავზე გადამისვა, თითქოს ბოდიშს მიხდიდა...

— ასეთი რამ იშვიათად ხდებოდა, ალბათ, მაგრამ თქვენ რომ გადაეყარეთ იმ ღვთისნიერ გერმანელს, ისევ თქვენი ქუდბედიანობის „ბრალია“...

— ალბათ, მართლა ბედმა გამიღიმა...

(სევდიანი ღიმილი გადაეფინა მოხუცს სახეზე, რომელმაც თავლზე მომდგარი ცრემლის შეკავება მაინც ვერ შეძლო).

ესაუბრა  
პიორბი კორაკაძე





მერაბ ჯიბლაძე:

# საქართველოში განათლების დონე იმდენად დაბალია, რომ განვითარებულ ქვეყნებში თეთრკანიან ზანბებს გვიქანებენ

განათლების სისტემაში ბოლო დროს განხორციელებულ რეფორმებსა და მის სამომავლო შედეგებზე გვესაუბრება მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მერაბ ჯიბლაძე.


— ბატონო მერაბ, სააკაშვილის ხელისუფლება „ვარდების რევოლუციიდან“ დღემდე გატარებულ რეფორმათა შორის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულად განათლების მიმართულებით განხორციელებულ ცვლილებებს მიიჩნევდა. რეალურად როგორ აისახა ეს რეფორმები ჩვენს განათლებაზე? ზოგადი დონე მცირედით მაინც თუ ამაღლდა?

— რა გითხრათ, კი არ ამაღლდა, ისე დადაბლდა, რომ განადგურდა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ჯერ ერთი, რეფორმებმა მოიტანა ის, რომ ჩვენ უკვე საშუალო სკოლა აღარ გვაქვს. რაც გვაქვს, ეს ე. წ. საჯარო სკოლები, სულ სხვა რამეა. ამ ტიპის სასწავლებლები ამერიკაში იწოდება „ფაბლიკ სკულებად“ და ეს „ფაბლიკ სკულები“ შექმნილია სპეციალურად გონებასუსტი ზანგებისა და ლათინოსებისთვის. პროექტის მიზანია, როგორმე წერა-კითხვა ასწავლონ გონებრივად ჩამორჩენილ ბავშვებს, ამიტომ პროგრამებიც და ნიგნებიც ისეა შედგენილი, რომ, რაც შეიძლება მეტი ილუსტრაციები იყოს და იძლეოდეს მხოლოდ იმ მინიმალურ ცოდნას, რომელიც საჭიროა ელემენტარული, საურთიერთობო ინგლისურის დასაუფლებლად.

— როგორ ფიქრობთ, ჩვენთან

რატომ ჩათვალეს საჭიროდ ამ ტიპის სასწავლებლების არსებობა?

— ეს არის იმის შედეგი, რომ თავის დროზე შევარდნაძის დიდი ძალისხმევით საქართველო გახდა განვითარებადი ქვეყანა, თანაც ძალიან დაბალი დონის; და რადგან განვითარებადი ქვეყანა ხარ, შენ უნდა გქონდეს ის განათლება, რაც ამ კატეგორიის სახელმწიფოს შეესაბამება. მე ამის წინააღმდეგ გამოვედი ჯერ კიდევ 1992 წელს, როცა ვიყავი განათლების მინისტრის მოადგილე უმაღლესი განათლების დარგში. წინააღმდეგი გამოვედი იმიტომ, რომ მაშინ უკვე პირდაპირ მოთხოვნები წამოვიდა ამერიკის საელჩოდან, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ჩვენი სისტემა. სხვათა შორის, იმ დროს ამერიკის საელჩოში იყო ერთი ატაშე — ბატონი ჰარისონი, რომელთანაც მქონდა ძალიან კატეგორიული და მკაცრი კამათი ამის თაობაზე და მან თქვა: თქვენ ხართ განვითარების სტადიაში, ამიტომ სახელმწიფომ უნდა დააფინანსოს მხოლოდ დანყებითი განათლება. მაშინ მე ვუთხარი: კი მაგრამ, ჩვენ არ უნდა აღვზარდოთ ექიმები-მეთქი? შეიშმუშნა და მიპასუხა: თქვენ ხომ ჯერ კიდევ განვითარებადი ხართ, როგორ შეიძლება აქ ტარდებოდეს ოპერაციები?! აქ შეიძლება მხოლოდ აცრები, ისევე, როგორც, ვთქვით, უგანდაში ან



აფრიკის რომელიმე სხვა სახელმწიფოში... ავადმყოფებს რა ვუყოთ-მეთქი და ჩვენ გამოგიგზავნით წითელ ჯვარს ან ვისაც ფული ექნება, ჩამოვა და ჩვენთან იმკურნალებსო...

ასევე, მახსენდება, 90-იან წლებში ერთ ჩემს მეგობარს გავყევი საფრანგეთის საელჩოში, რომელსაც ფრანგული სკოლის გახსნა უნდოდა და მაშინდელმა ელჩმა, ბერნარდ ჰასიემ, მოთხოვნა რომ გაიგო, პირდაპირ გვითხრა: **თქვენ რად გინდათ განათლება, თქვენ ხომ თეთრკანიანი ზანბები ხართო.** ცხადია, ლაპარაკი აღარ გავცივრებდებო, მაშინვე გამოვბრუნდი. მერე ამის შესახებ სტატიაც გამოვაქვეყნე. აი, ასე გვიყურებდნენ და გვიყურებენ დღესაც ცივილიზებულ სამყაროში და კიდევ ვიმეორებ, ეს დამლუპველი დაინყო 1992 წელს, როცა ჩვენ „მივალწიეთ“





იმას, რომ განვითარებადი ქვეყნის სტატუსი გვექონოდა; შევარდნაძე ამით ამაყობდა კიდევ: — ეს რომ არ გამეკეთებინა, შიმშილით მოვკვდებოდი. შემდგომი რეფორმები უკვე, ცხადია, ამერიკელთა კარნახით წარიმართა ისე, როგორც ეკადრებოდა განუვითარებელ სახელმწიფოს.

— მოკლედ, ეს რეფორმა არც ერთი კუთხით შედეგიანი არ ყოფილა?

— შედეგიანი ნამდვილად იყო, იმიტომ, რომ მან მიაღწია თავის მიზანს — დაანგრია განათლების სისტემა. მხოლოდ ესაა, სხვა სიკეთე ამ ე. წ. რეფორმებს არ მოუტანია; ჩვენ დავეკარგეთ საშუალო სკოლები, მის მაგივრად კი გვაქვს საჯარო სკოლები, რომლებიც, როგორც ბითხარით, არის გონებაშეზღუდულებისთვის და ხელიდან ახსოვს ბაბუკაძე ბაბუკაძე უმაღლესი სასწავლებლები...

— სწავლება რომ თორმეტწლიანი გახდა, ამაზე რა აზრის ხართ?

— არანაირი მნიშვნელობა მაგას არ აქვს, პირიქით, ეს ძალიან ცუდი იყო, იმიტომ, რომ ჩვენი ამ ე. წ. საჯარო სკოლების სასწავლო პროგრამები ისეთია, თორმეტი კი არა, გინდა თექვსმეტწლიანი გახადე სწავლება, ამით არაფერი შეიცვლება.

მე ვარ ამერიკის ფიზიკის საზოგადოების წევრი და

ხშირად მიგზავნიან სოლმა სამეცნიერო ჟურნალს „ფიზიკის თუდები“. იმ ერთ-ერთ ნომერში მოცემული იყო ფიზიკის სასწავლო პროგრამების კლასიფიკაცია. არსებობს სულ სამი: ეი, ბი, სი პროგრამები და ჩვენთან ასწავლიან სწორედ ეი პროგრამით, რომელიც შექმნილია სწორად ამ გონებასუსტი ბავშვებისთვის. ანალოგიურად ისწავლება სხვა საბნებიც და მეტიც, გადაჭარბების ბარეშე ვამბობ, რომ ის სახელმძღვანელოები, რომლებიც ჩვენთან გამოდის, ფაქტობრივად, არის „ფაბლიკ სკულს“ შისაბამისი გადმოქართული პროგრამები. ამიტომცაა ის უპარბისი და, რამდენი წელიც გინდა ასწავლე, შედეგი იქნება ნული.


— ხელისუფლების წარმომადგენლები მუდმივად საპირისპიროს ამტკიცებენ, თურმე ძალიან განათლებული და პერსპექტიული თაობა მოდის.

— ხელისუფლების რიტორიკა და რეალობა ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდება. ფაქტი ისაა, რომ ჩვენს ახალგაზრდებს მაღლი განათლების მისაღებად პრაქტიკულად ყველა გზა მოუჭრეს. ყველა „სიკეთესთან“ ერთად დღეს არის ტენდენცია, რომ სკოლებში პედაგოგებად

ინიშნებიან ძირითადად ახალგაზრდები. ცხადია, ახალგაზრდა კადრის მოსვლა ყოველთვის კარგია, მაგრამ მათი უმეტესობა განათლებული. ამას იმიტომ ვამბობ, რომ 1992 წლის შემდეგ ვინც დაამთავრა, ექვნი მეპარება, მათგან ვინმე იყოს ისეთი, რომლის შეშვება სკოლაში შეიძლება. მხედველობაში მაქვს ნორმალური სკოლა, ამ სკოლებში კი, რა თქმა უნდა, შეიძლება...

— განათლების რეფორმის ერთ-ერთ მიღწევად ისიც მიმაჩნია, რომ თურმე სისტემაში კორუფცია აღმოიფხვრა. თქვენ როგორ უყურებთ ამ ყველაფერს?

— რადგან შემოიღეს ეროვნული გამოცდები, ჰგონიათ, რომ კორუფცია გაქრა. ეს არის აბსოლუტური სისულელე. მოდი, ასე შევხედოთ საკითხს: რა იყო კორუფციის მიზანი, გარდა ფინანსური გამორჩენისა — ის, რომ უცოდინარი შესულიყო ფულის დახმარებით, ანუ მშობელი შვილის უცოდინარობისთვის იხდიდა ფულს და უსინდისო ლექტორი ამის ხარჯზე მდიდრდებოდა. რაც შეეხება რეფორმას, რა მოხდა მას შემდეგ, რაც ამ ე. წ. ეროვნულმა გამოცდებმა თითქოს მექრთამეობა გამოიცილა: ლექტორი, მართალია, ფულს ხელზე არ იღებს, მაგრამ სწავლის გადასახადი გახდა იმდენად მაღალი, რომ ფაქტობრივად ამან გადაფარა ყველანაირი კორუფცია. მეორე მხრივ, სტუდენტს, რომელიც იხდის გაზრდილ გადასახადს, ორიანს ვერ დაუნერ. ახლა გეკითხებით: არის თუ არა ეს კორუფცია? რა თქმა უნდა, კორუფციაა, უბრალოდ, საქმე ისაა, რომ ფორმა შეიცვალა; ის ფული კი ისევ მიდის ლექტორთან, ოღონდ არა პირდაპირ, არამედ ბანკისა და ბიუჯეტის გავლით. ჯამში აქ არაფერი შეცვლილა, პირიქით, მდგომარეობა ბევრად გაუარესდა, — ადრე თუ, ვთქვათ, ათას ლარს იხდიდა სტუდენტი, ახლა იხდის სამათასს და ზოგჯერ მეტსაც. ასე რომ, კორუფცია კი არ აღმოიფხვრა, კორუფციამ ფესვები გაიფარა და ეს ფესვადგმული კორუფ-



«არკონულა გამოსღება თითქოს მექრთამეობა გამორიხსა: ლექტორი, მართალია, ფულს ხელზე არ იღებს, მაგრამ სწავლის გადასახადი გახდა იმდენად მაღალი, რომ ფაქტობრივად ამან გადაფარა ყველანაირი კორუფცია. ასე რომ, კორუფცია კი არ აღმოიფხვრა, კორუფციამ ფესვები გაიფარა და ეს ფესვადგმული კორუფ-




ცია შეინიღბა და კანონის სახე მიცა...  
 — რაც შეეხება გამოსავალს, რა შეიძლება გაკეთდეს იმისთვის, რომ არსებული მდგომარეობა ნაწილობრივ მაინც გამოსწორდეს?

— პირველ რიგში, უნდა მოვიხსნათ განვითარებადი ქვეყნის სტატუსი, მაგრამ ეს ძალიან რთული პროცესია. მანამ, სანამ ეკონომიკა არ აიწვევს შესაბამის დონემდე, ამას არავინ მოგიხსნის. თავის მხრივ, იმისთვის, რომ ეკონომიკა განვითარდეს, განათლებული ხალხი უნდა გყავდეს, საუბარია კვალიფიციურ კადრებზე. ხოლო განათლებული ხალხი რომ გყავდეს, ამას ისევ და ისევ ხელს უშლის ის, რომ შენ ხარ განვითარებადი. ეს ორი რამ პირდაპირ კავშირშია ერთმანეთთან და მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ ერთმანეთის განმაპირობებელი ფაქტორებია...

— იქნებ მკითხველს უფრო დეტალურად ავუხსნათ. განვითარებადი გულისხმობს, რომ განვითარების პროცესში ხარ, მაგრამ, თუკი განათლების სისტემის ის მოდელი, რომელიც განვითარებულის სტატუსის მქონე ქვეყნებისთვისაა, არანაირი წინსვლის პერსპექტივას არ ქმნის, რა შანსი გვაქვს, რომ ოდესმე მაინც გავხდებით განვითარებული?

— კიდევ ერთხელ ვიმეორებ: განვითარებადიდან განვითარებულზე გადასასვლელად ერთადერთი პარამეტრია ეკონომიკა. კი, ბატონო, იმუშავე ისე, რომ შენმა ეკონომიკურმა პარამეტრებმა მიაღწიოს განვითარებადი ქვეყნის შემდეგ საფეხურს, მერე კიდევ შემდეგ საფეხურს (ჯამში რამდენიმე საფეხურია, ჩვენ ყველაზე ბოლოს ვართ) და ამის შემდეგ, როცა უკვე აღარ დამჭირდება არავის დახმარება, უფასო გრანტები და სესხები, შეგიძლია გქონდეს ის კანონები, რაც აქვთ ცივილიზებულ ქვეყნებს. სხვა გზა ამისთვის არ არსებობს და ყველა განვითარებულმა სახელმწიფომ, რომლებშიც განათლების დონე მაღალია და ეკონომიკაც



შესაბამისი, თავის დროზე ყველა ეს საფეხური განვლო.

— ჩვენი განათლების სისტემის ერთ-ერთ მთავარ ნაკლად სწავლის გადასახადის სიძვირეც მიიჩნევა. განვითარებულ ქვეყნებში რა მდგომარეობაა ამ მხრივ?

— მაგალითად, გერმანიაში, სადაც 26 მიწაა, მხოლოდ ხუთ მათგანზეა განათლება ფასიანი, ქვეყნის დანარჩენ ნაწილებში კი სწავლა ფინანსდება ბიუჯეტიდან. ძალიან იაფია გადასახადი ასევე საფრანგეთში, ევროპაში კი, შეიძლება ითქვას, სიმბოლური ფასეობა. ჩვენთან ამ მხრივაც კატასტროფული მდგომარეობაა, მაგრამ პრობლემა მარტო გადასახადის სიდიდეში არ არის, მთავარი და ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია ის, რომ განათლების ხარისხი, რომელსაც სტუდენტი იღებს, არანაირად არ შეესაბამება გადახდილ თანხას. ესაა უმთავრესი ნაკლი, რომელიც მომდინარეობს სისტემის ფესვებიდან და მე დავწერე კიდევ, რომ კოსმეტიკური ცვლილებები ამას ვერ უშველის. აქ უნდა მოხდეს ძირითადი გარდაქმნა და ამისთვის საჭიროა საქმისადმი საფუძვლიანი მიდგომა.

— თუ ეს სისტემა არ შეიცვლება, რა შეიძლება იყოს სამომავლო შედეგი?

— შედეგი უკვე ჩანს იმ ტენდენციაში, რაც არის რეალურად, მოდის თაობა, რომელსაც არანაირი განათლება არ აქვს და, ფაქტობრივად, უპერსპექტივოა. განათ-

ლებას ვერ დავარქმევთ მარტო დიპლომს, ფაქტია, რომ ეს დიპლომი დღეს ვერანაირ სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს. ამ დროს მსოფლიოში კონკურენცია დღითიდღე იზრდება, სულ უფრო მეტი მოთხოვნებია და რთულია...  
**საქართველოს აქვს საკმარისი ინტელექტუალური და ფინანსური რესურსები იმისთვის, რომ ძველანაში თუნდაც ერთი სასწავლებელი შეიქმნას ნორმალური. ამისთვის კი, კიდევ ვიმეორებ, საჭიროა ძირითადი, ფუნდამენტური ცვლილებები.** საფუძველი ამ შემთხვევაში არის საშუალო სკოლა, რომელშიც უნდა ხდებოდეს საბაზო ცოდნის მიღება შემდგომ უკვე უმაღლეს სკოლაში სწავლის გასაგრძელებლად.

**მოკლედ, ეს არის ერთი მთლიანი სისტემური ჯაჭვი, რომლის ცალკე რგოლად განხილვა არ შეიძლება. იმედი მაქვს, რომ ცვლილება, რომელსაც ზოგადად ჩვენი განათლება, დიდი ხანია, საჭიროებს, დაიწყება. მთავარია, როცა ეს მოხდება, პროცესში პროფესიონალები ჩაერთონ, სხვანაირად ცვლილება შეიძლება უფრო საშიშიც კი იქნეს, იმიტომ, რომ არაკვალიფიციური ხალხის მიერ ჩატარებულ რეფორმას რა შედეგიც მოსდევს, ამის ნათელი მაგალითი საქართველომ ერთხელ უკვე ნახა...**

ჯაბა შვანია



# სტუბრაღ «რუსულ კლუბი»

**ნიკოლოზ სვენიციკი** დაიბადა თბილისში 1956 წელს. არის ქართული თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, თბილისის ა. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრის დირექტორი, რუსეთის ფედერაციის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. არის საქართველოს თეატრალური საზოგადოების წევრი. მან დააფუძნა რუსული კულტურის ცენტრი საქართველოში და 1998-2003 წლებში იყო მისი დირექტორი. 2003 წლიდან დღემდე გახლავთ დამფუძნებელი და დირექტორი საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირისა „რუსული კლუბი“. ოფიციალური წარმომადგენელია რუსულენოვანი მწერლების საერთაშორისო ფედერაციისა საქართველოში. 2007 წლიდან დღემდე ის არის ხელმძღვანელი, ორგანიზატორი და კოორდინატორი ყოველწლიური საერთაშორისო რუსულ-ქართული პოეტური ფესტივალისა.



— ბატონო ნიკოლოზ, „რუსულ კლუბში“ თქვენი მოღვაწეობის მანძილზე მრავალი კულტურული პროექტი განახორციელეთ, რომლებიც ქართულ-რუსული ურთიერთობების გაღრმავებასა და გაუმჯობესებას ითვალისწინებდა. კონკრეტულად რა სახის ღონისძიებები ჩაატარეთ და როგორ მიიღო ისინი ქართულმა საზოგადოებამ?

— ჩვენ ყოველწლიურად ასამდე ღონისძიებას ვატარებთ, მაგრამ მათ შორის არის ე. წ. მსხვილი ღონისძიებები. ყველაზე დიდი პროექტი, რომელსაც ჩვენ ვახორციელებთ ყოველწლიურად, ეს არის რუსულ-ქართული პოეტური ფესტივალი, რომელიც თავს უყრის მსოფლიოს 40 ქვეყნიდან პოეტებს, რომლებიც რუსულ ენაზე წერენ. ჩვენი ყველაზე დიდი პრიორიტეტი ამ ფესტივალზე ის არის, რომ მათ გადათარგმნონ ქართველ პოეტთა შემოქმედება და გაიტანონ საზღვრებს გარეთ. ეს არის ჩვენი მიზანი.

ჩვენ ასევე აღვნიშნავთ ცნობილ თანამემამულეთა იუბილეებს — როგორც ქართველების, ასევე რუსების. მოგეხსენებათ, ქართველები ყველაზე უკეთ ასრულებენ რუსულ რომანსებს, ამიტომ დიდი პოპულარობით სარგებლობს რუსული რომანსის საღამოები. გავიხსენეთ თამარ წერეთლი, ასევე

აღვნიშნეთ მედეა ძიციგურის 70 წლის იუბილე. ეს ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის.

ამჟამად ვემზადებით ილია ჭავჭავაძის იუბილესათვის, რომელიც სანკტ-პეტერბურგში უნდა აღვნიშნოთ, ქალაქში, სადაც სწავლობდა და საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა დიდი ილია.

— როდისთვის გეგმავთ ამ ღონისძიებას?

— ნოემბრის ბოლოსთვის. ყოველი ღონისძიების შემდეგ ვუშვებთ ბეჭდურ გამოცემებს.

— რუსული კულტურის ცნობილ მოღვაწეებთან მონყობილი შემოქმედებითი საღამოებით რამდენად დაინტერესებულია ქართული საზოგადოება?

— ჯერ ერთი, 97% ამ ღონისძიებების მონაწილეებისა ეთნიკური ქართველია. **ჩვენ არა ვართ ორგანიზაცია რუსებისთვის, ჩვენ ვართ ორგანიზაცია, რომელიც პოპულარიზაციას უწევს ქართულ-რუსულ კულტურულ კავშირებს. ეს საჭიროა, რადგან ჩვენ ვართ მრავალსაუკუნოვანი ქრისტიანული ძველები, მართლმადიდებლები, ჩვენ გვაქვს საერთო რელიგია, საერთო მიზანი, რომ იყოს მშვიდობა.**

ინტენსიურად ვთანამშრომლობთ რუსეთში ქართულ დიასპო-

რასთან და ხშირად ვაკეთებთ ერთობლივ საინტერესო პროექტებს. მოხარული ვართ, რომ ჩვენს ღონისძიებებში ქართველი ახალგაზრდობა მონაწილეობს.

— დღესდღეობით როგორი შემოქმედებითი ცხოვრებით ცხოვრობს გრიბოედოვის თეატრი?

— ახლახან, 12 ოქტომბერს, თბილისის სტუდენტები გრიბოედოვის თეატრში დოსტოევსკის სანახავად მოვიწვიეთ. ის, რომ ქართველ ახალგაზრდობას უნდა დოსტოევსკის ნახვა, შესანიშნავია, ე.ი. ჩვენს ურთიერთობებს მომავალი აქვს, რადგან ერთია, როცა უფროსი თაობა აღიზარდა დოსტოევსკიზე, მაგრამ სხვა საქმეა ახალგაზრდობა. იმას, რომ ამ ახალგაზრდებს უნდათ დოსტოევსკის ნახვა, ტოლსტოის ნაკითხვა, ჩვენ მივესალმებით.

საკმაოდ დიდი პროექტი, რომელიც შარშანწინ განვახორციელეთ — ეს იყო ნ. ტოლსტოის საქართველოში ჩამოსვლის 160 წლისთავის აღნიშვნა. მოგეხსენებათ, ტოლსტოიმ თავისი პირველი ნაწარმოები „ბავშვობა“ საქართველოში დაწერა. ჩვენ მოვანყვეთ



სამხატვრო აკადემიის სტუდენტების მიერ ტოლსტოის ნაწარმოებთა მიხედვით შესრულებული ნახატების საკმაოდ დიდი გამოფენა. გამარჯვებულები პრიზის სახით რუსეთის ფედერაციაში მოგზაურობით დაჯილდოვდნენ.

წელს გრიბოედოვის თეატრმა ეს სეზონი რუსული კლასიკის სეზონად გამოაცხადა. მაყურებელს შევთავაზებთ დოსტოევსკის, გოგოლის, პუშკინის ნაწარმოებები... ერთი სიტყვით, ყველა სპექტაკლი რუსული კლასიკიდანაა. აუცილებელია მოზარდმა თაობამ ორიგინალში მოუსმინოს იმ ენას, რომელზეც საუბრობდა პუშკინი.

კარგია, რა თქმა უნდა, ინგლისურიც, მაგრამ ჩვენ ვერასოდეს გადავიტანთ კავკასიის ქედს სხვაგან და ყოველთვის ვიქნებით ისტორიულადაც და გეოგრაფიულადაც რუსეთის მეზობლები. ყველაფერი შეიძლება გავაკეთოთ, მაგრამ ადგილსამყოფელს ჩვენ ვერ გამოვიცვლით, ამიტომ უნდა მოიძებნოს მექანიზმები ურთიერთობების დასარეგულირებლად. დიახ, ბევრია შეცდომა როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან; კაცმა არ იცის, საითაა უფრო მეტი, მაგრამ ეს ხელს არ გვიშლის ურთიერთობაში.

**— თქვენი აზრით, რა როლის შესრულება შეუძლია დღეს თეატრს ახალი ურთიერთობების ჩამოყალიბებაში?**

— ამასწინათ ტელეკომპანია „კავკასიის“ ეთერში დამისვეს კითხვები დაკარგულ ტერიტორიებთან და აფხაზებთან დაკავშირებით. მე ვთქვი, რომ რამდენადაც ვთვლით, რომ აფხაზეთი ჩვენი ტერიტორიაა, საქართველოს ნაწილია, ე. ი. ჩვენ შეგვიძლია იქ გასტროლებზე ნავიდეთ და ვუჩვენოთ სპექტაკლები. აი, ეს იქნება სახალხო დიპლომატია. მერე ნავლენ ბიზნესმენები, მერე ნავლენ გლეხები... თავიდან სახალხო დიპლომატიით დაიწყება და მერე თანდათან, ალბათ, იურიდიულიც ჩაერთვება.

**— როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?**

— წლებულს ჩვენი დიდი პროექტი იქნება ილია ჭავჭავაძესთან დაკავშირებით. შემდეგ საახალწლო ზეიმი ბავშვებისთვის, აი, ეს წიგნი — ილიას საბავშვო ლექსთა კრებული, საჩუქრად გადაეცემა 5 ათას ბავშვს.

და კიდევ: 25 იანვარს ვლადიმერ ვისოცკის დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდებოდა. ვისოცკის ბევრი კარგი რამ აკავშირებდა საქართველოსთან. თუნდაც ის, რომ მან ჯვარი მარინა ვლადიზე საქართველოში დაინერა, მთანმინდაზე, მამა დავითის ეკლესიაში.

**— გაქვთ თუ არა სერიოზული პრობლემები, რომლებმაც, შესაძლოა, ხელი შეუშალოს თქვენი გეგმების განხორციელებას?**

— მნიშვნელოვანი პრობლემები არ გვაქვს, რამეთუ ჩვენ არასოდეს ვყოფილვართ არც მე-5, არც მე-8 კოლონა, ჩვენი ყველა პროექტი მიმართულია მხოლოდ ჩვენი ქვეყნის, საქართველოს პოპულარიზაციისკენ, არ ვიყავით დაკავებული პოლიტიკით. რვა წელია, ვუშვებთ ჟურნალს, რომელშიც არავინ გაგვიღანძღავს. პოლიტიკა ჩვენი საქმე არაა, ჩვენ დაკავებულნი ვართ კულტურით. ამდენად, არც ხელს გვიშლიდა ვინმე და არც პრობლემებს გვიქმნიდა, მაგრამ არც გვეხმარებოდა (თუმცა არც მიგვიმართავს ვინმესთვის დახმარების სათხოვნელად).

მთელი ეს წლები ჩვენ ინტენსიურად ვთანამშრომლობთ ფონდ „ქართუსთან“, რომელიც ბატონ ბიძინა ივანიშვილს ეკუთვნოდა. ამ ადამიანს ესმოდა და ესმის, რამდენად მნიშვნელოვანია კულტურული კავშირების არსებობა და შენარჩუნება რუს და ქართველ ხალხს შორის. კულტურა ხალხის სულია. ჩვენ ყოველთვის გვქონდა ბატონ ბიძინასგან მხარდაჭერა, საკმაოდ სოლიდურიც — ეს შენობა, რომელშიც ჩვენ ვსხედვართ, სწორედ მან ააშენა. ჩემის აზრით, სოციალური აფეთქება ქვეყანაში იმიტომ არ ყოფილა, რომ ჩვენი ცხოვრების უმძიმეს წლებში გამოჩნდა ეს ადამიანი, რომელმაც თავი ვალდებულად ჩათვალა, მხარში ამოდგომოდა და გამოეკვება ქართული ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი, რომელიც არც თუ ისე შორეულ წარსულში მშრალ ხიდზე ყიდდა სერვიზებსა და საკუთარი მდიდარი ბიბლიოთეკიდან წიგნებს. ეს არის უდიდესი სირცხვილი ქვეყნისთვის, როცა აკადემიკოსი, შიმშილით რომ არ მოკვდეს, ყიდის ჩაიდანს. და სწორედ ასეთ დროს ამ ადამიანმა საკუთარი შრომით შეგროვებული ფული გაუნანილა იმ ადამიანებს, რომლებიც, ფაქტობრივად, საქართველოს სახეს ქმნიან — ესენი არიან ცნობილი მეცნიერები, კულტურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეები. ამიტომ უდიდესი მადლობა მას. მისი ნყალობით ბევრი რამ გადაარჩა.



„რუსული კლუბის“ გაჭედური გამოცემები





ხელისუფლებაც აშენებდა ლამაზ შენობებს, მაგრამ იქ არა, სადაც აჯობებდა. მაგალითად, მე კატეგორიულად არ ვეთანხმები საპატრიარქოსთან კაზინოს გახსნას. ჩემის აზრით, ეს სრულიად უმართებულო გადაწყვეტილებაა. მიზანშეწონილი იქნებოდა იგი თუნდაც მუხიანში ან დიდ დილომში გახსნილიყო, ოღონდაც არა საპატრიარქოსთან. ეს არის ცინიზმის პოლიტიკა, რომელიც ბოლოსდაბოლოს, მადლობა ღმერთს, შეწყდა ჩვენს ქვეყანაში და ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან ქართველებს ცინიზმი ხასიათში არასოდეს ჰქონია, ქართველი ერის დასაყრდენს ყოველთვის წარმოადგენდა ოჯახი, უფროსის პატივისცემა და ქრისტიანული რელიგიისადმი უდიდესი მოკრძალება.

და როცა საპატრიარქოსთან კაზინო გაიხსნა, ამას ყოველი ქართველი და რუსიც — ყველა, ვისაც ოჯახი უყვარს, მიიღებდა, როგორც პირად შეურაცხყოფას.

მინდა ვთქვა, რომ **არ მისმის, საქართველოში ფრანგი რატომ დგამს „ვერის უბნის მელოდიას“, ქართველი კი — „ოლივერ თვისტს“**. იქაც და

**«არ მისმის, საქართველოში ფრანგი რატომ დგამს „ვერის უბნის მელოდიას“, ქართველი კი — „ოლივერ თვისტს“.**

აქაც შედეგმა დიდხანს არ დააყოვნა. ვერასდროს ვერც ერთი ფრანგი ვერ ჩასწვდება თბილისის სულს, ვერასოდეს! ამას აქ შეეცადა დიუმა და მას ეს მხოლოდ ნაწილობრივ გამოუვიდა. და დიუმას შემდეგ, არა მგონია, აქ ვინმე, მასზე რანგით მაღალი, ჩამოვიდეს და ეს მოახერხოს.

მე ვთვლი, რომ გამოჩნდა გვირაბის ბოლოს შუქი, როცა გაჩნდა ძალიან საინტერესო პროგრამა დაკარგული სულიერების დასაბრუნებლად.

— **საქართველო ახალ ცხოვრებას იწყებს. უდავოა, დაიმსხვრევა რუსეთის, როგორც საქართველოს დაუძინებელი მტრის ხატი, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლებამ შექმნა. როგორია თქვენი მოლოდინები — რამდენად შესაძლებლად მიგაჩნიათ**

**რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის აღდგენა?**

— ჩვენ, არა მგონია, ახალ ცხოვრებას ვიწყებდეთ. ჩვენ, როგორც ვცხოვრობდით, ისევ ისე ვიცხოვრებთ. უბრალოდ, ახალი ხელისუფლებისადმი პატივისცემით, რომელიც მოდის სათავეში, იმ მინის პატივისცემით, რომელზეც დავიბადეთ, ჩვენი სამშობლოს პატივისცემით, ჩვენ გავაგრძელებთ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ორჯერ უკეთესად ვიმუშავებთ. აი, ასე დავეხმარებით ჩვენს ქვეყანას. მე ვთვლი, რომ კარგია სუფრასთან საქართველოს სადღეგრძელოს წარმოქმნა, მაგრამ აჯობებს, ყველამ ჩვენ-ჩვენი საქმე კეთილსინდისიერად და კობტად ვაკეთოთ.

ესაუბრა  
**დარეჯან ანდრიაკე**



ილია ჭავჭავაძემ სიცოცხლეშივე მოიპოვა მონინავე ქართველი საზოგადოებრიობის საერთო აღიარება, უღრმესი პატივისცემა და დაფასება, ხოლო მისი მოწამებრივი სიკვდილის შემდეგ თანდათან სულ უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა ბუმბერაზი მოაზროვნისა და მხატვრის ნამოღვაწარის, მისი მდიდარი და მრავალფეროვანი შემოქმედების მაღალი ღირებულების, იმ დიდმნიშვნელოვანი მისიის ჭეშმარიტი აზრი, რომელიც მან ქართველი ხალხის სულიერ და გონებრივ აღორძინებაში შეასრულა.

უდიდესი მამულიშვილის დაბადებიდან 175 წლისთავთან დაკავშირებით საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირმა „რუსული კლუბი“ სერიით „საბავშვო წიგნები“ გამოსცა დიდი ილიას კრებული ბავშვებისათვის. ეს მნიშვნელოვანია, რამდენადაც, როგორც დიდი ილია ბრძანებდა, „თუ სათავე მღვრიეა, ბოლოში ამო იქნება წმინდა წყლის ძებნა“.

კრებულს „საშობაო საჩუქარი“ ჰქვია და იგი კლუბის მიერ ორგანიზებულ საახალწლო ღონისძიებაში მონაწილე 5 ათას ბავშვს საჩუქრად გადაეცემა.



ნინო ტაბიძე

# შესვლადრა მაიაკოვსკისთან

მაიაკოვსკი თბილისში 1926 წელს ჩამოვიდა. ტიცციანმა იმავე დღეს ჩვენთან მოიყვანა სტუმრად, პირველად მაიაკოვსკის მაშინ შევხვდი, დაახლოებით ერთ საათს დაჰყო ჩვენთან. ვისაუბრეთ ლიტერატურაზე, ახალ ამბებზე. მაიაკოვსკიმ გაიხსენა ბალდადი, გვითხრა, რალაც მინდა დავწერო ბალდადზე, კარგი და მნიშვნელოვანია, თან დასძინა საქართველო უსაზღვროდ მიყვარდა და მუდამ მეყვარება.

26 თებერვალს მე და ტიცციანი რუსთაველის თეატრში წავედით მაიაკოვსკის საღამოზე. მაიაკოვსკი გამოდიოდა მოხსენებით „ამერიკის ლიტერატურული ცხოვრება“, მერე ლექსები წაიკითხა. მასავით ლექსებს იახონტოვიც კი ვერ კითხულობდა.

სხვა ლექსებთან ერთად მაიაკოვსკიმ წაიკითხა „ვლადიკავკაზი-თბილისი“. ტიცციანს ძალიან უყვარდა ეს ლექსი და სიამოვნებით უსმენდა ავტორს. ყოველ სტრიქონში იგრძნობდა მაიაკოვსკის უსაზღვრო სიყვარული საქართველოსადმი. უყვარდა ტიცციანს „საიუბილეოც“, „ღრუბელი შარვლით“. თავისი ორიგინალობით ძალზე მოსწონდა „მისტერია-ბუფი“, რომელიც ტიცციანმა კოტე მარჯანიშვილის თხოვნით ქართულად თარგმნა.

მარჯანიშვილს სურდა „მისტერია-ბუფი“ ღია ცის ქვეშ, ფუნქიკულიორზე დაედგა.

ლექსების კითხვის შემდეგ მაიაკოვსკიმ შეკითხვებზე პასუხის გაცემა დაიწყო და ხალხი მოხიბლა მახვილგონივრული პასუხებით.

იმავე საღამოს პაოლო იაშვიალმა ლოჟიდან ქართულ ენაზე წაიკითხა „მარცხენა მარში“.

\*\*\*

მეორე დღეს მაიაკოვსკი პუშკინის ქუჩაზე დუქან „სიმპათიაში“ მივიპატიჟეთ.

მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა იმ დროისთვის მოდურ დუქანზე. კედლები ვილაც თვითნასწავლ მხატვარს მოეხატა. აქ შეხვდებოდით მსოფლიოს გამოჩენილ ადამიანთა პორტრეტებს. შექსპირს

მხარს მეფე სოლომონი უმშვენებდა. ორივენი პუშკინს, რუსთაველსა და ლერმონტოვს შესცქეროდნენ. შემდეგ გოგოლი, ჰომეროსი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი, სპინოზა, გოეთე, შილერი გამოეხატათ. ცნობით ვერც ერთს ვერ იცნობდით, წარწერით თუ მიხვდებოდით.

სუფრასთან მაიაკოვსკის გვერდით ისხდნენ **პაოლო იაშვილი, სანდრო შანშიაშვილი, გიორგი ლეონიძე, ვალერიან გაფრინდამ-ვილი, ნიკოლოზ შენგელაია** და სხვები. ბოლოს მაიაკოვსკიმ ქალაქკარეთ, ორთაჭალაში გასეირნება მოისურვა. რატომღაც ყველამ იუარა.

ანაზღად ვლადიმერ ვლადიმერის ძემ ხელი მომკიდა, ეტლში ჩამსვა და მეეტლეს ორთაჭალისკენ წასვლა უბრძანა. ჩვენები მაშინვე გამოფხიზლდნენ, ფაეტონებს ეცნენ და უკან დაგვედევნენ.

\*\*\*

მთელი საღამო პოეზიაზე ვლაპარაკობდით. ესენინი გავიხსენეთ, დიდხანს მწარედ ვკამათობდით.

იმ ღამეს შინ დაბრუნებულმა ტიცციანმა დაწერა ლექსი „სერგეი ესენინს“.

ზოგიერთ ლექსს ტიცციანი ერთი ამოსუნთქვით წერდა. „სერგეი ესენინი“ ერთ-ერთი ასეთი ლექსთაგანია.

ტიციანს ასეთი ჩვეულება ჰქონდა: ლექს რომ დაწერდა, პირველად მე მაკითხებდა, მერე წიგნში დებდა, მალე თავადვე ავიწყებოდა, რომელ წიგნში შეინახა. რამდენიმე თვის, შესაძლებელია ერთი წლის



შემდეგ ამ ლექსებს პოულობდა და სხვისი თვალთ კითხულობდა, მხოლოდ ამის შემდეგ იმეტებდა დასაბუქდად. მხოლოდ რამდენიმე ლექსი, მათ შორის „სერგეი ესენინს“ მისცა მაშინვე დასასტამბავად. ყველა ლექსი, რომელიც მე მისი სიკვდილის შემდეგ დავბუქდე, წიგნებში მაქვს ნაპოვნი.

\*\*\*

მეორე დღეს მაიაკოვსკი პაოლოს ეწვია და დავით ბურლიუკის მიერ 1925 წელს ამერიკაში გამოცემული თავისი წიგნი „მზე სტუმრათ მაიაკოვსკისთან“ მოიტანა. ყველას სათითაოდ დაგვირიგა.

ჩვენ წავგინერა:

„უძვირფასეს მეგობრებს – ტაბიძეებს. თავად ვლ. მაიაკოვსკი“. „თვით მაყაევას (ტაბიძეს) – ვლ. მაიაკოვსკი“.

\*\*\*

1928 წელს ლევ ტოლსტოის დაბადების ასი წლის თავს აღნიშნავდნენ. ეს იყო დღესასწაული, რომელზედაც მოსკოვში მსოფლიოს





მწერლებმა მოიყარეს თავი. ჩამოვიდნენ სტეფან ცვაიგი, გერჰარდ კელერმანი და სხვები.

ცვიგმა ბევრი მათგანი „გრანდ-ოტელში“ მიიპატიჟა, მათ შორის ვიყავით ჩვენც — მე და ტიცინი. კარში მაიაკოვსკი შეგვეფეთა. ჩვენ რომ დაგვინახა, ძალიან გაეხარდა, ქართულად მოგვესალმა და გვეკითხა, აქ რა გინდათო. ტიცინმა უთხრა, ცვაიგის სტუმრები ვართო.

შენიშნე, ვალოდიას ძალზე ნაღვლიანი თვალები ჰქონდა. მოდით, ერთად ვისადილოთ, ცუდ გუნებაზე ვარო, გვთხოვა. ჩვენ, რალა თქმა უნდა, მაშინვე დავეთანხმეთ. „გრანდ-ოტელში“ ცალკე კაბინეტში მოვკალათდით, ტიცინმა ჰკითხა:

— ვალოდია, რა დაგემართა, ველარ გცნობ, შენს თავს აღარ ჰგავხარ.

გუდას პირი მოხსნა და გვიამბო, როგორ აფასებდა და პატივისცემდა მას კომკავშირი, მაგრამ რატომღაც „რაპი“ პარიზში გამგზავრების უფლებას არ აძლევდა.

ტიციანი დაუინებოთ შესქეროდა ვალოდიას და მერე დაამშვიდა:

— ნუ სწუხარ, ვეცდები დაგეხ-

ვლადიმერ მაიაკოვსკი და ლილი ბრიკი



მარო, პირობას გაძლევ, — მაიაკოვსკიმ გაკვირვებით შეხედა და ჰკითხა:

— მართლა? ნუთუ შენ შეძლებ დაამტკიცო, რომ მე მაიაკოვსკი ვარ და არა ჩერჩილის შვილიშვილი?

ტიციანმა ყველაფერი იღონა, რათა მაიაკოვსკი პარიზს გამგზავრებულიყო. ეს მოხდა სექტემბერში, ოქტომბერში კი მაიაკოვსკი უკვე პარიზში იყო.

\*\*\*

მაიაკოვსკის სიკვდილი ყველას გულს ლახვარივით მოხვდა.

ტიციანი ამ დროს სოხუმში იყო. ვალოდიას სიკვდილი რომ გაიგო, დეპეშა გამოაგზავნა: „ვალოდია აღარ არის, მე ჩემს თავზე პასუხს ვერ ვაგებ“.

აღელვებული და შეშფოთებული პაოლოსთან გავიქეცი. მაშინვე სოხუმში გამაგზავნა.

შეხვედრისთანავე ტიცინმა მომახალა:

— ძნელი წარმოსადგენია, როგორი მუხა ნაიქცა....

\*\*\*

მაიაკოვსკის ოჯახთან ჩვენ ვალოდიას სიკვდილის შემდეგაც ვმეგობრობდით, განსაკუთრებით მის დასთან — ოლლასთან.

ერთხელ მოსკოვში რომ ჩავედი, მაიაკოვსკებს ვენვიეთ და გვიან საღამომდე დავრჩით, სულ ვალოდიაზე ვლაპარაკობდით. დედამისი — ალექსანდრა ალექსის ასული და დები — ოლლა და ლიუდმილა იგონებდნენ ვალოდიას, ბაღდადში გატარებულ მის ბავშვობას, ოლლა გვიყვებოდა, რომ მათ ოჯახში იმდენად იყო ფესვებგადგმული ქართული ჩვეულებები და ტრადიციები, რომ ვალოდია ქართულად დაიტირა, როგორც ბაღდადში იციან ხოლმე.

\*\*\*

მეორე დღეს თბილისში გამოვემგზავრეთ. გზაში, მატარებელში, ტიცინმა იმ საუბრის შთაბეჭდილებებით დაწერა თავისი ლექსი „ვლადიმერ მაიაკოვსკის დედა და დები“. მაშინ დაწერა ტიცინმა „დაღესტნური გაზაფხულიც“.

წიგნიდან „ტიციანი და მისი მეგობრები“



ტიციანი და მისი მეუღლე

**„ვლადიკავკაზი-თბილისი“**  
**ტიციანს კალიან უყვარდა ეს ლექსი და სიამოვნებით უსმენდა ავტორს.**  
**ყოველ სტრიქონში იბრძნობდა მაიაკოვსკის უსაზღვრო სიყვარული საქართველოსადმი.**  
**თავისი ორიგინალობით კალზე მოსწონდა «მისტარია-ბუფი», როგელის ტიციანმა კოტე მარჯანიშვილის თხოვნით ქართულად თარგმნა.**

მე

ალექსანდრე სიგუა

# დაუვიწყარი მოგონება

1927 წლის ერთ დილას ორი კაცი მოადგა ჩემს ბინას და ალექსანდრე სიგუა იკითხა. მე გახლავართ ბატონო-მეთქი.

— ტერენტი გრანელი თქვენთან ცხოვრობს, არა?

— დიახ, ჩემთან ცხოვრობს, ბატონო, — შევიპატიჟე ოთახში.

ესენი იყვნენ ვლადიმერ მაიაკოვსკი და ცნობილი პუბლიცისტი ალი არსენიშვილი. პოეტები ერთმანეთს გაეცნენ. ბევრი ისაუბრეს ლიტერატურასა და ხელოვნებაზე. განსაკუთრებით დიდი ადგილი დაუთმეს სერგეი ესენინს, რომელიც ტერენტი გრანელმა თბილისში გაცნო.

— მე თქვენს პოეზიაზე, — უთხრა ტერენტის ვლადიმერ მაიაკოვსკიმ, — ბევრი საინტერესო მიაჩნებს ქართველმა პოეტებმა: ტიცინ ტაბიძემ, პაოლო იაშვილმა, ვალერიან გაფრინდაშვილმა, კოლაუნადირაძემ და სხვებმა. ამიტომ გადავწყვიტე თქვენი ნახვა, როგორც პოეტის. ხომ არ მომცემთ ლექსებს, რომ გადავთარგმნო და დავბეჭდო რუსულ პრესაში?

— ლექსებს კი მოგცემთ, ბატონო ვლადიმერ, მაგრამ ჩემს ლექსებში არ ჩანს წითელი აგიტაცია-პროპაგანდა, ანუ, უკაცრავად, ცხოველური ალტკინება, ბიოლოგიური პათოსი; არც და ვერც იქნება. გამორიცხულია. ჩემს ლექსებში სულიწმინდის მადლია განფენილი. სტრიქონებში ღვთისმშობლისა და მაცხოვრის ხატებია ჩანული, მისტიური ხედვითაა გაცნობიერებული, ღვთისმშობლის ნილხვედრი ქვეყნის წარსული და მომავალი, ღვთიური სულის განკაცებისა და ადამიანის უკვდავი სულის განღმრთოების საფეხურები. არამცთუ მთარგმნელის, არამედ ქართველი წამკითხავიც (შემგრძნობი, გამგებნი) მისტი უნდა იყოს; უფრო მეტიც, განდობილი... ასე, რომ... მარადისობას — პოეზიას არ ეჩქარება... პოეტებიც ნუ აჩქარდებით. ოდესღაც, როცა „ჩემს საფლავს დაადგება მზე შო-

რეული რიცხვის“ და სულიერება აღორძინდება, „ვიცი, დრო მოვა ჩემი გაგების“, ეს სიტყვები ისეთი ხმით წარმოთქვა, გეგონებოდათ საკურთხეველთან იდგა და ლოცულობდა. როცა მონოლოგი დაამთავრა, გაულიმა. ასე რომ, შენუხებად არ ღირს, მადლობას მოგახსენებთ. არსენიშვილი და მე მოჯადოებულებივით ვისმენდით პოეტებს შორის გამართულ დიალოგს.

მაიაკოვსკი ააფორიაქა ასეთმა პასუხმა. ეტყობა, არ ელოდა ასეთ ფინალს. უცებ უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. ისევ მაიაკოვსკიმ მოხსნა ეს დაძაბულობა.

— პოეტო, არც მე მოვსულვარ სააგიტაციოდ.

ყველას გაგვეცინა, უშუალობა დაბრუნდა.

ვლადიმერ მაიაკოვსკი და ტერენტი გრანელი შეთანხმდნენ, რომ შეხვდებოდნენ მწერალთა კავშირში და იქ ტერენტი მიუტანდა მას ლექსებს, რომელსაც თვითონ ვლადიმერი გადათარგმნიდა და რუსულ ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდავდა.

საუბარი ორ პოეტს შორის დამთავრდა. მაგრამ მე არ ვიცი, მიუტანა თუ არა ტერენტი გრანელმა ლექსები მაიაკოვსკის. ამ თემაზე მე ტერენტთან შემდეგ საუბარი არ მქონია.

ტერენტი გრანელი ძალიან კმაყოფილი ჩანდა მაიაკოვსკისთან შეხვედრით და მასთან ლიტერატურულ-შემოქმედებითი საუბრით. და აი, როდესაც მაიაკოვსკი წასვლას აპირებდა, ჩემს ოთახს მერძევე მოადგა, ბოთლი რძით გაავსო და შემდეგ კედელზე ხაზი ჩამოუსვა ნიშნად იმისა, თუ რამდენი ბოთლი რძე აქვს მოტანილი. ეს შენიშნა მაიაკოვსკიმ, იხმო მერძევე და ჰკითხა:

— რამდენი ბოთლი რძის ფული აქვთ გადასახდელი ამ ვაჟკაცებსო?

— ერთი თვის, ბატონო.

— რა ღირს რძე? — ჰკითხა მაიაკოვსკიმ.

— ოცი კაპიკი, ბატონო.



— ჭაბუკო, მიიღე ექვსი თვის ღირებულება, — და მაიაკოვსკიმ ფული გადასცა მერძევეს.

ორივე — მაიაკოვსკი და ალი არსენიშვილი დიდად კმაყოფილი წავიდნენ ჩემი ბინიდან, რამაც ჩემი დაუვიწყარი მოგონება დატოვა. ამ შეხვედრიდან თითქმის ერთ წელზე მეტი დრო იყო გავლილი, როცა მე შევხვდი ტერენტის გამომცემლობის წინ. მას ხელში რუსული ჟურნალი და წერილი ეკავა. ჟურნალი, თუ არ ცვდები, „ოგონიოკი“ უნდა ყოფილიყო. წერილი მაჩვენა და მითხრა: ეს ამანათი წერილიანად ამ ჟურნალის რედაქტორმა მოსკოვიდან გამომიგზავნა და მთხვავ ჩემი ლექსების გაგზავნას. ლექსებს ჩემს მეგობარს გავუგზავნი მოსკოვში და ის გადასცემს. წერილის შინაარსით და ამანათით უკმაყოფილო არ ჩანდა. ცოტა ხნის შემდეგ მითხრა, — ჩემო საშა, შენ რად უნდა დაგიმლო და, ეს ხალხი მაინც არ მიყვარს და ვერც შევიყვარებ. ეს ისე მითხრა, ვერ მივხვდი, თუ ვის გულისხმობდა მაშინ ტერენტი. მითხრა თუ არა ეს, უცებ დამემშვიდობა და წავიდა.

წიგნიდან „ტერენტი გრანელი — ცისფერი სიშორე“





# ლეკიანობა და მონად გატაცება აღმოსავლეთ საქართველოში

„ლეკიანობა“ — ასეა დასათაურებული დ. მეგრელაძის ნიგნი, რომელშიც საქართველოს ერთ-ერთ ტრაგიკულ პერიოდზეა მოთხრობილი და რომელსაც მკითხველს სსიპ „ისტორიული მემკვიდრეობა“ სთავაზობს. ვფიქრობთ, მასში თავმოყრილი მასალები საინტერესო იქნება ფართო მკითხველისათვის. ქვემოთ გთავაზობთ ამონარიდს ნიგნიდან „ლეკიანობა“.

„ლეკი“ (ЛЕЗГИН) საქართველოს მკვიდრისათვის დაღესტნის ტომების საერთო სახელი იყო. ამიტომ, როდესაც ქვემოთ ლაპარაკი იქნება ლეკ-ქართველთა ურთიერთობის შესახებ, იგულისხმება არა მხოლოდ საკუთრივ ლეკთა (ლაკების) ტომის ურთიერთობა ქართველებთან, არამედ საერთოდ — დაღესტნის ტომებისა.

**ეკონომიკურ ნიადაგზე აღმოცენებული ურთიერთობა ამ ორ მებობელს შორის სამტრო დამოკიდებულებაში გამოიხატებოდა. ეს იყო მთისა და ბარის არამშვიდობიანი ურთიერთობის სამი სახეობა: 1. მტაცებლური ექსპედიციები, 2. ლაშქრობანი ტერიტორიის დაპყრობის მიზნით, 3. ლაშქრობანი მუდმივი საშემოსავლო ბაზის შექმნის მიზნით.** ამ მტრული ურთიერთობის ორგანიზატორები უმთავრესად დაღესტნის ფეოდალები და ტომების ბელადები იყვნენ, რომელთა სახელები მრავლად შემოუნახავს ქართულ თუ არაქართულ წყაროებს: თარღუს შამხალი, ნურსალ-ბეგი, ომარ-ხანი, ზუბეიდალა, ჩონჩოლ-მუსა, კობტა-ბელადი, ბენდა და ა.შ.

დაღესტნელ ფეოდალთა და ბელადების მიერ მოწყობილი მტაცებლური ექსპედიციების აღსანიშნავად ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულია ცნება „ლეკიანობა“ ან „ლეკობა“. ამავე სახელითაა ცნობილი ეს მოვლენა ფეოდალური ხანის წარატულ თუ დოკუმენტურ წყაროებში.

ამ ურთიერთობის აღსანიშნავად გამართლებულად მიგვაჩნია, ვინმართ სიტყვა „ლეკიანობა“ და არა „ლეკობა“. თუ ვინმართით ცნებას „ლეკობა“, მაშინ უნდა გვევარაუდა ისეთი მოვლენა, როგორც იყო: „არაბობა“, „ოსმალობა“, „ყიზილბაშობა“ და ა.შ., მაშასადამე, ისეთი მოვლენა, როდესაც მოსული უცხოელები თავისი წეს-ჩვეულებებით აქ ბატონობენ. ლეკთა ურთიერთობანი კი საქართველოს მიმართ ასეთ ხასიათს არ ატარებდა. ლეკთა თავდასხმები ჩვეულებრივად არ იყო ხანგრძლივი. ისინი, პატარ-პატარა რაზმებად დანაწილებულები, ხან ერთ მხარეს ესხმოდნენ თავს, ხან — მეორეს. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ამ მოვლენას ვუწოდოთ „ლეკიანობა“, ანალოგიურად „ჭირიანობისა“, „შიშიანობისა“, „ომიანობისა“ და სხვ.

**„ლეკიანობამ“ დიდი ზიანი მიაცენა საქართველოს. ეს თავდასხმები ანადგურებდა მწარმოებელ საზოგადოებას, შლიდა მეურნეობას, აუდაბურებდა მთელ რიგ მხარეებს, ძლიერ გავლენას ახდენდა სოციალურ ურთიერთობაზე ქვეყნის შიგნით. ამავე დროს ეს მოვლენა მჭიდროდ უკავშირდებოდა ა/კავკასიაში ირან-ოსმალეთის აგრესიას. ამიტომ, რომ რიგი კონკრეტული მოვლენა ფეოდალური ხანის საქართველოში შეუძლებელია ახსნილ იქნეს დაღესტან-საქართველოს ურთიერთობის გათვალისწინების გარეშე.**

\* \* \*

გატაცებულ ტყვეებს მთიელები მეურნეობაში ვერ იყენებდნენ, მეურნეობის დაბალი დონის გამო. ამიტომ ტყვეები მიჰყავდათ „ამანათებად“ ე.ი. იმ მიზნით, რომ ისინი დაეხსნათ პატრონებს. მხოლოდ ასეთი მიზნით იტაცებდნენ დაღესტნელები ტყვეებს იმ დრომდე, ვიდრე მათ ფართო გასაქანს მისცემდა ოსმალეთის ტყვეების ბაზარი.

საქართველოს განვითარებული მეურნეობა და მზარდი მოსახლეობა „ლეკებისათვის“, გარკვეული დროის განმავლობაში, საძარცვი საგნის განუწყვეტელი რეპროდუქციის წყაროს წარმოადგენდა. მეორე მხრივ, იმის მიზეზი, რომ დაღესტნელი ფეოდალები განაგრძობენ „ყაჩაღურ“ მეურნეობას, ის იყო, რომ მათ საქონელს — ტყვეს, დიდი ხნის განმავლობაში ჰყავდა გამსაღებელი ოსმალეთის სახით.

კახეთის მეფის, დავით II-ს წერილებიდან ირკვევა, რომ „ლეკები“ ლამის გადიდებასა და აგრილებასთან ერთად, ე.ი. შემოდგომის დადგომისას, აძლიერებდნენ თავიანთ თავდასხმებს. ამის მიზეზი ის იყო, რომ „მეჯოგური მეურნეობის“ მქონე დაღესტნელი ტომებისათვის აუცილებელი იყო საზამთრო საძოვრები. როგორც კი ზაფხული მიიწურებოდა, „ლეკები“ ზაფხულის საძოვრებიდან — იალალებიდან ზამთრის საძოვრებისაკენ — ყიშლალებისაკენ დაემშვეებოდნენ. კახეთის ბარში შესანიშნავი საზამთრო საძოვრები იყო. გაერთიანებული საქართველოს პოლიტიკური ძლიერების ხანაში ამ საძოვრებით თვით საქართველოს მოსახლეობა სარგებლობდა. XVIII ს. დასაწყისისათვის კი, როგორც ჩანს, დაღესტნელები თავისუფლად ჩამოდიოდ-



ნენ კახეთის საზამთრო საძოვრებზე.

საზამთრო საძოვრებზე ჩამორეკილ საქონელს თან მოჰყვებოდნენ პატრონები — დაღესტნის ფეოდალები და ტომთა ბელადები. ამიტომ იყო, რომ შემოდგომის დადგომასთან ერთად ლეკების მხრივ საშიშროებაც მატულობდა. „იალალიდან ჩამობრუნდნენ. ღამე გადიდდა და აგრილდა. ახლა ესენი („ლეკები“, — დ.მ.) ლაშქრობისაგან აღარ მოისვენებენ,“ — აცნობებდა კახეთის მეფე დავით II ქართლის მეფეს ვახტანგ VI-ს.

როგორც აღნიშნული იყო, „ლეკების“ თავდასხმების ძირითადი მიზანი ტყვეების გატაცება იყო. საქართველოდან გატაცებულ ტყვეებს მთიელები ოსმალეთისა და სპარსეთის ბაზრებზე ასაღებდნენ. მოტაცებული ტყვეები ოსმალეთის ბაზარზე ლეკებს ორი გზით მიჰყავდათ: პირველი გზა ჭარ-ბელაქნიდან დაღესტანში გადიოდა, დაღესტნიდან კი — ყირიმში, მეორე — ახალციხიდან პირდაპირ ოსმალეთისაკენ, საიდანაც ტყვეები გაჰყავდათ ეგვიპტეში, ალჟირში, არაბეთსა და სხვა ქვეყნებში. XVIII საუკუნის 30-იან წლებში სტამბოლში მყოფ კათალიკოს დომენტის უნახავს 50 ქართველი ტყვე, რომლებიც შემდეგ ალჟირში, ეგვიპტესა და არაბეთში გაუყიდიათ. ლეკები ტყვეებს სპარსეთშიაც ყიდდნენ, მაგრამ ტყვეთა მთავარი გამსაღებელი მაინც ოსმალეთი იყო.



ლაქაჯი ამირკაპაჰასიანი

XVI საუკუნიდან ქართულ და რუსულ წყაროებში უკვე ჩნდება ცნობები დაღესტნელთა შემოტევების შესახებ. ამ დროიდან ლეკ-ქართველთა ურთიერთობა უკვე „ლეკიანობის“ ხასიათს ატარებს, რაც იმაში გამოიხატება, რომ დაღესტნის მოსახლეობის პატარა-პატარა ჯგუფები ძარცვის მიზნით თავს ესხმიან საქართველოს მიწა-წყალს. ამ თავდასხმების ორგანიზატორები დაღესტნის მოსახლეობის პრივილეგირებული ფენები არიან: ხანები, უცმიეები, ბეგები, შამხლები, „ბელადები“ და ა.შ.

XVI საუკუნისათვის დაღესტნელთა შემოტევები უმეტესად ეპიზოდურ ხასიათს ატარებს. ქართველები ამ შემოტევებს იგერიებენ.

ვახუშტი ბატონიშვილს მოთხრობილი აქვს, რომ კახეთში ლეკანის მეფობის დროს (1520-1574 წწ.) გაღმა მხარეს თავს დასხმია ლეკი და გაუტაცნია ძროხა. ლევანის სპა დასდევნებია და სასტიკად გასწორებია თავდამსხმელს, „რათა არა კადნიერ იქმნენ სხვანი კვალად კირთებად კახეთისა“.

**XVI-XVII სს. დაღესტან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის უმთავრესად რუსული მასალაა. ამ დროისათვის საქართველოში ლეკიანობის ორგანიზატორი შამხალია.** დაღესტნის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ფეოდალური ერთეული სამამხალო ამ პერიოდისათვის ოსმალეთის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ივ. ჯავახიშვილის აზრით, „შამხალის მტრობა და თავდასხმა კახეთზე ნამდვილად იმავე ოსმალების პოლიტიკური და სამხედრო გეგმის შედეგი იყო და ერთგვარი ნიადაგის წინასწარი შემზადება მომავალი მოქმედების გასაადვილებლად“.

პირველ ხანებში ქართველები მთიელთა შემოტევებს დამოუკიდებლად იგერიებდნენ. საშამხლოში ოსმალეთის გავლენის გაზრდასთან ერთად გახშირდა და გაძლიერდა მთიელთა შემოტევებიც, რომლის წინააღმდეგ ბრძოლებში ქვეყანა უძლური აღმოჩნდა. ალექსანდრე კახთა მეფე იძულებული გახდა, ქვეყნის დასაცა-

**ივ. ჯავახიშვილი**

**შამხალის მტრობა და თავდასხმა კახეთზე ნამდვილად იმავე ოსმალების პოლიტიკური და სამხედრო გეგმის შედეგი იყო და ერთგვარი ნიადაგის წინასწარი შემზადება მომავალი მოქმედების გასაადვილებლად.**





ვად უცხო ძალისათვის მიემართა. მას საიმედო მოკავშირედ ამ შემთხვევაში რუსეთი მიაჩნდა. ძირითადი მოთხოვნები, რომელთაც ალექსანდრე რუსეთის კარს უყენებდა, ეს იყო შამხლისა და მთიულეებისაგან დაცვა. მოსკოვის კარი კახეთის მეფეს ჰპირდებოდა, რომ მთიულეს დაიმორჩილებდა. მაგრამ რუსეთის ლაშქრობებს სამხლოს წინააღმდეგ (1591, 1594) ეფექტური შედეგები არ მოჰყოლია. პირიქით, შამხალმა სხვა მთიულეებიც გააერთიანა და მეტი ენერჯითაც შემოუტია კახეთს. კახეთის მეფე იძულებულიც კი გამხდარა შამხლისათვის დასაშორებლად მოსაკითხი გაეგზავნა.



შეტაკება მდინარესთან

1605 წ. რუსეთის ჯარმა წარმატებით შეუტია საშამხლოს. კახეთის მხრიდანაც მთიანეთზე გალაშქრება დროული ჩანდა, მაგრამ ამ სურვილებს წინ ეღობებოდა შაჰის ერთგული ქართველი უფლისწულის ზრახვები... თორმეტ მარტს დატრიალებულმა ტრაგედიაში გამარჯვება კონსტანტინეს არგუნა. ეს გამარჯვება ირანის გამარჯვება იყო.

XVI ს. მიწურულს ირანის სახელმწიფოში ჩატარებულმა რეფორმებმა სახელმწიფოს შინაგანი სიმტკიცე შესძინა. ირანის პოზიციების განმტკიცებამ საშამხლოს საკითხი გაამწვავა. შამხალმა რუსეთის წინააღმდეგ დახმარებისათვის ირანს მიმართა. ეს კავშირი კახეთისათვის სახიფათო ჩანდა. კახეთზე შამხლის ინიციატი-

ვით მოწყობილი თავდასხმები შაჰისათვის ხელსაყრელი იყო.

XVII ს. დამდეგს შაჰ-აბასმა ორი დიდი ლაშქრობა მოაწყო კახეთის წინააღმდეგ. ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემით, **„შაჰ-აბასი „ლეკებს“ შეუთანხმდა კახელების წინააღმდეგ: „რამითუ მნებაჲს მოწყვეტა კახეთისა და რომელნი შემოვიდნენ თქჲნი კარქთა მითათა შინა, თქჲნი მოსრენით და ტყვე ყვენი ივინი და ალგავსნე მცა ნიჭითა...“**, „ლეკებს“ შაჰ-აბასი არ განუწყენებიათ, „...არამედ ლეკთაცა უყვეს ებრეთ (მთებში შეხიზნულ კახელებს. — დ.მ.), ვითარცა ალუთქვეს შაჰ-აბასს“.

შაჰ-აბასის ლაშქრობებმა კახეთი ააოხრა. მოსახლეობის ნაწილი მტერთან ბრძოლებში დაიღუპა,

ნაწილმა კახეთს გაარიდა თავი — გაიხიზნა. რამდენიმე ათასი ქართველი ტყვე კი შაჰ-აბასმა ირანის დაცარიელებულ პროვინციებში გადაასახლა. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა არარაობამდე დავიდა. გაძლიერდა „ლეკების“ შემოტევები. მთიულმა დაღესტნელებმა დაიწყეს ბარში ჩამოსახლება და შაჰ-აბასის ლაშქრობების შემდეგ დაცარიელებული ადგილების დაკავება. **ამ ხანებიდან დაღესტან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიაში ახალი ეტაპი შეიძლება ვივარაუდოთ. თუ თავდაპირველად „ლეკების“ ექსპანსია თავდასხმებში გამოიხატებოდა, შაჰ-აბასის ლაშქრობების შემდეგ კი „ლეკები“ ქართულ ტერიტორიას იკავებენ.**

„საქართველოს მეზობელ მხარეთა აღწერა“ გვამცნობს, რომ „ლეკებს“ გაუმაჰმადიანებიათ დიდოეთი, ქისტეთი, ლლივი, ძურძუკი. ახლა კი სურთ, რომ თუშები, ფშავ-ხევსურეთი და ხევიც გაამაჰმადიანონ და შემდეგ მთელი მთიანეთი — ყირიმამდეო. ამ შემთხვევაში ოსმალეთის ხელი ჩანდა...“

მათ იგივე მიზნები ჰქონდათ ქართული მოსახლეობის მიმართ. აკად. ნ. ბერძენიშვილის სიტყვებით: „ადგილობრივ ქართველ მოსახლეობას ეს პირველყოფილი მოახალშენეები ან „ძმებად შეიყრიდნენ“, ე.ი. გაამაჰმადიანებდ-

**ძირითადი მოთხოვნები, როგორცაც ალექსანდრე რუსეთის კარს უყენებდა, ეს იყო შამხლისა და მთიულეებისაგან დაცვა. მოსკოვის კარი კახეთის მეფეს ჰპირდებოდა, რომ მთიულეს დაიმორჩილებდა.**





ნენ და თავიანთი თემის (ჯამაათის) წევრად მიიღებდნენ ან „ურ-წმუნობს“ მონებად დაჰყიდდნენ.

ასეთ პირობებში ყოველი მხრით დევნილი, სასომიხდელი ქართველი გლეხობა თანდათან გატყდა, მან „გაღეკება“ დაიწყო. უფრო გვიან „ახლო მდებარე კახური სოფლები მათ კი აღარ იძმეს, არამედ დაიმორჩილეს და დაბეგრეს“, ამრიგად, „უბატონო თემები“ თანდათან მებატონე თემებად იქცნენ“.

**ნ. ბერძენიშვილის განმარტებით, „ამ დამორჩილებულ-და-ბებრილ ქართველ გლეხებს ეწოდებოდა ინგილო, განსხვავებით ტარმინ ლეკისაგან... ასე რომ, „ლეკი“ ან „ინგილო“ უფრო სოციალური შინაარსის ცნებაა, ვიდრე ეთნიკური“.**

ამრიგად, თუ დაღესტან-საქართველოს სამტრო ურთიერთობის ერთი სახეობა მძარცველური ექსპედიციები იყო, ამ შემთხვევაში სამტრო ურთიერთობის სხვა სახეობა გვაქვს, როდესაც დამპყრობელი დამორჩილებულს ადებს გადასახადს, მუდმივი საშემოსავლო ბაზის შექმნის მიზნით.

ქართულ მინა-წყალზე ჩამოსახლებული „ლეკების“ მიერ შექმნილი პუნქტები საიმედო დასაყრდენი გახდა დაღესტნის სოციალური ზედაფენისათვის საქართველოზე თავდასხმებისათვის.

შაჰ-აბასის ლაშქრობების შემდეგ კახეთში სპარსეთის მოხელე — ხანი დაჯდა. სპარსეთისათვის



ლეკები ნადავლით ტოვებენ სოფელს

კახეთის გაძლიერება ხელსაყრელი არ იყო, ამიტომ ქვეყნის მმართველებად გამოგზავნილი ხანები „ლეკებს“ იკავშირებენ და მათი საშუალებით კახეთის ძალის გატეხვას ცდილობენ.

1635 წ. მეფე თეიმურაზმა ელჩი მიაგვლინა მოსკოვის კარზე. ახლაც, როგორც 40 წლის წინათ, კახეთის მეფის სათხოვარი რუსეთის მეფის კარზე „ლეკებისაგან“ დაცვა იყო. ამ ელჩობას შედეგი არ მოჰყოლია. 1639 წ. თეიმურაზმა კვლავ მიმართა რუსეთს, იგი ამჯერადაც ლეკებზე ჯარის გამოგზავნას თხოულობდა და აღნიშნავდა, რომ ლეკებმა გაანადგურეს კახეთი, გაძარცვეს ეკლესიამონასტრები. თეიმურაზს ლეკები უფრო დიდ მტრებად მიაჩნდა, ვიდრე — შაჰი.

1677 წ. ყარაღაჯში ბეჟან-ხანი

დაჯდა (ყარაღალი სპარსელი ხანების საჯდომი ადგილი იყო). ვახუშტი გადმოგვცემს, რომ მან ნება დართო და დაეხმარა კიდეც — „ძალი“ მისცა ლეკებს კახეთზე თავდასხმებისთვის. ასევე მოუწოდებდა მან ჭარელებს და ჩამოსახლებულ თურქმანულ ტომებს: **„ხანმა მისცა ნება და ძალი ლეკთა და დაუწყეს კახეთს კირთება და ტყვევნა, არ-თუ ლაშქრით, არამედ აზაზაკობით...“**. ასეთი მოქმედება ტიპური იყო სპარსეთის პოლიტიკისათვის... კახელები წინააღმდეგობას უწევდნენ სპარსეთის ხელისუფალთ და, მიუხედავად სპარსელი მოხელეების ხელშეშლისა, „ლეკებზე“ (ჭარზე) ლაშქრობის გეგმას სახავენ.

კახელების ლაშქრობები ჭარზე (1695, 1706, 1712-13, 1715 წწ.) მარცხით მთავრდება. ყოველი დამარცხების შემდეგ „ლეკები“ ახალი ენერგიით უტევენ კახეთს. კახეთის მეფე დავით II (იმამყული-ხანი) იძულებული გამხდარა, „უბატონო თემებთან“ ზავი შეეკრა. ვახუშტის ცნობით, საკმაოდ დიდი თანხაც გადაუხდია მათთვის: ერთდროულად 50 თუმანი. „ჭარის ომების ქრონიკის“ ცნობით კი, ყოველწლიურად ასი თუმანი უნდა გაეღო მათვე სასარგებლოდ. რამდენად რეალურია ანონიმი ქრონიკის ეს ცნობა, არ ვიცით. ქართულ წყაროს შემოუნახავს ცნობა, ლეკების მცირე

**კახელების ლაშქრობები ჭარზე  
(1695, 1706, 1712-13, 1715 წწ.) გარკვეული  
მთავრდება. ყოველი დამარცხების შემდეგ  
„ლეკები“ ახალი ენერგიით უტევენ კახეთს.  
კახეთის მეფე დავით II (იმამყული-ხანი)  
იძულებული გამხდარა, „უბატონო  
თემებთან“ ზავი შეეკრა. ვახუშტის ცნობით,  
საკმაოდ დიდი თანხაც გადაუხდია მათთვის:  
ერთდროულად 50 თუმანი.**





ხნით „დანყნარებისა“, რაც 1715-16 წლებში უნდა მომხდარიყო. ეს „დანყნარება“, ჩვენი ფიქრით, ემთხვევა ანონიმი ქრონიკის ჩვენებებს, მაგრამ არც ეს „დანყნარება“ ყოფილა ხანგრძლივი. ორი წლის შემდეგ „ლეკებს“ კვლავ დაუნყიათ თავდასხმები. ხშირმა თავდასხმებმა კახეთის მეურნეობა მოშალა, მოსახლეობა შეამცირა. ვახუშტის სიტყვებით, კახელებს „ხრიკი“ უხმარიათ: ლეკებისათვის მეგზურები მიუციათ და სარბევად ქართლისაკენ გადაუშვიათ, თვითონ კი მათთან ზავი შეუკრავთ.

\*\*\*

**ქართლს ლეკები პირველად 1717 წელს ეწვივნენ. ამ ამბის შესახებ ცნობა დაცულია „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთ მინაწერში. ლეკები ბოლნისსა და ქციის ხეობას შესევინან. ქართველები ლეკებს შებმიან და კიდევ დაუმარცხებიათ ისინი. მიუხედავად ამისა, ლეკთა ეს შემოტევა ქართლისათვის ავის მაუწყებელი იყო — ლეკიანობის ახალი ეტაპი იწყებოდა.**

თუ შაჰ-აბასის ლაშქრობებამდე მხოლოდ მთიდან ნამოსული ლეკები ესხმოდნენ თავს კახეთის სოფლებს და აოხრებდნენ, შემდეგ უკვე ქართულ მიწა-წყალზე ფეხმოკიდებული ლეკები უტევენ კახეთს. XVIII ს. პირველ ოცეულში კი მათ ქართლსაც შემოუტიეს. ამავე დროს, მიუხედავად დაზავებისა, ლეკები არც კახეთზე თავ-



ოსმალოები ქარცხავენ სოფალს

დასხმებს ანებებდნენ თავს. კახეთის მეფე დავით II (იმამყული-ხანი) მარტო ველარ ახერხებდა მათ გამკლავებას. დახმარებისათვის ქართლის მეფეს ვახტანგ VI მიმართა. ვახტანგ VI კარგად ხედავდა, რომ, თუ ლეკები დღეს კახეთის მიწას აოხრებდნენ, ხვალ ქართლსაც შემოადგებოდნენ. ამიტომ კახეთის მეფესთან ლეკების წინააღმდეგ კავშირი ქართლის მეფისათვისაც მისაღები ჩანდა. აქედან გამომდინარე 1720 წ. ქართლსა და კახეთს შორის კავშირი შეიკრა ლეკების წინააღმდეგ.

XVIII ს. პირველ ოცნლეულში, სარგებლობდნენ რა სპარსეთის შესუსტებით, ლეკები სპარსეთის სხვა სამფლობელოებსაც უტევენ-

ნენ ა/კავკასიაში. თუ პირველ ხანებში ირანის მოხელეები ლეკებს ქართველების წინააღმდეგ იკავშირებდნენ, მას შემდეგ, რაც ლეკებმა ა/კავკასიაში სპარსეთის სხვა სამფლობელოებსაც შეუტიეს, სპარსეთმა ლეკების დამორჩილება განიზრახა. შაჰმა დასახმარებლად ქართველ მეფეებს მიმართა. კახეთის მეფე დავით II და ქართლის მეფე ვახტანგ VI სპარსეთის შაჰის მოხელეები იყვნენ, ამდენად ისინი მოვალენი იყვნენ, შაჰის სამფლობელოები გარეშე მტრისაგან დაეცვათ. ქართველი მეფეები ფიქრობდნენ, რომ ამ ლაშქრობით ბრძოლა ლეკების წინააღმდეგ უფრო ეფექტური იქნებოდა. ამდენად, ეს წინადადება ქართველი მეფეებისთვის მისაღები ჩანდა. ქართველები ლეკებზე სალაშქროდ მომზადებულან და ყიზილბაშთა ლაშქარს უნდა შეერთებოდნენ, მაგრამ ამ დროს ირანის შაჰს ვახტანგისათვის ლაშქრობა დაუშლია. XVIII ს. ქართველი ისტორიკოსის, სეხნია ჩხეიძის გადმოცემით, თითქოს სპარსეთში ფიქრი მისცემოდათ: „თუ მეფემ ვახტანგ ჭარი დაიჭირა, ქვეყანასაც ის დაიჭერსო“.

საქმე ისაა, რომ XVIII ს. 20-იან წლებში ა/კავკასიის სარბიელზე პეტრე I-ის რუსეთი გამოდის. სპარსეთში ყოფნის დროს ვახტანგ VI-ს (იგი შაჰის კარზე იყო

**ვახტანგ VI კარგად ხედავდა, რომ, თუ ლეკები დღეს კახეთის მიწას აოხრებდნენ, ხვალ ქართლსაც შემოადგებოდნენ. ამიტომ კახეთის მეფესთან ლეკების წინააღმდეგ კავშირი ქართლის მეფისათვისაც მისაღები ჩანდა. აქედან გამომდინარე 1720 წ. ქართლსა და კახეთს შორის კავშირი შეიკრა ლეკების წინააღმდეგ.**





რამდენიმე წელი) საშუალება ჰქონდა, სპარსეთის მდგომარეობა შეეფასებინა. ის ხედავდა, რომ სპარსეთის ბატონობისაგან განთავისუფლების დრო დადგა, ამიტომ ჯერ საიდუმლოდ, ხოლო შემდეგ აშკარად პეტრე I-ის რუსეთს უკავშირდება. შესაძლებელია, ლეკებზე სალაშქროდ მზადების პროცესში შაჰმა ცნობა მიიღო, რომ ვახტანგმა გეზი რუსეთისაკენ აიღო, რის გამოც შაჰმა ლეკებზე ლაშქრობა ორგულ ყმას ვერ ანდო. შესაძლებელია, შაჰი ფიქრობდა, რომ ვახტანგი კახეთსაც დაიჭერდა, ქვეყანას გააერთიანებდა და სპარსეთს ქრისტიანულ რუსეთს დაუპირისპირებდა.

ვახტანგის ლაშქრობის მოშლის შემდეგ ყიზილბაშები დამარცხდნენ. ჭარელმა ლეკებმა ახლა მეტი ძალით შემოუტიეს კახეთს. ამჯერად მათ გადაღმელი თანამოძმეებიც მოიშველიეს.

**რუსეთთან კავშირმა ვახტანგ VI მტრები გაუმრავლა, 1722 წ. შაჰმა კახეთის ტახტზე მაჰმადიანი კონსტანტინე დაამტკიცა და, ერთის მხრივ, რუსეთის ორიენტაციის მქონე ვახტანგს, ხოლო, მეორე მხრივ, ოსმალეთს დაუპირისპირა. კონსტანტინემ ქართლის წინააღმდეგ ლეკები შეიკავშირა და მათი დახმარებით თბილისიც აიღო. ამის შემდეგ ლეკიანობა მთელი ქართლისათვის სახიფათო შეიქნა. მეორე მხრივ, ქართლს ოსმალები უტევდნენ. რუსეთის დახმარება იგვიანებდა, ვახტანგ VI იძულებული გახდა, ოსმალეთის „პატრონობა“ ეცნო.**

1723 წ. ქართლში „ოსმალობა“ დამყარდა, რის შემდეგაც ოსმალები ქართლს თავის საბატონო ქვეყნად თვლიდნენ და ქართლში შემოჭრილ ლეკებს „მტრად“ უცქერდნენ. ხშირად მათი შეჯახებები სისხლის მღვრელი ბრძოლებითაც მთავრდებოდა. ოსმალები ლეკებს უპირისპირდებოდნენ კახეთშიაც. სამაგიეროდ სპარსეთის ერთგული კონსტანტინე კახთა მეფე ლეკებს იკავშირებდა და მათ ოსმალებს უპირისპირებდა. მიუხედავად იმისა, რომ აქ გაბა-

ტონებული ოსმალები ლეკებს უტევდნენ, ვფიქრობთ, ეს შეჯახებები ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა. ოსმალეთის მთავრობა ლეკებს შეურიგებელ მტრებად სრულიადაც არ თვლიდა და აკავასიაში ფეხის მოკიდებისათვის ლეკებში ერთმორწმუნე მოკავშირეებს ხედავდა. რომ ეს ნამდვილად ასე იყო, ოსმალეთის მთავრობამ გამოავლინა ლეკებისათვის მიცემულ ფირმანში. ამ ფირმანით ოსმალეთის სულთანი ჭარისა და თალას ლეკებს იმ დამსახურებისათვის, რომელიც მათ ოსმალეთის მთავრობის წინაშე გამოიჩინეს, სამუდამო მფლობელობაში უმტკიცებდა მათ მიერ დაკავებულ მიწებს.

XVIII ს. 30-იანი წლებიდან სპარსეთი აკავასიაში მომაგრებულ ოსმალებს უტევს. ამის მხილველმა ოსმალებმა სპარსეთის წინააღმდეგ ისევ შეიკავშირეს ლეკები.

ქართული საზოგადოების ერთი ნაწილი სპარსელების დახმარებით „ოსმალობის“ მოსპობას ფიქრობდა, ამიტომ სპარსელების აქ დამკვიდრებას ხელს უწყობდა. 1735 წლიდან ქართლ-კახეთში „ყიზილბაშობა“ დამყარდა. რო-

დესაც ქართველებმა ნახეს, რომ ყიზილბაშები ოსმალებზე ნაკლები დამპყრობლები არ იყვნენ, ქართული საზოგადოების ნაწილი მათ გადაუდგა და ყიზილბაშებს ლეკები დაუპირისპირა (იგივი ამილახორი, შანშე ქსნის ერისთავი, ორბელიანები).

ოსმალები ქართლის დაკარგვას ადვილად ვერ ურიგდებოდნენ, ამიტომ ქართლზე ლაშქრობას აწყობდნენ. ამ ლაშქრობაში ოსმალები ფულითა და საჩუქრებით დალესტნის ტომებს იკავშირებენ. როდესაც სპარსელებმა ნახეს, რომ ლეკები აქტიურად ეხმარებიან ოსმალებს, დალესტნის წინააღმდეგ ლაშქრობებს აწყობენ. ქართველები სიამოვნებით უერთდებიან ყიზილბაშების ამ ლაშქრობებს და ამჯერად სპარსელების დახმარებით ჭარის დამორჩილებას ფიქრობენ. **ჭარი საქართველოს მინა-წყალზე თავდამსხმელ ლეკთა ბუდე იყო, ამიტომ მისი შემოერთების გეგმა საქართველოში დიდი ხნის განმავლობაში არსებობდა. ქართველებმა იცოდნენ, რომ ჭარის ალებით ბრძოლა ლეკიანობის წინააღმდეგ უფრო ეფექტური იქნებოდა. ამიტომ ახლა, როდესაც ამის საშუალება**



ლევაშოვის თვალით დანახული ისლამური სამყარო



ედლოვდათ და დამხმარე ძალაც ძლიერი ჩანდა, ჭარზე ლაშქრობის დიდად მოხარულნი იყვნენ, მაგრამ ყიზილბაშებმა ჭარის დამორჩილება ვერ შეძლეს და საქართველოს წინაშე ჭარის საკითხი გადაუწყვეტი რჩებოდა. ლეკების პატარა-პატარა რაზმები კვლავ იჭრებოდნენ ქვეყანაში და დიდი ზარალი მოჰქონდათ „ოსმალობისა“ და „ყიზილბაშობის“ დროს ლეკიანობა აღმოსავლეთ საქართველოში მეტად ძლიერი იყო, ოსმალეთსა და სპარსეთს შორის ურთიერთბრძოლა ა/კავკასიაში, ქართველთა ბრძოლა ოსმალობა-ყიზილბაშობის წინააღმდეგ განსაკუთრებით უწყობდა ხელს ლეკიანობის გაძლიერებას. ურთიერთის წინააღმდეგ მებრძოლი ძალები იკავშირებდნენ თავდამსხმელ ლეკებს და მონინააღმდეგის ქვეყნის საძარცავად მოუწოდებდნენ.

\*\*\*

**ლეკების სისტემატურ თავდასხმებს საქართველოში შედეგადის მოჰყვა, რომ XVIII ს. 50-იანი წლებისათვის მათ საქართველოშივე ზედაზენში, სამშვილდეში, წალკა-თრიალეთზე და სხვაგან გაიჩინეს ბინა.** საქართველოში დაბუდებული ლეკები უტევდნენ საქართველოს მოსახლეობას და დიდ ზიანსაც აყენებდნენ მას.

გამეფებისთანავე ერეკლე II ენერგიულად შეუდგა ლეკიანობის წინააღმდეგ ღონისძიებათა ჩატარებას. იგი ხედავდა, რომ, თუ „ლეკთა“ თარეშები არ შეწყდებოდა, მისი სამმართველო ქვეყნიდან აღარაფერი დარჩებოდა. მან მალე სამშვილდის ციხე აიღო. ამით ლეკებს ქვემო ქართლში თავშესაფარი მოუშალა, მაგრამ ლეკთა წვრილ-წვრილი თარეშები საქართველოში არ შეწყვეტილა. ამის მიზეზი ის იყო, რომ საშინაო და საგარეო მტრებთან ბრძოლაში მოღლილი ქვეყანა თავს ველარ იცავდა...

XVIII ს. 50-იან წლებში ქართველებმა კიდევ ერთხელ სცადეს ჭარის დამორჩილება, მაგრამ დამარცხდნენ. ამან ცხადყო, რომ

ზაჰილი



„დიდი ჯარი“, „კაის ხელმწიფური რიგით და თადარიგით“ გამზადებული მთიელთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის სუსტი იყო...

**ლეკებთან საუკუნოვან ბრძოლებში მოსახლეობამ ბრძოლისა და თავდაცვის ხერხები შეიმუშავა.** შეიცვალა „ლეკების“ თავდასხმების ხასიათიც. თუ ადრე ისინი ქურდულად, მცირე რაზმებად დანაწილებულები ესხმოდნენ თავს მოსახლეობას, ახლა უკვე გამაგრებულ ადგილებზე მიაქვთ იერიში და თავდასხმებიც უფრო ორგანიზებული აქვთ. ამავე დროს ისინი შემთხვევას არ უშვებენ თავდაუცველ, თავისუფალ მოსახლეობაზე თავდასხმისათვის. თუ ამდენხანს „ლეკების“ თავდასხმების ძირითადი მიზანი მტაცებლური ექსპედიციები იყო, ნადავლის (ძირითადად — ტყვეების სახით) მოპოვების მიზნით, XVIII ს. მეორე ნახევრიდან ლაშქრობების ხასიათი იცვლება. ამ დროიდან დაღესტნის მოსახლეობის სოციალური ზედა ფენა ლაშქრობებს იწყებს ტერიტორიების დაჭერის მიზნით. 1754 წლისათვის მათ ქართლ-კახეთის მთლიანად დაჭერა განუზრახავთ. ხუნდახის ბატონს ნურსალ-ბეგს გაუერთიანებია დაღესტნის ტომები. „რაც დაღისტანში ბელადები და უფროსი კაცები იყვნენ, თან გამოყოლოდენ და ამისათვის დიდი

ჯარი შეყრილიყო. ეს ხუნდახის ბატონი კაის დიდებით წამოსულიყო, რაც ლეკობას გაენყობოდა,“ — გადმოგვცემს პაპუნა. მისივე თქმით, ლეკები ქართლ-კახეთზე იმიტომ მოდიოდნენ, რომ ქვეყანა დაემორჩილებინათ: „თუ ეს ქუნდახის ბატონი ქართველსა და კახ ბატონზე გაიმარჯვებდა, ეს კაცნი სულ ქართლსა და კახეთზე მოვიდოდნენ და ვითაც მტერნი იყვნენ, აგრევე ააოხრებდნენ, დაატყვევებდნენ... თავისთვის უნდოდათ“.

პაპუნა ორბელიანისათვის, როგორც ქართული ფეოდალური საზოგადოების წევრისთვის, წარმოდგენელი იყო მთის ბატონობა განვითარებულ ბარზე. ამიტომაც იყო, რომ იქვე დასძენდა: „აოხრებულს ქვეყანას რას უზმედენ... — ის კი არ ვიცი თო“. ე.ი. იგი ეჭვს გამოთქვამდა, რომ მთა პოლიტიკურად დაიმორჩილებდა ბარს. მაგრამ საქმე არც მთლად ასე იყო. ამ დროისათვის დაღესტნელებს ხელთ ჰქონდათ გაღმა მხარი და საბოლოოდ იქ დამკვიდრებასაც აპირებდნენ. ასეთივე მიზანი ჰქონდათ ამჯერად „ლეკებს“ უკვე ქართლ-კახეთის მიმართ — მათი პოლიტიკური ექსპედიცია ტერიტორიის დაკვებას ისახავდა მიზნად.

**1754 წ. ქართველებმა მჭადიჯურის ომში დაამარცხეს ლეკები. ამ ომს უშუალოდ ხელმძღვანელობდა ერეკლე II. მარცხმა ხუნდახის ბატონს საქართველოზე ხელი ვერ ააღებინა. მან ხელახლა შემოიკრიბა ძალები. გარდა „ლეკებისა“, მან ამჯერად ყველანი ქართლისა და კახეთის მტერნი შეაკავშირა: აჯი-ჩალაბის შვილი, კაკის სულთანი, განჯის ხანი. კოალიციური ლაშქარი ყვარლის ციხეს მოადგა. აქაც, ერეკლე II-ს ბრწყინვალე ნიჭის წყალობით, ქართველებმა მტერი დაამარცხეს.** მიუხედავად ამისა, წვრილ-წვრილი თავდასხმები არ წყდებოდა.

XVIII ს. 60-იანი წლებისათვის ქართლ-კახეთში წონასწორობა დამყარდა. არც ოსმალეთი და არც ქერიმ-ხან ზანდის სპარსეთი



საქართველოსთვის უკვე საშიშნი არ ჩანდნენ, ლეკების საკითხი კი ჯერ კიდევ მოუგვარებელი იყო.

**1768 წ. რუსეთ-ოსმალეთის ომი დაიწყო. ოსმალებმა დასახმარებლად ლეკებს მიმართეს. ქართველი მეფეები — ერეკლე II და იმერეთის მეფე სოლომონი ამ ომში რუსეთს მიემხრნენ. ამის გამო 1768 წ. შემდეგ „ლეკების“ შემოტევები ახალციხის მხრიდან გახშირდა. ამავ დროს „ლეკები“ ძველი გზიდან — ჩრდილო-აღმოსავლეთიდანაც უტევდნენ საქართველოს და მთებიდან ჩამოსულები საქართველოს გავლით ოსმალეთის სამფლობელოებში გადადიოდნენ. ოსმალეთის კარი ხუნძახის ბატონის მიმხრობასაც ცდილობდა და საჩუქრებს უგზავნიდა მას იმ პირობით, რომ იგი ახალციხეს ჩასულიყო.**

XVIII ს. 70-იანი წლებისათვის სპარსეთ-ოსმალეთი ურთიერთშორის ომისათვის ემზადებოდა. ერეკლე ოსმალეთისაკენ გადახრილა და 1774 წ. ახალციხის ფაშას დაზავებია კიდევ. ამის შემდეგ „ლეკთა“ შემოსევები ახალციხის მხრიდან შენეულა, მაგრამ დაირღვა თუ არა ზავი, ახალციხის მხრიდან ლეკების შემოტევები კვლავ გახშირდა.

ამავ საუკუნის 80-იან წლებში ერეკლეს წინაშე საგარეო ორიენტაციის საკითხი მწვავედ იდგა. სამი დიდი მეტოქის (რუსეთი, სპარსეთი, ოსმალეთი) შორის მათ ერთ-ერთი უნდა ამოერჩია. ერეკლეს არჩევანი რუსეთზე შეჩერდა. 1783 წ. გიორგიევსკში რუსეთისა და საქართველოს წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ტრაქტატს, რამაც შეაშფოთა როგორც ოსმალეთი, ისევე სპარსეთი. ტრაქტატის საპასუხოდ ოსმალებმა ლეკები შეაკავშირეს. **1785 წ. ოსმალეთის მიერ ნაქეზებული და აღჭურვილი „ლეკების“ დიდი ლაშქარი ომარ-ხანის მეთაურობით საქართველოს მოადგა. რუსეთი ამჯერად იარაღით წამოეშველა საქართველოს და ჩრდილოეთის მხრიდან ჭარს მოადგა.**

1783 წ. ტრაქტატის მიზეზით იყო გამოწვეული ალა-მაჰმად-ხანის



ზაგილის მოლაპარაკება გენერალ-ფელდმარშალ ბარიატინსკისთან, — მხატვარი გოტფრიდ ვილჰელმი

ნის 1795 წლის ლაშქრობაც. თავის მხრივ ლეკები სპარსეთმაც შეიკავშირა საქართველოს წინააღმდეგ, ალა-მაჰმად-ხანის ლაშქარში მრავლად იყვნენ ლეკები.

**1801 წ. საქართველოში რუსეთის მმართველობის დამყარების შემდეგ, თანდათან საფუძველი ეცლება ლეკიანობის ხელისშემწყობ პირობებს. რუს-ქართველთა ლაშქარმა ლეკების დასაყრდენი, ჭარ-ბელქანი აიღო, თანდათან ისპობა ძველი ქართული თავადური წყობილება. მთიანეთის რუსეთთან შეერთების შემდეგ, ახალი ეკონომიური პირობების გამო, სახეს იცვლის მთის მოსახლეობის მეურნეობაც. ამისდაკვალად თანდათან ქრება ლეკიანობა, თუმცა მას ეპიზოდური ხასიათი დიდი ხნის განმავლობაში შერჩა.**

\*\*\*

„ლეკიანობის“ ხელისშემწყობი პირობები, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის საშინაო და საგარეო ურთიერთობისა ქვეყნის შინაგან წინააღმდეგობებში უნდა ვეძებოთ.

XVI ს. მოყოლებული, კახეთი თავს იცავდა მთიელთა თავდასხმებისაგან. დაახლოებით ორი სა-

უკუნის მანძილზე კახელი გლეხობა წინააღმდეგობას უწევდა მთიელ თავდამსხმელებს. ამავ დროს, კახეთი შაჰის სახანოს წარმოადგენდა. გარეშე მტრებთან ბრძოლებში მოსახლეობის ნაწილი განყდა, ნაწილი კი ტყვედ იქნა წაყვანილი. როგორც წესი, ბრძოლებში ცუდად შეიარაღებული, ნაკლებად თავდაცული მწარმოებელი საზოგადოება მცირდებოდა. ირღვეოდა პროპორცია მწარმოებელსა და მფლობელს შორის, ეს კი ფეოდალური ურთიერთობის გამწვავებას იწვევდა. შეთხელებულ მწარმოებელ საზოგადოებას მძიმე ტვირთად აწვა ადგილობრივი ფეოდალური თუ უცხოელ დამპყრობთა მიერ დაკისრებული ვალდებულებანი და გადასახადები. კახელი გლეხი ამ მდგომარეობას ხშირად „გალეკებთ“ იცხილებდა თავიდან. როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილი განმარტავს: „კახელი გლეხები „ლეკობაში“ „უბატონობას“ ხედავდნენ და ეს კი საბოლოოდ ყოველივე დაბრკოლებას სძლედა: კახელი გლეხი „გალეკებაში“ უბატონობას ეძებდა.

\*\*\*





ლეკიანობასთან საუკუნოვან ბრძოლებში ქვეყანაში ბრძოლისა და თავდაცვის გარკვეული წესები და ხერხები გამოიშვა. ლეკების თავდასხმები საერთოდ ომის ხასიათს არ ატარებდა. მათი თავდასხმების თავისებურება ის იყო, რომ ისინი პატარ-პატარა რაზმებად დანაწილებულები ხან ერთ მხარეს დაესხმოდნენ თავს, ხან მეორეს. ლეკების თავდასხმების თავისებურებამ განსაზღვრამის წინააღმდეგ შემუშავებული ბრძოლისა და თავდაცვის საშუალებებიც.

ლეკების თავდასხმებისაგან თავდაცვის ერთ-ერთ საშუალებას ციხე-გალავნების აგება წარმოადგენდა. ციხეებს, პირველ რიგში, ლეკების გადმოსასვლელ გზებზე აგებდნენ, გალავნებს კი სოფლების გარშემო ან სოფლის გარკვეულ ნაწილში (უმთავრესად — ეკლესიების გარშემო). **ომან ხერხეულიძის ცნობით, ერეკლეს მეფობაში ქართლ-კახეთში აშენდა ას სამოცამდე გალავანი და ბურჯი, ხოლო თვით ერეკლეს განუახლებია გორის ციხე, სიღნაღის, თელავის, ბოჭორმის, ყვარლის, საბუის, გრემის, პატარძეულის, ნორიოს და სხვა გალავნები.** ლეკთა თავდასხმების მოლოდინში მოსახლეობა სურსათით, საქონლით შედიოდა ციხე-გალავნებში და თავს აფარებდა გამაგრებულ კედლებს.

პაპუნას გადმოცემით, ლეკების ერთ-ერთი ლაშქრობის დროს: „ქართლისა და კახეთის ქვეყნები



**ჰაჯი-მურატი, იმამ შაჰილის პირველი ნაიბი**

ასე აყრილიყო, რომ უსიმაგროდ და უციხოდ აღარავინ იდგა“.

ლეკების თავდასხმების შესაჩერებლად ლეკების გადმოსასვლელ გზებზე აკეთებდნენ თხრილებს, აღრმავებდნენ მდინარის ფონებს, კაფავდნენ ლეკების სამალავ ტყეებს და ა.შ.

გადამწყვეტი მნიშვნელობა ლეკების წინააღმდეგ ბრძოლაში სამხედრო ძალას ენიჭებოდა.

ლეკებთან საბრძოლველად ერთ-ერთი საშუალებათაგანი იყო „ნაპირის ალაგას“ დგომა, „ნაპირის ალაგის“ გამაგრება და „მო-

ნაპირე ჯარის“ არსებობა.

მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო „ყარაულის“ დაყენება. ლეკების ჩამოსასვლელ გზებზე, ხიდებზე, ხეობებში და ა.შ. ყარაულების გამოყვანა სოფლის მოსახლეობისაგან ხდებოდა „შენერთი“. მორიგე ლაშქრის ჩამოყალიბების შემდეგ კი ყარაულების გამოყვანა „მორიგედან“ ხდებოდა. ყარაულები გამოყავდათ კახეთის ელიდანაც. ელიდან გამოსული ყარაულები გასამრჯელოს იღებდნენ — დღეში ორ-ორ აბაზს.

1796 წ. იულონ ბატონიშვილის ბრძანებიდან ხოვლელებისადმი ირკვევა, რომ არსებობდა „ყარაულების განწესება“, საიდანაც აშკარაა, რომ ყარაულობა შემთხვევით ხასიათს არ ატარებდა.

XVIII ს. მეორე ნახევარში, პაპუნა ორბელიანის ცნობით, ქართლელებისა და კახელებისაგან ლეკების თავდასხმების წინააღმდეგ ჩამოყალიბებულა 1000-კაციანი ლაშქარი, რომელსაც ხელისუფლება ჯამაგირს უზხდიდა. ამ ლაშქრის არსებობას კარგი შედეგი გამოუღია.

ლეკიანობასთან ბრძოლის ეფექტური საშუალება იყო ე.წ. მდევრობა, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ქართველები მუდამ მზადყოფნაში იყვნენ და შემოჭრილ მტერს უკან დაედევნებოდნენ ხოლმე. 1772 წ. კი ზემო ქართლისათვის მდევრობის კონკრეტული წესები ჩამოყალიბებულა და ზემო ქართლი სამდევრო ერთეულებად დანაწილებულა. მაგრამ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საშუალება მაინც არ წარმოადგენდა ლეკიანობის წინააღმდეგ ბრძოლის რადიკალურ საშუალებას. საჭირო იყო ქვეყნის სამხედრო ორგანიზაციის გადახალისება. ასეთი იყო 1774 წ. ჩამოყალიბებული „მორიგე“ ლაშქარი, რომელიც სპეციალურად ლეკიანობასთან ბრძოლისათვის შეიქმნა. „მორიგე“ ლაშქრის ჩამოყალიბება ლეკიანობის წინააღმდეგ შემუშავებული საშუალებების დაგვირგვინება იყო. მასში ყოველთვიურად სამორიგეოდ გადიოდა საქართველოს ყველა სოციალური ფენის წარმომადგენელი

**პაპუნას გადმოცემით, ლეკების ერთ-ერთი ლაშქრობის დროს: «ქართლისა და კახეთის ქვეყნები ასე აყრილიყო, რომ უსიმაგროდ და უციხოდ აღარავინ იდგა».**

თავისი ნუზლით. ისე, რომ მორიგეს სახით საქართველოში რეგულარული ლაშქარი შეიქმნა. **მორიგეს შექმნის შემდეგ ლეკთა თარეშები შესუსტდა. მაგრამ საუბედუროდ ლაშქარი მალე დაიშალა, რაც თავადური რეაქციის შედეგი იყო. „მორიგე ჯარის გაშუქება ნიშნავდა თავადების გამარჯვებას და სამეფო ხალისუფლების განმტკიცებისა და პრობრანის სასარგებლო პოლიტიკის დიდ მარცხს“.**

ლეკიანობის წინააღმდეგ ღონისძიებათა ჩატარება ამის შემდეგაც არ შეწყვეტილა. **1798 წ. ბიორგი XIII-მ ძიზიყელაძეს ლაქაბთან საბრძოლველად განსაკუთრებული წესები დაუდგინა. ამ წესების თანახმად, მოთარეშე ლეკის მკვლელს საკუთრებაში რჩებოდა მოკლული ლეკის ცხენი, იარაღი და სხვ., ხოლო, თუ ცოცხალს დაიჭირდა, ლეკი დამჭირს ეძლეოდა საკუთრად, ე.ი. მებრძოლი დაინტარესაბული იყო პირადად. მაგრამ ლეკიანობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის არც ეს წესები იყო რადიკალური.**

\*\*\*

ლეკიანობის შედეგები საქართველოსათვის საბედისწერო იყო.

განსაკუთრებით მწვავედ იდგა მოსახლეობის ყოფნა-არყოფნის საკითხი იმ ადგილებში, სადაც ლეკები გზას ან ბინას დაიდებდნენ. **1731 წ. სოფ. გომი „ლეკმა და ოსმალმა ააოხრა და ლეკმა გზა იმაზე დაიჭირა და გლეხი ვეღარ დასახლდაო“** —

გულისტკივილით აღნიშნავდა პატრიარქი ბესარიონ გაბაშვილი.

ლეკების ხშირი თავდასხმების გამო იშლებოდა მეურნეობა. მუდმივად იარაღის ქვეშ მყოფი გლეხი სამუშაოდ ვერ იცლიდა. „ამდენი ომი და ხმაღს ქვეშ ყოფნა თქუენც მოგეხსენებათ კაცი-საგან არ გეიძლება... გლეხმა კაცი-სამუშაოდ ვეღარ მოიცალა და ყანა რაც მომკეს, ისინი (ლეკები. — დ.მ.) სწვენ,“ — სწერდა კახეთის მეფე დავითი ვახტანგ VI.

XVIII ს. საქართველოში მყოფი

რუსი მოხელე ბურნაშოვი აღნიშნავდა, რომ ლეკების თავდასხმების გამო მესაქონლეობა დაცემულია.

**„ლეკისაგან ილაჯი აღარა გვაქვს... გავლარობით. მოსავალი აღარ მოგვდის, საქონელი ლეკისაგან არ შეგვრჩა, წყალი არ გვაქვს,“** — წერდნენ 1770 წ. ურბნელები. ეს დოკუმენტი შესანიშნავ სურათს იძლევა ლეკიანობის შედეგებისას: **მოსახლეობა გაღარიბებულია, საქონელი ლეკებს დაუტაცია, მოშლილია ირიგაცია, მოსავალი აღარ მოდის.**

ასეთ მდგომარეობაში მყოფ მოსახლეობას უკანასკნელ ღონეს აცლიდა ადგილობრივი „სათხოვარი“. **„გამოსაღების სურსათს ნუ გვანართ, თორემ... სული იქით ილაჯი აღარა გვაქვსო,“** — სწერდნენ გადამხდელები ერეკლეს.

**ყველა ამ ძნელბედობის შედეგის იყო, რომ კულტურული მემკვიდრეობა დაეცა და მცხოვრებთა რიცხვი კატასტროფულად შემცირდა. ზოგიერთი მხარე მოსახლეობისაგან სავსებით დაიცალა (თრიალეთი, ყაიხული, ტაშირი, გუჯარეთი, სომხეთი, საბარათიანო), სხვაგან კი დეპოპლაცია გობინოვდა შემთხვევითი მოსახლეობა. გლეხების ერთი ნაწილი დატყვევდა და უცხოეთში მონებად დაიყიდა, მეორე ნაწილი ლეკებთან თუ ოსმალ-ყიზილბაშებთან ომებს შეეხმობა; სხვები გოლომოსული ომების თანამგზავრმა შიმშილობამ და ჭირმა იმსხვერპლა, დიდმა ნაწილმა კი დეპოპლაცია ეს გაჯოჯოხეთი-ბული სამშობლო და ახლობელ ძეგლებს შეეხიზნა.**

მფლობელთა კლასი კარგად ხედავდა, რომ, თუ გადაჭრელი ღონისძიება არ იქნებოდა მიღებული, მისი აღსასრული დადგებოდა. ერთ-ერთი ღონისძიებათაგანი იყო 1765 წელს ერეკლეს მიერ გამოცემული ბრძანება ტყვეობიდან მოსულის თავისუფლების შესა-

**ხებ.** ამ კანონით ერეკლემ დაინტერესა გატაცებული ტყვეები. ტყვეობიდან დაბრუნებულს უფლება ეძლეოდა, თავისი სურვილით ამოეჩრია ბატონი. ამით დაბრუნებულ ყმას არჩევანი ექნებოდა, თავი ნაკლები ექსპლოატაციის უღელში ჩაება (ჩვეულებრივად ტყვეობიდან დაბრუნებულები არჩევდნენ მეფის ან ეკლესიის ყმობას, რის გამოც მებატონეები პრეტენზიებს აცხადებდნენ).

სამშობლოში ტყვეების დაბრუნებაზე ზრუნავდნენ, აგრეთვე, ერეკლეს მემკვიდრეები — გიორგი და ლევანი.

**1774 წელს ლევანი ნიკიტა პანინს სწავდა, რომ რუსეთის იარაღით ყირიმისაგან განთავისუფლებული ტყვე ქართველების ნაწილი საქართველოში დაბრუნდა, ნაწილს კი აიძულებდნენ, დასახლებულიყვნენ რუსეთის სხვადასხვა ადგილებში. ლევანი სთხოვდა პანინს, რომ გამოიჩინოს მონებალბა და ბრძანოს დანარჩენ ქართველთა სამშობლოში დაბრუნება.**

ქვეყნის მესვეურთა ცდებმა შედეგები გამოიღო და XVIII ს. ბოლოსათვის უკვე სოფლის ნუსხებში ვხვდებით „ტყვეობიდან მოსულებსა“ და „ნალეკებს“. მაგრამ ეს ერთეული შემთხვევები ვერ ანაზღაურებდა იმ კოლოსალურ ზარალს, რაც ლეკიანობამ ფეოდალურ საქართველოს მოუტანა.

\*\*\*

კავკასიაში რუსეთის მმართველობის დამყარების შემდეგ თანდათან საფუძველი ეცლება დაღესტნელთა საქართველოზე ლაშქრობების ხელისშემწყობ პირობებს. რუსეთის მიერ კავკასიის შეერთების შემდეგ, მთიანეთი მსოფლიოს საქონელბრუნვაში ჩაება. ამან გავლენა მოახდინა დაღესტნის როგორც ეკონომიურ, ისევე სოციალურ განვითარებაზე. მეორე მხრივ, საქართველოში, რუსეთთან შეერთების შემდეგ, ისობა ის შინაგანი პირობები, რაც ხელს უწყობდა დაღესტნელთა თავდასხმებს.



# ექვსი ფოტოს ისტორია ნინა მჭავანაძის საოჯახო ალბომიდან

ცნობილი ადამიანების საოჯახო ალბომები ყოველთვის საინტერესო და მრავალფეროვანია, რომლებიც წლების შემდეგ, რიგ შემთხვევაში, დიდ ისტორიულ მნიშვნელობასაც კი იძენს. გავიდა ათეულობით წლები და ვასილ მჭავანაძის პერიოდის (1953-1972 წ.წ.) საქართველოს ოქროს ხანა დაარქვეს იმ ადამიანებმა, რომლებიც მისი თანამედროვეები იყვნენ. ფაქტია, რომ მან კომუნისტური რეჟიმის დროს, კრემლისაგან მალულად, ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა საქართველოში. ხალხი სიღარიბის ჭაობიდან ამოიყვანა და უფრო მეტიც — ქართველები გადასახლება გადაარჩინა. ვასილ მჭავანაძეზე ბევრი დაიწერა, ბევრი ითქვა და ინტერესი მისი ეპოქის მიმართ ყოველთვის აქტუალურია. მისი უმცროსი ქალიშვილი, ნინა მჭავანაძე, საოჯახო ალბომს გვათავალიერებინებს და ისტორიაც ცოცხლდება...



ნინა მჭავანაძე

## ნიკო მუსხელიშვილი...

„მამა გამორჩეულად დიდ პატივს სცემდა მეცნიერებს, აფასებდა მათ და მიაჩნდა, რომ ერის სახელი და ღირსება სწორედ მათზე იყო დამოკიდებული.“

ეს ფოტო მოსკოვის ვაგზალზეა გადაღებული, მამა ბატონ ნიკო

ნუსხელიშვილს ხვდება. მოგეხსენებათ, ნიკო მუსხელიშვილს ღირსეული ადგილი უჭირავს მსოფლიოს მეცნიერთა შორის. ბუნებით იგი ძალიან თავმდაბალი და მორიდებული ადამიანი გახლდათ. მამა, თავის მოადგილეებთან ერთად, რამდენიმე დღით ადრე ჩაფრინდა მოსკოვში სესიაზე. ბატონი ნიკო კი მატარებლით ჩა-

მივიდა სესიის ნინა დღეს. მამამ ეს იცოდა და, თავის მოადგილეებთან ერთად, სისხამ დილით ვაგზალზე შეეგება. მეცნიერი არ მოვლოდა, რომ დილაადრიანად ცეკას პირველი მდივანი და მისი მოადგილეები დახდებოდნენ, გაცემული და გახარებული იყო და ეს ფოტოზეც ნათლად ჩანს. მამა ძალიან ამაყი იყო იმით, რომ მუსხელიშვილი საქართველოს შვილი იყო და ამას ხშირად ამბობდა კიდევ. როცა მამაზე ვსაუბრობ, გული მონატრებით მევსება, ბევრი წარუშლელი შთაბეჭდილება მქონდა მაშინ და ამ შთაბეჭდილებების დიდი ნაწილი მან მაჩუქა.

## ფიდელ კასტრო...

როცა მოსკოვში უცხოეთის პირველი პირები ჩამოდიოდნენ, ოფიციალური შეხვედრების შემდეგ ხრუშჩოვი მათ რესპუბლიკებს ათვალთვლებინებდა და ხშირად ჩამოჰყავდა საქართველოში. ერთხელ მოსკოვს ფიდელ კასტრო ძმასთან ერთად სტუმრობდა და ხრუშჩოვმა საქართველოში ჩამოიყვანა რამდენიმე დღით. ჯერ აფხაზეთი მოინახულეს, შემდეგ ბათუმი და თბილისი. როცა თბილის-



მუსხელიშვილის ვიზიტი მოსკოვში. ხვდება: მჭავანაძე, ლოლაშვილი, როდინოვი





მარცხნიდან მარჯვნივ — ვასილ მჭავანაძე, ნიკიტა ხრუშჩოვი, ფიდელ კასტრო, 1963 წ.

ში იმყოფებოდნენ, ისინი კრწანისში გაჩერდნენ, სადაც დღეს შევარდნაძის რეზიდენციაა. ადრე იქ სასტუმრო იყო პირველი პირებისათვის. კარგად მახსოვს ის დღე: პატარა ვიყავი და მამამ მათთან შესახვედრად წამიყვანა. ვიცოდით, რომ ფიდელ კასტროს ნადირობა უყვარდა და საჩუქრად კავკასიური ნაგაზის ლეკვები მივუყვანეთ, ლეკვები მე გადავეცი. ისეთი აღფრთოვანებული იყო, გახარებული ხელში ათამაშებდა ლეკვებს, მერე მეც ამიტაცა ხელში.

**თბილისის მეტროზე...**

არასოდეს დამავინყდება ის დღე, როცა თბილისში პირველად გაიხსნა მეტრო. ეს მოვლენაც მამას უკავშირდება. დედა ამბობდა: „ამ დღეს მას ისეთი სახე ჰქონია, როგორც მაშინ, როცა გაიგო, რომ ვაჟიშვილი შეეძინა“. მეტროს მშენებლობა თბილისში გმირობის ტოლფასი იყო, რადგან ფინანსები კრემლს უნდა გამოეყო. საერთოდ, ყველა მშენებლობა, რომლებიც რესპუბლიკებში მიმდინარეობდა, კრემლის დასტურითა და ფინანსებით ხორციელდებოდა. მოსკოვი კი თვლიდა, რომ მეტრო აუცილებლობას არ წარმოადგენდა თბილისისთვის. მამამ

მაინც დაიწყო ეს საქმე, ბევრ დაბრკოლებას გადააწყდა, იძულებული გახდა, რამდენიმეჯერ შეეჩერებინა პროექტი, მაგრამ მაინც მიიყვანა ბოლომდე. მახსოვს, ჯერ შიდასამუშაოები დაამთავრა და შემდეგ ფასადური სამუშაოები დაიწყო. მეტროს პირველი მგზავრებიც თვითონ, ოთარ ლოლაშვილი, გივი ჯავახიშვილი და კიდევ რამდენიმე ადამიანი იყვნენ. სხვათაშორის, მამამ კრემლისგან ნა-

ბევრად მაღულად, როგორც საფუძველი ჩაუყარა ენგურჰესის მშენებლობას, ააშენა სასტუმრო „ივერია“ და სპორტის სასახლე. მამას საოცრად უყვარდა თავისი ქვეყანა და ხალხი, წამდვილი პატრიოტი იყო და ამავე დროს დიდი დიპლომატიც გახლდათ.

**ბროს ტიტოზე...**

კიდევ ერთი ეპიზოდზე მინდა გამბოთ: ჩვენ, მთელი ოჯახი, იუგოსლავიაში მიგვიწვიეს ზაფხულის გასატარებლად. ვიმყოფებოდით კუნძულ ბრიონიზე, იუგოსლავიის პრეზიდენტი ბროს ტიტოსთან, მის საკუთარ ვილაზე. ძალიან ლამაზი დიდი სასახლე ჰქონდა და საკუთარი ზოოპარკი გაშენებული ამ შესანიშნავ კუნძულზე. გადაადგილება შეგეძლოთ ელექტრომობილებით, რომელშიც ოთხი ადამიანი ეტეოდა. ჩვენ ძალიან ბევრს დავდიოდით და ვათვალიერებდით იუგოსლავიისა თუ კუნძულ ბრიონის ლირსშესანიშნაობებს. არ შემიძლია არ აღვნიშნო ის, რომ ბროს ტიტოს ულამაზესი მეუღლე, იოვანა ჰყავდა, რომელიც ოცდაათი წლით უმცროსი იყო მასზე, შვილები არ ჰყავდათ. მამა და პრეზიდენტი ბროს ტიტო საკმაოდ კარგი მეგობრები გახ-



მეტროს პირველი მგზავრები — მეტროს გახსნა. მარცხნივ ღმარ ქალაქის ალმასკომის თავმჯდომარე ოთარ ლოლაშვილი, ცენტრში — ვასილ მჭავანაძე, მარჯვნივ — მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გივი ჯავახიშვილი





1958 წ. იუგოსლავია, კუნძული ბრიონი, —  
ვასილ მჭავანაძე ბროს ტიტოსთან ერთად

მჭავანაძე, ბროს ტიტო, უკან ვასილ მჭავანაძის  
მეუღლე ქალბატონი ვიქტორია და გვერდით ბროს  
ტიტოს მეუღლე იოვანა ტიტო

დნენ. ხშირად სეირნობდნენ და საუბრობდნენ სხვადასხვა თემაზე. სხვათა შორის, იყო პერიოდი, როცა იუგოსლავიას საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განწყვეტა უნდოდა და მაშინ, კრემლის გადანწყვეტილებით ბროს ტიტოსთან საერთო ენის გამონახვა მამას დაეკისრა, ეს მისია მხოლოდ მამას ერგო მთელს საბჭოთა კავ-

შირში. ამის შემდეგ მამა და იუგოსლავიის პრეზიდენტი ძალიან დამეგობრდნენ. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ბროს ტიტოს პერსონა ძალიან საინტერესოა, რადგან მან ერთადერთმა შეძლო ქვეყნის გაერთიანება. მაშინდელ დროში ის იყო ერთიანი იუგოსლავიის რესპუბლიკის პრეზიდენტი და 35 წლის მანძილზე მარ-

თა ქვეყანა. როდესაც ბატონი ბროს ტიტო მოხუცდა და ავად გახდა, მის წინააღმდეგ შეთქმულება დაიწყო, რომელშიც მონაწილეობდა მისი უსაყვარლეს მეუღლე იოანა. ტიტომ გაიგო და სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა მას ცალკე აპარტამენტში. ორ წელიწადში ბროს ტიტო გარდაიცვალა, ქვეყნის სათავეში მილოშევიჩი მოვიდა და იუგოსლავიის დაშლაც დაიწყო. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მილოშევიჩმა ბროსტიტოს ცოლის განაჩენი ძალაში დატოვა და ქალბატონი იოვანა 25 წლის მანძილზე შინაპატიმრობაში იყო.



**P.S.** ნინა მჭავანაძის საოჯახო ალბომები იმდენად მრავალფეროვანია, რომ გაუთავებლად შეიძლება მათი თვალიერება, რადგან თითქმის ყველა ფოტო ისტორიაა. ისტორია, რომელიც ბევრ საინტერესო და ხშირ შემთხვევაში, ჯერ კიდევ გაუხმაურებელ ამბებს ინახავს.

ეკა კახიანი





**...Я знаю:  
глупость – эдемы и рай!  
Но если  
целось про это,  
должно быть,  
Грузию,  
радостный край,  
подразумевали поэты...**

*Маяковский о Грузии.  
Из стихотворения  
“Владикавказ - Тифлис”*





**კონსტრუქტორ ბერინგვილის ხელმძღვანელობით ასევე  
შეიქმნა მუღავევა ნავების სანიანაღმდებო თვითმფრინავი  
ემფიბინ 5E-12, რუმლის სვანდესვამოფიკაცხიები  
ღდასს არის მსოფლიოს მრავალი არმიის შეინარაღებანი.**